მოგონებანი

პარიზი

1963

წინასიტყვა

განსვენებულ ჩემ მეუღლეს, ვალოდია გოგუაძეს თავისი მოგონებანი ვრცლად ჰქონდა დაწერილი; იქ იყო არა მარტო დაწვრილებითი მოთხრობა ამბავთა, არამედ მათი განმარტება და დახასიათება. სამწუხაროდ, მოხდა ერთი უბედური შემთხვევა — გერმანელთა ჯარის შემოსვლისას ვ. გოგუაძემ რატომღაც ცეცხლს მისცა ჩუმად თავისი დიდი ხელნაწერი მოგონებათა და მე ველარ მივუსწარი იგი გადამერჩინა.

მაგრამ შემდეგ, არქივის გადათვალიერებისას, აღმოჩნდნენ დაულაგებელი, გაფანტული ფურცელნი მოგონებათა, რომელთაც ბევრი რამ აკლდა. მაინც მოხერხდა აღწერილ ამბავთა ერთი მეორეზე გადაბმა, თუმცა ეს ის აღარ არის, რაც უკვე იყო ვამზადებულ დიდ ხელნაწერ დედანში.

ეს წინამდებარე წიგნი არის მოთხრობა მეტად მოკლე იმ ამბავთა, რომელთ თვით დედანში დასრულებული და განმარტებითი სახეც ჰქონდა, მაგრამ მაინც მგონია, ეს მოკლე მოთხრობა ამბავთა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და ამასთან, ვფიქრობ, ეგი ისტორიულ მასალასაც წარმოადგენს, რაც იქნებ ვამოიყენონ მომავალში, ჩვენი ხალხის მეოცე საუკუნის, პირველი მეოთხედის, მღელვარე და აბობოქრებული ცხოვრების გასაცნობად.

ამ იმედით ვბეჭდავ ჩემი განსვენებული მეუღლის ვ. გოგუაძის ამ მცირე მოგონებათ.

ნამეტია ბერძენიშვილის ასული

გოგუაძისა

პარიზი, ოქტომბერი 1963 წლ.

ვ. გოგიაძე
1880 — 1954

ახალ თაობას მოგიძღვენ
ჩემი თავგადასავალი;
ავწერე ჩემგან ნახული
ტანჯვა-წამება მრავალი.

თანამებრძოლთა რიგებში
მეც მქონდა ჩემი ადგილი;
გვრწამდა სიმართლე საქმისა
და გამარჯვება ნამდვილი.

სიმართლის დროშა ავმართეთ,
გავედით ბრძოლის ველზედა;
ხალხის მტრები და ორგულნი
სულ გადავყარეთ კლდეზედა.

ვ. გოგუაძე

ვ. გოგუაძე

მოგონებანი

დავიბადე 1880 წელს სოფელ ჭანჭათში (გურია); ჩემი მშობლები, ელისაბედი და საბა, მიწის მუშა იყვნენ. მამა ჩემს თერთმეტი შვილი ჰყავდა, — აქედან ოთხი ყვავილით დაეხოცა; დავრჩით ხუთი ვაჟი და ორი ასული.

დედმამა მძიმე შრომას ეწეოდა და ჩვენც, შვილები, ვიზიარებდით გლეხის აუტანელ შრომას. დედა ჩემი მარტოხელა ქალი იყო და ამიტომ ოჯახის მთელი სიმძიმე მას აწვა კისერზე. საჭმელის მომზადება, ტანსაცმელისათვის მატერიის მოქსოვა, მისი შეკერვა (იმ დროს ყველაფერს სახლში ქსოვდნენ და ხელით ჰკერავდნენ) და სხვა მრავალი, მისი საქმე იყო.

მე დედა-ჩემს ვეხმარებოდი ბავშვების მოვლაში, ბოსტანის დამუშავებაში და სხვა წვრილმან საქმეში.

მამა-ჩემი კარგი მეურნე იყო, კარგი აღზრდილი, საუკეთესო მომღერალი, თავის დროზე მოქეიფეც და იშვიათი თამადა.

ჩვენ საკმარისი ადგილ-მამული არა გვქონდა, ამიტომ იჯარით ვიღებდით მიწას სოფელ ნიგოითში, თავადი მაჭუტაძისაგან, სოფ. გრიგოლეთში — თავადი გურიელისაგან და სოფ. ლეკიანში — თავ. ნაკაშიძისაგან; ასე რომ შრომა ჩვენი იყო, ხოლო შემოსავალის დიდი ნაწილი სხვის ხელში მიდიოდა.

შვიდი წლის რომ შევიქენი სასწავლებელში შემიყვანეს. პირ-

ველად ჩემი მასწავლებელი იყო ჩემი დეიდას მეუღლე, ირაკლი შე-ვარდნაძე, რომელიც შემდეგ შესცვალა ლავრენტი ჩიმაკაძემ.

ორივე კარგი მასწავლებელი იყო და ჩვენც ისინი ძალიან გვი-ყვარდა. სკოლაში გავატარე სამი წელიწადი. გვასწავლიდნენ ქარ-თულად და რუსულად.

სილარიბის გამო სწავლის გაგრძელება ველარ შევძელი. წიგნის მონატრული — 11 წლის ყმაწვილი — მოჯამაგირედ ვუდგები ბიძა ჩემს, რომელსაც ტყის „პოდრათი" ჰქონდა აღებული; იგი აწარმო-ებდა შეშის დამზადებას სუფსის რაიონში, სოფელ ხაჯალიაში. ჩემი მოვალეობა იყო ორმოცი მუშის კარავის დასუფთავება-დალა-გება, ხუთი სულის საჭმელის მომზადება და ერთი ხარის მოვლა. მეტად მძიმე პირობებში მიხდებოდა მუშაობა; ზამთარში „ბლუ-ზის"-ამარა, უქვეშსაგებლოდ და თითქმის ფეხშიშველი...

როცა 12 წლისა გავხდი წავედი ქარხანაში სამუშაოდ, ქალაქ ბათუმში. ქარხანაში სამუშაო ვერ ვიშოვნე და სამი თვის შემდეგ, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, დავბრუნდი შინ. განკურნების შემ-დეგ ისევ ბათუმს დავბრუნდი და დავდექი მუშად რიხნელის ქარხა-ნაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნავთიან ყუთებზე მაშით „კის-ლატიან კაპსულების" დაფარება. დღეში ვმუშაობდი თერთმეტ სა-ათს და ხელფასად მეძლეოდა ორი აბაზი. ამ ქარხნის მუშების უმე-ტესობას შეადგენდა ქართველობა. ხელფასის მიღებისათანავე ისი-ნი გარბოდნენ სამიკიტნოში; მოითხოვდნენ აუარებელ ღვინოს, ზოგს დალევდნენ, ზოგს კი დაღვრიდნენ იქვე, ფულს „თავმომწონედ" იხდიდნენ და შემდეგ სხვა სამიკიტნოში გადადიოდნენ; არღანითა და ეტლით მთელ ქალაქს შემოივლიდნენ, სტეხდნენ აურზაურს, ჩხუბს; მიიწევდნენ ერთმანეთზე ხანჯლით და სხვა. გურულები მეგ-რელებს სცემდნენ, მეგრელები — იმერლებს და ერთმანეთს ხანჯ-ლის ჭრილობით აჯილდოვებდნენ. განთქმული მოქეიფე-ხანჯლოს-ნები ლომთათიძის და თავართქილაძის ჯგუფი იყო. ეს ყმაწვილები ამდენი უაზრო ქეიფის შემდეგ ქარხანას უკაპეიკოდ უბრუნდებოდ-ნენ და მეორე დღეს პურის ფულს სესხულობდნენ. ეს ხანჯლოს-

ნები მოზარდებს უდიერად გვეპყრობოდნენ და ცდილობდნენ ჩვენს გარყვნას. ქარხანაში იყვნენ მოწინავე-შეგნებული მუშებიც: ივანე მგელაძე, კოწია წულაძე, ძმები დუდუჩავა, პლატონ ბერძნიშვილი და სხვებიც; ისინი კითხულობდნენ წიგნებს და გაზეთებს. მოქეიფე ყმაწვილები ამათაც დასცინოდნენ, რასაკვირველია.

საცხოვრებელი ბინა მუშებს ცუდი ჰქონდათ; ერთ ოთახში შვიდ-რვა კაცი ვცხოვრობდით, რაც არა ჰიგიენური იყო და ხშირად ავადმყოფობას იწვევდა.

ერთი წლის შემდეგ გადამიყვანეს გატეხილი ყუთების შემკეთებელად. ჩემი უფროსი იყო სპარსელი ჰუსეინა, რომელიც ძალიან კარგი კაცი იყო; ჯამაგირს მაძლევდნენ დღეში ათ შაურს.

რიხნელის ქარხანაში მუშაობამ იკლო, რის გამო გადავედი როტშილდის ხერხის ქარხანაში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ყუთების ჭედვა. ჯამაგირი მეძლეოდა დღიურად თუთხმეტი შაური. აქაც იკლო მუშაობამ და 18 წლისა, დავბრუნდი შინ.

გლეხი-კაცის მოსვენება არ არის. მე ვაგრძელებ მძიმე შრომას: ზაფხულში ყანას ვამუშავებ, ხოლო ზამთარში შეშას ვჭრი სუფსის რაიონში და ჭალადიდში.

მოჯამაგირედ დავუდექი თეიმურაზ წულაიას, რომელიც შეშას ამზადებდა გრიგოლეთის მიდამოებში. ჩემი მოვალეობა იყო კამეჩებით შეშის გამოზიდვა ტყიდან, ფური კამეჩების მოვლა-მოწველა, ნავებში შეშის ჩატვირთვა და მისი გატანა მდინარე სუფსით გრიგოლეთში, საიდანაც ეს შეშა გემებით გაჰქონდათ. აუტანელი შრომა მქონდა.

მართალია, ჩემი „ხაზეინი“ კეთილი კაცი იყო. გულღვიძი, პურმარილიანი, მაგრამ მუშაობაში ძლიერ სასტიკი. მას ჰქონდა ექვსი იალქნიანი გემი, რომელიც წინა წლებში დაეღუპა. ეს რომ გაახსენდებოდა, გიჟს დაემსგავსებოდა ხოლმე; დაუწყებდა კამეჩებს ცემას, სიცივეში გარეთ გაგვყრიდა სამუშაოდ და მე ხშირად მეტყოდა — შვილო! მე რომ ფულს გაძლევ, იმას არც სცივა და არც სცხავსო. წელიწადში მაძლევდა ას მანეთს.

მთელი ზამთარი ტყეში გავატარე, სადაც აუარებელი/მგელი იყო და ცოტა არ იყოს, მეშინოდა კიდეც. ზაფხულში ცეცხლი დამიწყო, რის გამო მასთან მუშაობას დავანებე თავი და დედ-მამასთან დავბრუნდი. ამის შემდეგ ოცი წლის შესრულებამდე ოჯახში დავრჩი.

მამა-ჩემი ხშირად გვეტყოდა ხოლმე შვილებს — მართალია, სილარიბის გამო სწავლა ვერ მიგაღებინეთ, სამაგიეროდ მუშაობა და ცხოვრების წესები უნდა ისწავლოთო. იგი ხშირად მიგვითითებდა შრომაზე, სიმართლე-პატიოსნებაზე; გვასწავლიდა სტუმრობის დროს სუფრაზე თავის დაჭერას — როგორ უნდა გვეჭამა და გვესვა, როგორ გვეთამადა; ჩხუბი არავისთვის არ უნდა გვექნა სუფრაზე: ჭამის დროს ძაღლები ჩხუბობენო! — გვეტყოდა. თუ მაინც და მაინც ჩხუბს სხვა აგვიტეხდა — გალახული არ უნდა მოვსულიყავით, ჩხუბის ამტეხი და მტყუანი ჩვენი მოპირდაპირე უნდა ყოფილიყო.

მამა-ჩემს უყვარდა წიგნების კითხვა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი — მისი საყვარელი მწერლები იყვნენ. მამას სოფელში პატივისცემით ეპყრობოდნენ; მას მართალკაცს ეძახდნენ. იგი ხშირად იყო საზოგადოებაში წოსამართლედ და სკოლის მზრუნველად. მას ხშირად მოსდიოდა უთანხმოება სასულიერო პირებთან. სასტიკი მოწინააღმდეგე იყო მათი გაუმაძღროებისა, ეწინააღმდეგებოდა მრავალ უსამართლო გადასახადს, რომელიც ჩვენს გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე. მღვდლები მამა-ჩემს „უღმერთოს“ ეძახდნენ და ციმბირით ემუქრებოდნენ.

როგორც კი შემისრულდა ოცი წელი, გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, გამაწესეს ქალაქ ოდესაში, მეოთხე მსროლელ ბრიგადაში. ბრიგადის უფროსი იყო გენერალ-პოლკოვნიკი რეპინსკი (ნამსახური ქუთაისში). მთელ ბრიგადაში ჩვიდმეტი ქართველი ვიყავით. ქართველები რუსეთში პირველად იყვნენ, ამიტომ უფრო-

სები კარგად გვეპყრობოდნენ. რუსი ჯარისკაცების ნაწილი ჩვენ თათრებს გვეძახდნენ და დედას გვაგინებდნენ. ქართველებისათვის დედის გინება ძალიან ძნელი ასატანი იყო, რის გამო ხშირად ცემა-ტყეპამდე მიდიოდა საქმე. რუსებს კი ძალიან უკვირდათ, რომ ჩვენ, ქართველებს, ასე პატარა რამეზე გული მოგვდიოდა! საქმე ისე გამწვავდა, რომ არმიის უფროსი იძულებული გახდა გამოეწვა ბრძანება ჩვენს მიმართ დედის შეგინების აკრძალვის შესახებ! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ პასუხს არ ვაგებდით.

სამხედრო წრთვნა სასტიკი იყო: გათენებამდე წამოგვყრიდნენ და ყინვაში გიმნასტიკას გვათამაშებდნენ; შემდეგ ყაზარმას დავასუფთავებდით, ჩაის დავლევდით და იარაღზე მაცადინობას დავიწყებდით. 12 საათზე სადილს გვაჭმევდნენ; ათი კაცი ერთ თეფშზე ვჭამდით; რუსები ცხელ ბორშს და სუპს ჩქარა შეჭამდნენ ხოლმე; მე კი რადგან არ შემეძლო ცხელი საჭმელის ჩქარა ჭამა, მშიერიც ვრჩებოდი ხოლმე. ამის შედეგად ძლიერ გავხდი. ექიმმა მიზეზი მკითხა; მეც ავუხსენი მიზეზი; ამის გამო მე საკუთრად მაძლევდნენ ჩემ წილ კერძს და მეც მოვიკეთე. სხვათა შორის ექიმმა მირჩია მეჭამა ღორის ქონი. მე კი ღორის ხორცს არ ვჭამდი შემდეგი მიზეზის გამო —

ერთხელ მამაჩემმა საახალწლოდ ღორი დაკლა; მე მაშინ შვიდი წლის ვიქნებოდი; შევხედე, დაკლულ ღორთან მივიდნენ გოჭები და მას ძუძუს წოვა დაუწყეს. მე ეს რომ დავინახე, ტირილი დავიწყე, რის გამო მამამ მაგრად გამწკეპლა. მას შემდეგ ღორის ხორცი არ მიჭამია, მიუხედავად ბევრი ხვეწნისა და მუქარისა. მე ავუხსენი ეს ექიმს; მან ბევრი იცინა, მაგრამ მიბრძანა: როგორც წამალი, ისე შეჭამე ღორის ქონიო. რას ვიზამდი, დავემორჩილე.

1901 წლის გაზაფხულზე მთელი ბრიგადა წაგვიყვანეს სასროლ მინდორზე. ვისროდით 200—1500 ნაბიჯზე. სროლაში კარგი შედეგი მივიღე; გიმნასტიკაში ბევრს ვჯობნიდი და ყველანი კარგი თვალით მიყურებდნენ, განსაკუთრებით უფროსები.

ჩვენ გვასწავლიდნენ სამხედრო საქმეს, დისციპლინას [illegible]

სხვა წესდებას. საღამოს 9 საათზე დაგვაწყობდნენ, დაგვთვლიდნენ, დაგვათვალიერებდნენ და შემდეგ ძილინებისას გვისურვებდნენ.

1901 წლის ივნისში გამოგვიცხადეს მანჯურიაში სარმრად უნდა წახვიდეთო. ივნისის 15-ს მოგვამზადეს. ქალაქ ოდესას კულიკოვის მინდორზე გამოვემშვიდობეთ; საღვდელოებამ დაგვლოცა, მეფე და სამშობლოზე გველაპარაკა; ორკესტრით ნავთსადგურამდე მიგვაცილეს.

ჩვენ, მეთოთხმეტე პოლკი გემ „პიზა"-ზე მოგვათავსეს ჩვენი ბარგი-ბარხანით. კარგი დარი იყო.

17 ივნისს ტრაპიზონში შევჩერდით, შემდეგ დღეს სტამბოლისაკენ გავწიეთ და 20 ივნისს იქ მივედით. სტამბოლი ზღვიდან მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სულთანის და პრინცების სასახლეები. ჩვენ, ჯარისკაცებს არ გვცილდებოდა პორუჩიკი მალინოვსკი და ამ უცხო ქვეყნის ამბავს მოგვითხრობდა. სხვათა შორის მან გვითხრა: რუსეთის მეფე რომ კვდება, შვილს ანდერძს უტოვებს — „სტამბოლი აიღე და სამარეში ჩამომძახე ეს ბედნიერი ამბავი"-ო.

სტამბოლიდან მარმარილოს ზღვა გავიარეთ და პორტსაიდში მივედით. შემდეგ გავცურეთ სუეცის არხი, გავედით წითელ ზღვაზე, რომელიც შორიდან მართლაც წითლად მოსჩანს. ახალგაზრდა არაბები გვთხოვდნენ მათთვის გადაგვეყარა ფული წყალში. ჩვენც შაურიანებს ვისროდით ზღვაში და ისინი ყვინთით იჭერდნენ ჩვენ მიერ ნასროლ ფულს, ზემოდ ამოცურდებოდნენ და მას გვიჩვენებდნენ ხოლმე. შემდეგ შევედით ადენის შესართავში; აქედან ინდოეთის ოკეანში ამოვყავით თავი. ინდოეთის ოკეანე აღელვებული შეგვხვდა, ცისა და წყალის გარჩევა ძნელი იყო. ჯარისკაცებს გვეგბრძანა ტრიუმში ჩავსულიყავით და ზევით არ ამოვსულიყავით. 10 დღე გავატარეთ დიდ ღელვაში. წითელ ზღვაში საშინელი სიცხისაგან და ინდოეთის ოკეანეში დიდი ღელვისაგან სამოცი ჯარისკაცი გარდაიცვალა. მიცვალებულებს ტილოებში ხვევდნენ, რკინას მია-

ბამდნენ, მღვდელი წესს აუგებდა და ზღვაში გადაუძახებდნენ ხოლმე. დიდი გაჭირვების შემდეგ კოლუმბოს ნავთსადგურში მივედით.

კოლუმბო ცეილონის კუნძულთან არის. ცეილონი იშვიათი ლამაზი კუნძულია. ტროპიკული მცენარეები, ლამაზი შენობები, კეთილმოწყობილი ქუჩები ამშვენებენ ცეილონს. ორი დღე დავრჩით კუნძულზე; უფროსებმა ქალაქის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩვენთან მოჰქონდათ გასაყიდად ბანანი, ანანასი და კოკოსის კაკალი. ძვირი არ იყო და ჯარისკაცებიც მას ბლომად ვყიდულობდით.

ცეილონიდან მალაგის პატარა სრუტეში შევცურდით და რამოდენიმე დღის შემდეგ სინგაპურში ვიყავით, სადაც ორი დღე დავისვენეთ და მერმე შევცურდით ჩინეთის სამხრეთის ზღვაში, იქიდან ყვითელ ზღვაში და მივედით პორტარტურში. ოდესიდან პორტარტურამდე დაგვჭირდა 37 დღე.

პორტარტური ძლიერ მოხერხებული ნავთსადგურია. აქ დავრჩით ერთი კვირა. პორტარტურის ქალაქი ძველებურია; ყველა შენობას გარს შემოვლებული აქვს ქვის კედლის სიმაგრე. ეტლებში ცხენების მაგიერ ჩინელები არიან შებმული და ისინი განსაცვიფრებელი სისწრაფით მიაქროლებენ მგზავრებს, — ეს ადამიანი-ცხენები! ერთი კვირის შემდეგ პორტარტურიდან წავედით ქალაქ შახესაკენ. ივლისის დამლევს შახეს მივუახლოვდით. მაღლობზე მტერი გამოჩნდა. ჩვენი რაზმის უფროსი გენერალი მიშჩენკო იყო, რომლის ბრძანებით ჯარი საომრად მოემზადა. რამდენიმე საათის შემდეგ მტერი დამარცხდა და ჩვენც ქალაქ შახეში შევედით.

28-ს დილით (1901 წლ.) ხუთი შეპყრობილი ჩინელი მხედარი მოიყვანეს. ჩინელი ჯაშუშები მათ პირში წარუდგენენ. ერთი მხედართანი ჯაშუშს ყელში ეცა და დაახრჩობდა, რომ არ მივშველებოდით. ჩინელმა მხედრებმა ჯაშუშებს ზიზღით გადახედეს და უთხრეს: ჩვენ ვკვდებით სამშობლოსათვის და გამყიდველები რა კაცები ხართო! სამხედრო სასამართლომ ხუთივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, რაც მაშინვე სისრულეში მოიყვანეს.

მე მორწმუნე ახალგაზრდა ვიყავი; ამ საშინელების დანახვაზე ცოტა არ იყოს ღმერთზე უკმაყოფილო დავრჩი, იმ ადგილს მოვ-ცილდი; რუსის ჯარისკაცები კი ჩამოხრჩობილებს ფეხებზე ეკიდე-ბოდნენ და მათ გარშემო ცეკვა-თამაშს მართავდნენ.

შახედან ქალაქ ლიაონისაკენ გავსწიეთ. მე ათი კაცი ჩამაბა-რეს და მზვერავ რაზმში გამგზავნეს. მზვერავ რაზმს გზა აგვებნა და მტრის ბანაკში ამოვყავით თავი. რამოდენიმე დღის შემდეგ, შეღამებისას, ძლივსძლივობით მოვახერხეთ ბანაკიდან თავის დაძ-რომა და ნაშუალამევს ჩვენ ნაწილთან ვიყავით.

30 ივლისს ლიაოიანს მივუახლოვდით; ძლიერ დაქანცული ვი-ყავით და ამიტომ ერთ მაღლობზე დაგვასვენეს. აქ ამოხირდა ერთი ჯარისკაცი, გვარად იაცენკო — „კუტაისკაია და კიტაისკაია, ეტო ესიო რავნო, ჩერეზ ვას მი სტრადაემ“-ო! ეს ველარ მოვითმინე, ია-ცენკოს თავზე თოფის დუგლუგი დავკარი და თავგატეხილი ხრამ-ში გადაგორდა იგი. ჩხუბზე ჩვენი უფროსები მოკიდნენ, საქმე გა-მოიძიეს და მე გამამართლეს, ხოლო გამაფრთხილეს — რამდენი კაცია გეოგრაფიის უცოდინარი და თუ ყველას თავი გაუტეხე, ჩვენ ჯარისკაცი აღარ დაგვრჩებაო!

ჩინელების სოფლები მჭიდროდ დასახლებული არიან. ყველა სახლს და სოფელს დიდი ქვის გალავანი არტყია. ოჯახი მათ პატ-რიარქალური აქვთ, თითო ოჯახში სამოც სულამდე ცხოვრობს. ჩი-ნელი მამაკაცები გრძელ დაწნულ თმას ატარებენ, ახალგაზრდები წვერულვაშს იპარსავენ, ხნიერებს კი გრძელი ულვაშები აქვთ. ოჯახს განაგებს უფროსი მამაკაცი. ქალები მძიმე შრომას ეწევიან. მათ კარგად იციან ქსოვა დ კერვა; ქსოვენ აბრეშუმს, ბამბის მატე-რიას, შალსა და ლერწამს. მიწის სივიწროვის გამო ბოსტანი სახლის სახურავზე აქვთ გაშენებული. სახლის სახურავი სწორია და ზედ მიწას აყრიან. მიწისთვის სასუქს ბლომად ხმარობენ. ჩვენ ბანაკთან „ვედროებით“ მოდიოდნენ ჯარისკაცთა „ოქროს“ მოსაგროვებ-ლად, რაზედაც ერთმანეთში ხშირად ჩხუბიც მოადიოდათ ხოლმე. ჩინელებს ყველა სოფელში სამლოცველო აქვთ. მიცვალებულს მი-

წის ზემოდ დასდგამენ და ქვითა და ცემენტით ამოაშენებენ. სასაფლაო სუფთად აქვთ, ეკლესიაც კარგი ხელოვნებისაა. ქალებს პატარა ფეხები აქვთ; აქაურებს პატარა ფეხები ძალიან მოსწონთ. ამბობენ, როცა ქალი დაიბადება, ფეხებს მაშინვე ხის კალაპოტში ჩაუდებენ რომ არ გაეზარდოთო. ჩინელები იკვებებიან ბრინჯით და სალათით. სვამენ არაყს, რომელსაც „სულეიმა"-ს უწოდებენ. ყველა ოჯახს რამდენიმე ბოჭკა აქვს ეს სულეიმა.

ქალაქ ლიაოიანში მარიობის თვის პირველ კვირას შევედით. ყველა გახიზნულიყო; სახლში არავინ იყო. რუსის ჯარი შეიჭრა სახლებში; რაც იქ მოეწონათ ტომრებში ჩააწყვეს, დანარჩენი კი დაამტვრიეს; დაიწყეს სულეიმას სმა, რის შედეგად ყველა გალეშილი ეყარა. ასე რომ მთელი გარნიზონის განიარაღება ბავშვებსაც შეეძლოთ.

სულეიმით მთვრალი ერთ კვირას ვერ მოდის გონზე. დავრჩით ფხიზლად მხოლოდ ქართველები და ებრაელები და მთელ გარნიზონს ჩვენ ვყარაულობდით. ჯარისკაცები შედიოდნენ სამლოცველოში, ყვიროდნენ: ეს რა ქრისტიანების ეკლესია არისო და ამტვრევდნენ შიგ ყველაფერს...

მანჯურიის ტერიტორია რუსებს ეჭირათ; ჩინელებს უნდოდათ მათი აქედან გარეკა; რკინისგზის სადგურები და საწყობები ჩინელებმა გადასწვეს, თვით რკინისგზა გააფუჭეს და სხვა. სამაგიეროდ რუსის ჯარმა და კაზაკებმა მთელი მანჯურიის კარმიდამო გადაბუგეს და მცხოვრებლების დიდი ნაწილი ამოჟლიტეს.

ლიაოიანში დავრჩით ოქტომბრის ოცამდე. ჩვენი მოვალეობა იყო სანგრების კეთება, სადარაჯოზე გასვლა და ხანდახან სურსათის მომტან ნაწილის დამცველად გაყოლა. მივყვებოდით აგრეთვე ჩინელ მოიჯარადრეებს 15 ჯარისკაცით. ერთმა მოიჯარადრემ გზაში მითხრა: ამ სოფელში ბევრი ჯორია, წაართვით, მომიყვანეთ და ფულს მოგცემო. გადავწყვიტე მომეტყუილებინა იგი, ის ქურდი მოიჯარადრე. გავიამხანაგე ერთი უკრაინელი, მოვიპარეთ ჩვენი მოიჯარადრის ჯორი და ვაცნობე მოიჯარადრეს წაეყვანა მოპა-

რული ჯორი. მოიჯარადრე ხიხარულით ცას ეწია და 50 მანეთი შემთავაზა; მე კი 80 მანეთი ვთხოვე. ბნელოდა. ის თავის ჯორს ვერ ამჩნევდა. მეორე დღეს ჩინელი გაჯავრებული გადმომხედავდა ხოლმე, მაგრამ რას გაბედავდა! მისი ჯორი მას მიჰყავდა, ჩვენ კი 50 მანეთი ვიხელთეთ. 21 ოქტომბერს ჩვენი ათასეული ქალაქ იანსტაში გადაიყვანეს. აქედან ისევ პორტარტურში დაგვაბრუნეს, სადაც ვასრულებდით საგუშაგო სამსახურს.

1902 წელს, იანვრის ხუთს, რუსეთისაკენ ვქენით პირი. იგივე გზა, იგივე სურათი; მხოლოდ ინდოეთის ოკეანე დაწყნარებული შეგვხვდა. ამ ზამთრის თვეში პორტსაიდამდე პერანგის ამარა ვიყავით. შემდეგ კი ჯარისკაცის ფარაჯაშიც ვერ ვთბებოდით. თებერვალში ოდესაში მივედით. იგივე ყაზარმა, იგივე მეცადინეობა.

ერთ დღეს ჩვენი ათასეულიდან საუნტეროფიცრო სკოლაში გაგზავნეს 80 კაცი; ამათ შორის რამოდენიმე ქართველიც ვიყავით. ჩვენი უფროსები იყვნენ კაპ. ბაულინი და „ფელთვებელი“ შჩერბაკოვი. ბატულინი იშვიათი ადამიანი იყო: კარგი მსროლელი, გიმნასტიკის კარგი მცოდნე. შჩერბაკოვიც კარგი თვისების კაცი იყო. გიმნასტიკაში და სროლაში მე ბევრს ვჯობნიდი. სამაგიეროდ, თეორიულ მეცადინეობაში, რუსული ენის საკმაოდ უცოდინარობისა გამო, ჩამორჩენილი ვიყავი, მაგრამ ბევრს ვმაცადინობდი და მაინც წინ მივდიოდი. მე და მგელაძე გამოცდებზე პირველი ვიყავით, პირდაპირ ნაცვლობის სახელწოდება მივიღეთ და ჩვენს ასეულში დავბრუნდით.

სროლაში გამართულ შეჯიბრში პირველი ჯილდო მივიღე. ერთხელ საზაფხულო ბანაკში ტანთვარჯიშობა გაჭართეს. შეჯიბრს ოდესის მთელი არმია დაესწრო. შეჯიბრში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ჩემი ჯგუფიდან მე პირველმა მივაღწიე დანიშნულ ადგილზე. ქება დავიმსახურე, ესტრადაზე წარჩინებულ პირებთან მიმიყვანეს; გენერალ-პოლკოვნიკმა საჯაროდ შემაქო, როგორც ქართველი და ჯილდოდ მომცეს 80 მანეთი.

კურსკის გუბერნიაში ტარდებოდა ეგრეთ წოდებული „მეფის

მანევრები“, რაშიაც ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას. ჯარი ორად გაჰყვეს. ერთ ნაწილს თვით მეფე ნიკოლოზი ხელმძღვანელობდა, მეორეს კი დიდი გენერალი (გვარი აღარ მახსენდება). მთელი გენერნია შემოგვარბენინეს, მოსამკალი ყანები სულ გავანადგურეთ. გლეხები თმას იგლეჯდნენ ყანების გაოხრებისათვის, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა მათ; თუ რამეს გაბედავდნენ, ამათრახებდნენ კიდეც. მანევრებმა ძლიერ დაგვქანცეს და ცოცხალ-მკვდარნი ოდესაში დავბრუნდით.

1902 წელს გიორგობის თვეში ორი თვის შვებულება მომცეს. შევიკერე ახალი ტანთსაცმელი და გურიაში მიველი მოსირმული მუნდირით და მკერდზე სხვა და სხვა ჯილდოთი. მშობლებმა და ნათესავებმა დიდი სიყვარულით მიმიღეს.

შვებულების დათავების შემდეგ ისევ ოდესაში გავბრუნდი და სამსახური განვაგრძე. ერთგული და წესიერი სამსახურისათვის წარჩინება მივიღე. ხელქვეითებისათვის სასტიკი ვიყავი, მაგრამ უსამართლო — არასდროს. მაგალითად. ჭურდობისათვის ვსჯიდი, ოღონდ სასამართლოში არ ვაძლევდი. ერთხელ ჩემი ხელქვეითი ვიღაც ოფიცერმა გამილახა. ოფიცერს თოფით გავეკიდე. ხიშტზე უნდა წამომეგო. ამისთვის პასუხისგებაში მიმცეს. ჩემი უფროსები რომ არ დამხმარებოდნენ, ჩემი საქმე ცუდად გათავდებოდა. ყაზარმიდან სასეირნოდ იშვიათად გავდიოდი, საგუშაგო სამსახურს სასტიკად ვასრულებდი; ამიტომ „სლუჟებისტს“ მეძახდნენ.

სამსახურის უკანასკნელი დღეები ძალიან ნელა მიდიოდა, ჩვენ კი სამშობლოში დაბრუნება გვეჩქარებოდა.

ოდესაში მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა. გაფიცვის ჩასაქრობად ჩვენ მიგვიყვანეს; გენერალ კულბასოვმა სიტყვით მოგვმართა და თან გვიბრძანა: მოლალატეებისათვის თოფიც გვესროლა, თუ საჭირო იქნებოდა. ჩვენმა ჯარმა მუშების წინააღმდეგ სროლაზე უარი განაცხადა, რის შემდეგ გაფიცულებს კაზაკები მიუსიეს. ჩვენ კი სასჯელად ერთი თვით კაზარმებში ჩაკეტვა მოგვისაჯეს.

გავიგე, რომ ოდესის უნივერსიტეტში ჩემი დეიდაშვილი, მიხაკო შევარდნაძე სწავლობდა. ნათესავ სტუდენტს ვეწვიე; მან მაშინვე პოლიტიკაზე ჩამომიგდო ლაპარაკი: აძაგებდა მეფეს და არსებულ წყობილებას. მე ვთხოვე, ჩემთან მეფის ძვირი არ ეთქვა. მაშინ თავი მონარქისტად მომჭონდა; ისიც მომერიდა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

მწიფობისთვის ბოლოს სამსახური გავათავე და 17 ქართველი მუსიკით ოდესის ნავთსადგურამდე მიგვაცილეს და ბათუმისაკენ გავემგზავრეთ. ამ დროს რუსეთში და ამიერკავკასიაში დიდი რევოლუციური მოძრაობა იყო. კავკასიის მოძრაობაში ბათუმის მუშები მოწინავე როლს ასრულებდნენ. მე მაშინვე დამიწყეს ქადაგება ახალი იდეისა, მაგრამ არ მომწონდა. რადგან მოქადაგენი მეფეს ცუდად იხსენიებდნენ. ბათუმიდან ჩემ სოფელს წავედი. იგივე სიხარული და ქეიფი! ქრისტესშობის თვეში გადავწყვიტე მემუშავა რკინის გზაზე, ამიტომაც შევედი თბილისის რკინის გზის სასწავლებელში. სამ თვეში გამოცდები დავიჭირე და ბაქოში გამგზავნეს. ვმუშაობდი საბარგო მატარებლის კონდუქტორად ბაქოდან აჯიქაბულამდე. მაშინ რკინის გზის მეშაობა ცუდ პირობებში გვიხდებოდა, განსაკუთრებით კონდუქტორებს; გადაუხურავ ვაგონზე მუხრუჭთან ჯდომა იწვევდა გაცივებას და მძიმე ავადმყოფობასაც. უბრალო საქმე იყო მუხრუჭთან კონდუქტორის სადგომის გადახურვა, მაგრამ თავს ამის გამო არავინ იწუხებდა.

ჩემი ამხანაგების უმეტესობა პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა; მე პოლიტიკის არაფერი გამეგებოდა; ამიტომ მათგან განზე ვიდექი. შემდეგ დავიწყე პოლიტიკური წიგნაკების კითხვა; ვკითხულობდი გაზეთ „ისკრა"ს, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდიოდა; ვეცნობოდი არა ლეგალურ პროკლამაციებს, ვესწრებოდი ბაქოს მუშების დემონსტრაციებს, რაც ისე ხშირი იყო იმ ჟამად.

ერთ მხარეზე იყო მშრომელი ხალხი, მეორე მხარეზე იდგა მეფე თავისი პოლიციით, შეიარაღებული ჯარით, ჯვარით ხელში

და მუსრს ავლებდა მუშა ხალხს კანონიერი მოთხოვნილებისათვის: ასახლებდა, გზავნიდა კატორღაში, ალპობდა ციხე-ციმბირში; სამღვდელოება ამ ძალმომრეობას ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა. დავრწმუნდი, რომ ხდებოდა ცხადი უსამართლობა — სიმართლე მშრომელი ხალხის მხარეზე იყო.

გადავწყვიტე შევსულიყავი რევოლუციურ ორგანიზაციაში და 1904 წლის ნოემბერში კიდევაც შევედი ბაქოს რკინის გზის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. რეკომენდაცია მომცა ახალგაზრდა ნიგოითელმა გოგეშვილმა.

მახსოვს, ერთ-ერთ კრებას დაესწრო პარტიის ორმოცი წევრი; მათ შორის პროპაგანდისტი „მიშა" (ებრაელი), რომელმაც მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე. შემდეგ კრებებზე კი დადიოდნენ: ისიდორე რამიშვილი, პავლე საყვარელიძე, დავით ღამბაშიძე, სეით დევდარიანი, ძმები შჩენდრიკოვ, ალიოშა ჯაფარიძე და სხვანიც. მე ახალ მოღვაწე-მოციქულებს დიდი სიყვარულით ეპყრობოდი და თვითეულ მათ სიტყვას გულდასმით ვუსმენდი. მინდოდა დამემსახურებინა მათი ყურადღება ჩემი ერთგულობით.

1905 წელში რევოლუციურმა მოძრაობამ იმატა, რასაც ხელი შეუწყო რუსეთ-იაპონიის ომმა და ამ ომში რუსეთის დამარცხებამ. 1905 წლის თებერვალში ამიერკავკასიის რკინის გზის დიდი გაფიცვა მოხდა. საქმე ძლიერ გამწვავდა. ერთ-ერთ კრებაზე გადაწყდა რამოდენიმე პროვოკატორ-ჯაშუშის თავიდან მოცილება. ამ საქმის გამო შევიკრიბეთ ხუთი კაცი; ტერორისტული გეგმა უნდა შეგვემუშავებინა; მაგრამ ჯაშუშებმა გაგვცეს და საღამო ჟამს პოროხოვის ქუჩაზე ჟანდარმერიამ და კაზაკების რაზმმა ალყა შემოგვარტყა. ჩვენ იარაღი თან არა გვქონდა, ამიტომ დავნებდით. ჩვენთან ერთად დააპატიმრეს: ვახტანგაძე, ბერეჟიანი, ფუტკარაძე და სხვ. ჩაგვსვეს ბაილოვის ციხეში. პოლიტიკურ ტუსაღებს შედარებით კარგად ეპყრობოდნენ; ჩვენს კამერებს სისხლის სამართლის დამნაშავეებს ასუფთავებინებდნენ; საჭმელ-სასმელსაც ისინი გვიზიდავდნენ. ჩვენთან ერთად იჯდა სხვა და სხვა პარტიის წევრი. ჩვენთან

ერთად იყო ცნობილი სეით დევდარიანი; ფრიად ნიჭიერი და მეტად კარგი ადამიანი. რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა; სხვათა შორის იგი ლექციებსაც გვიკითხავდა ტუსაღებს. ამ დროს პეტერბურგიდან ბაქოს ჩამოვიდა სენატორი კუზმინი. მან ტუსაღებს ყველაფერი გამოგვკითხა და დახმარება აღგვითქვა.

ციხეში რეჟიმი მძიმე იყო. დღეში ერთხელ გვიშვებდნენ სასეირნოდ; ვთამაშობდით გიმნასტიკას, თოკზე მაღლა ხტომას და სხ. მე ისე მაღლა ვხტებოდი, რომ ციხის უფროსმა ორი გუშაგი მომიჩინა იმის შიშით, რომ ციხის გალავანზე არ გადახტეს და არ გაიქცესო!

45 დღის შემდეგ განმათავისუფლეს და აღდგომის დღე მეგობრებში თავისუფლად გავატარე. ციხიდან რომ გამოვდიოდი, მაშინ დავიფიცე: აქ აწი ცოცხლად ვერ მომიყვანებენ-მეთქი. ციხის კედლებში ჩემი სული არ ეტეოდა, სუნთქვა მიჭირდა, ჰაერი არ მყოფნიდა.

განთავისუფლების შემდეგ ისევ რკინის გზაზე დავიწყე მუშაობა. კონდუქტორების მეტი ნაწილი ქურდობდა, მიჰყავდათ უბილეთო მგზავრები, სტეხდნენ ვაგონებს და იპარავდნენ საქონელს. ერთხელ აჯიქაბულში, დასასვენებელ სახლში, ჭამის დროს ჩემმა ამხანაგმა კალიაევმა ფული მომაწოდა და მითხრა — ეს ფული გერგო დღეს უბილეთოდ რომ მგზავრები წავიყვანეთო! მე ძლიერ გავბრაზდი და ვუყვირე — ვის უბედავ შენ ნაქურდალის შეძლევას?! მე მას ცხელი წყლით სავსე ჩაიდანი თავზე დავარტყი, ცხელი წყალი მას თავზე გადაევლო და საავადმყოფოში წაიყვანეს იგი. კალიაევმა საჩივარის აღძვრა ვეღარ გაბედა, რადგან მე მას ქურდობას დავუმტკიცებდი.

სოც.დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დამავალა: ბაქოდან აჯიქაბულამდე არა ლეგალური ლიტერატურის გავრცელება, რის შესრულებას ენერგიულად შევუდექი.

ბაქოს დეპოში ერთი ჯაშუში, გვარად ვანოვსკი აშკარად მო-

ქმედებდა. გადაწყდა მისი მოკვლა. ამ მიზნით მას ბალახანის ქუ-ჩაზე შეხვდა შეიარაღებული კ. იმედაშვილი, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა და ვანოვსკი სიკვდილს გადარჩა. ჯაშუში შიშით მიწაზე გაიშხლართა.

ბაქოს რკინის გზის რაიონში ხელმძღვანელ რევოლუციურ როლს თამაშობდნენ ნიკიჩა ვარდოიანი, სოლომონ ყაზბეგი, ძმები შალვა და ნოე რამიშვილი. ძმები ვაშაკიძე და სხ. ხშირად იმართე-ბოდა კრება, დემონსტრაცია, მანიფესტაცია.

1905 წელს, გაზაფხულზე რევოლუციური მოძრაობა თანდა-თან იზრდებოდა. იმა წლის 17 ოქტომბერს მეფის მთავრობამ გამო-სცა მანიფესტი, რომლითაც მეფე მთელი იმპერიის ხალხს თავისუფ-ლებას პირდებოდა. რევოლუციურ მეთაურებს მეფის რეჟიმის არა-ფერი სჯეროდათ და ამიტომ ძალინი ხალხს მეფის ჩამოსაგდებად მო-უწოდებდნენ. ამ მიზნით ბაქოში გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ორასი ათასზე მეტმა კაცმა. დე-მონსტრანტები გენერალ-გუბერნატორის სასახლისაკენ გაემართნენ, გამოითხოვეს გუბერნატორი გენერალი ფადეევი. გამოვიდნენ ორა-ტორები და მეფის რეჟიმი მიწასთან გაასწორეს. ფადეევი მოლიბე-რალო კაცი იყო; მან დემონსტრანტებს უთხრა — შვილებო! რაც თავისუფლება მოგენიჭათ, ღმერთსა ვთხოვ, ის რიგიანად მოგეხმა-როთო! გენერალ-გუბერნატორს მოსთხოვეს გაეღო ციხის კარები და ყველა პატიმარი გაენთავისუფლებინა. პატიმრების განთავის-უფლებაზე გენერალ-გუბერნატორმა უარი განაცხადა, განსაკუთრე-ბით სისხლის სამართლის დამნაშავეების შესახებ. განრისხებული ხალხი ციხისაკენ წავიდა, რათა ტუსაღები ძალით გაენთავისუფლე-ბინათ. მოწინავე რევოლუციონერები შეიარაღებული წინა რიგში ვიყავით. საათის ოთხზე ბაილოვის ციხეს მივადექით. აქ კი პოლი-ცია და სალიანის ათასეული გადაგვეღობა. წრე მაინც გავარღვიეთ და ციხეს მივადექით. გუბერნატორმა მდგომარეობას ანგარიში გა-უწია და ციხის კარი გააღებინა.

ამ გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, გუბერნატორს არ გაენთავისუფლებინა გაბო

ხუნდაძე. ამან ხალხი ისე ააღელვა, რომ ისევ ციხეზე მისვლა ვა-
დასწყვიტა. მთავრობამ დაპირება მოგვცა, ხვალ უაცილებლად გა-
ვათავისუფლებთო; ხუნდაძემ კი ციხიდან წემოგვითვალა — ჩემი
გულისათვის სისხლს ნუ დაღვრითო. რევოლუციონერები სამხედ-
რო ციხისაკენაც გაემართნენ, რათა ტუსაღი ჯარისკაცები გაენთავი-
სუფლებინათ. აქ კი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ორივე მხრით
იყვნენ დაჭრილ-დახოცილები. გამარჯვება მაინც დემონსტრანტებს
დარჩათ და ჯარისკაცი ტუსაღები გაანთავისუფლეს.

ბაქოს შეიარაღებულ რევოლუციონერებს სოც.-დემოკრატიუ-
ლი მუშათა პარტიის „მეომარი ლაშქარი" ერქვა. იყვნენ სხვა და
სხვა პარტიის შეიარაღებული ჯგუფებიც, რომლებსაც ჩვენთან კავ-
შირი ჰქონდათ. მე ვიყავი რკინის გზის რაიონის შეიარაღებული რა-
ზმის მეთაური.

1903 წელს, ლონდონში, შესდგა რუსეთის სოციალდემოკრა-
ტიული მუშათა პარტიის ყრილობა. ამ ყრილობაზე თავი იჩინა
ორმა მიმდინარეობამ. ერთს სათავეში ჩაუდგა ლენინი, მეორეს —
პლეხანოვი. ლენინი დიქტატურის მომხრე იყო. ის ამტკიცებდა,
რომ მშრომელი კლასი უნდა განთავისუფლდეს დიქტატურის
გზითო. პლეხანოვი და მისი თანამოაზრენი კი იყვნენ მშრომელი
ხალხის დემოკრატიული გზით განთავისუფლების მომხრე. ამ ნია-
დაგზე ატეხილმა დავამ პარტიაში განხეთქილება გამოიწვია. ლე-
ნინმა სამი ხმით მეტი მიიღო და ეწოდა მის მიმდინარეობას „უმრავ-
ლესობა" (ბოლშევიკი); პლეხანოვს — „უმცირესობა" (მენშევიკი).
დელეგატების რუსეთში დაბრუნების შემდეგ ყველგან გაცხოველე-
ბული კამათი გაიმართა; პარტია ორად გაიყო; ერთი ოჯახი განა-
წილდა.

ბაქოს მუშების უმრავლესობა მხარს უჭერდა „მენშევიკებს".

1904 წლის ნოემბერში გაიმართა ბაქოს რკინის გზის რაიონში
კრება. მას დაესწრნენ ორივე მხარის წარმომადგენლები; გაიმართა
კამათი. მუშების დიდი უმრავლესობა მენშევიკებს მიემხრო, რამაც
ბოლშევიკები ძლიერ გააბრაზა.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა თანდათან გაძლიერდა. ჩვენს რაზმს კი იარაღი საკმარისი არ ჰქონდა. ბაქოს საბარგო სადგურში მოვიდა რუსეთიდან ორი ვაგონი თოფი და ვაზნები. გავიგეთ ეს. ორივე ვაგონი გავიტაცეთ და მთელი იარაღი შევინახეთ ყაზბეგის და ექსტავის ბინაზე. ასე ვაძლიერებდით ჩვენს შეიარაღებულ ძალას. მუშებს ვასწავლიდით იარაღის ხმარებას; ვვარჯიშობდით ასაფეთქებელ ხელ-ყუმბარაზე; ვავდიოდით მინდვრად და ვსწავლობდით სროლას.

ჩვენს რაზმში შემოსვლას ბევრი ცდილობდა. მოხდა ისე, რომ რეკომენდაციით შემოვიდა რამდენიმე ყაჩაღი. რეკომენდაციის პირები გვეუბნებოდნენ — რევოლუციაში ყველა უნდა გამოვიყენოთო. მე პირადად ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან არა მრწამდა ქურდ-ყაჩაღების რევოლუციონერობა. მიუხედავად ამისა, ათი, არა საიმედო, შეიარაღებული ყაჩაღი, ნესტორ სურგულაძის მეთაურობით, შემოყვანილ იქმნა ჩემს რაზმში. ეს ყმაწვილები მეუბნებოდნენ — თუ გამოსვლები იქნეს, მაშინ ჩვენ, სადაც ხაზინა არის, იქით გაგვაგზავნეო. მე ამათგან დიდი ნაწილი მალე მოვიშორე თავიდან.

ბალახანის რაიონში მეფის აგენტებმა მოჰკლეს მოწინავე მებაღე, გვარად მონტინი. იგი იყო თბილისელი და ამიტომ ვადაწყდა მისი თბილისში დასაფლავება. ნოემბრის ბოლო რიცხვებში, საკუთარი მატარებლით, 30 შეიარაღებული რაზმელით და დელეგატებით ბაქოდან თბილისს გავემგზავრეთ. მატარებელი წითელი დროშებით იყო მორთული. ყველა სადგურზე ხალხი გვხვდებოდა და თანაგრძნობის სიტყვებს წარმოსთქვამდნენ, იხსენიებდნენ ზიზღით მონტინის მკვლელებს და მეფის რეჟიმს. დილის 10 საათზე ნავთლუღის სემაფორასთან გაგვაჩერეს. ალყა შემოგვარტყა კაზაკების ასეულმა და ჟანდარმებმა. მატარებელი გარედან დაათვალიერეს. უფროსმა მატარებლის დანიშნულება გვკითხა. თურმე თბილისისათვის ეცნობებინათ — წითელი მატარებელი მოდისო! ჩვენთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და თბილისის სადგურზე შეველით 11

საათზე. იქ დაგვხვდა ზღვა-ხალხი, დროშებითა და გვირგვინებით. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ქართულად სიტყვა წარმოთქვა ვლასა მგელაძემ. მისმა მგრძნობიარე სიტყვამ დამსწრეებში ღელვა და ქვითინი გამოიწვია. კუბო ხელით აიტაცეს და პირველად ნაძალადევის რაიონში გასწიეს, რადგან იქ მუშების უმრავლესობა გვეგულებოდა. პროცესიას წინ ჩვენი შეიარაღებული რაზმი მიუძღოდა, შემდეგ მოჰქონდათ გვირგვინები, მერმე მოასვენებდნენ ცხედარს და უკან ზღვა-ხალხი მოდიოდა. ნაძალადევშიც ბევრი სიტყვა წარმოითქვა. იქ დაგვხვდა ისიდორე რამიშვილი და ათასამდე შეიარაღებული რევოლუციონერი, სილიბისტრო ჯიბლაძის მეთაურობით. მონტინის კუბოთი მთელი თბილისი შემოვიარეთ. შემდეგ იგი მივასვენეთ მისი მოხუცი დედის სახლის წინ. დედა მისი მივიდა მოკლული შვილის კუბოსთან, ეამბორა ცაცივებულ მკვდარს და უთხრა — არ გტირი, შვილო!

მონტინი მიწას მივაბარეთ და ისევ ბაქოსაკენ გავწიეთ. ბაქოში მე ჩემი რაზმის წრთვნა განვაგრძე. ბაქოს მთელ მიდამოებში გაჩაღდა რევოლუციური მუშაობა. მეფის ხელისუფლება ათას ხრიკს მიმართავდა ამიერკავკასიაში ერებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად და ხშირად შედეგსაც აღწევდა. მეფის „ოხრანკამ" შესძლო შუღლის ჩამოგდება სომხებსა და თათრებს შორის, რაც ხოცვა-ჟლეტამდე მივიდა. ქართველები შუამავალის როლში გამოვიდნენ, რამაც არა ერთი და ორი ჩვენი ამხანაგი იმსხვერპლა. რკინის გზის რაიონში შემოიხიზნა მრავალი სომხის ქალი და ბავშვი, რომელთაც ჩვენი რაზმი იცავდა. თათრის შეიარაღებულმა ძალამ ჩვენზე იერიში მოიტანა; ჩვენ მას მოციქულები მივუგზავნეთ და ისინიც უკან გაბრუნდნენ.

1905 წლის ქრისტესშობის თვეში მოსკოვიდან და პეტერბურგიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა — დამარცხდა რევოლუცია, გაიმარჯვა რეაქციამ! მთელს რუსეთში გამოცხადდა სამხედრო წესები, ბაქოში კი საალყო წესები. შეიქნა რევოლუციონერების დაპატიმრება, ხოცვა-ჟლეტა; რკინის გზის მუშები სახაზინო ბინებიდან

გამოაძევეს, სატუსაღოები მოწინავე პირებით გაივსო. მთელი რუსეთი გლოვის ტირილმა მოიცვა; მეფის აგენტები არავის არ ინდობდნენ. გადავწყვიტეთ გადავსულიყავით არა ლეგალურ მდგომარეობაში.

ბაქოს სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაადგინა: ჩამოგვერთმია ჩვენი მხედრებისათვის იარაღი და საიმედო ადგილას შევენახა. მოვიწვიე რაზმელები და გადავეცი ორგანიზაციის დადგენილება. მათ მე მოვიწოდე გაეწიათ ანგარიში დადგენილებისათვის და იარაღი მოეტანათ. რომ მაგალითი მიმეცა სხვებისათვის, ავიყარე იარაღი და მაგიდაზე დავაწყვე. რაზმის ნაწილი არ მოელოდა რომ მე ამ დადგენილებას დავემორჩილებოდი და იარაღს ავიყრიდი. უმრავლესობამ იარაღი ჩამაბარა. ნაწილმა უარი განაცხადა განიიარაღებაზე — გამოცხადდენ პოლიციაში და თქვეს, თუ ვინ მისცა მათ იარაღი. ნაწილი ავაზაკად გაიჭრა და ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი. გადავწყვიტეთ ზომების მიღება მათ წინააღმდეგ. ვინც ბაქოში დარჩა, ისინი განეიარაღეთ.

ჩვენი რაზმი ინტერნაციონალური იყო: ქართველები, ებრაელები, სომხები, თათრები, ჩერქეზ-ლეკები და სხვ. დაგვიწყეს სასტიკი დევნა, რის გამო ბევრი რაზმელი ბაქოს მოშორდა. მოვშორდი მეც რკინის გზის რაიონს და გადავსახლდი ქალაქის რაიონში, კამენსტის ქუჩაზე, სადაც რვა ამხანაგი ცხოვრობდა. მათ შორის ორი რუსი ქალი, კატია და ანა. ეს უკანასკნელი შესანიშნავი ორატორი იყო.

სწორედ იმ ხანაში ებრაელი იაკოვლევი გაპროვოკატორდა და ბევრი ჩვენი ამხანაგი გასცა. იაკოვლევი მეტად ლამაზი შესახედავი იყო, კარგი მოსაუბრე და განათლებული. საჭირო გახდა მისი თავიდან მოშორება და ეს გადაწყვეტილება იქმნა მიღებული.

ერთ საღამოს ის ჩვენ ბინაზე მოვიდა და ყველა დაგვათვალიერა. უკვე საღამო იყო, როცა გამოკვეემშვიდობა. მე უკან გავყევი. ტრამვაის რომ მიუახლოვდა, ნაცნობ ქალს შეხვდა და ლაპარაკი დაუწყო. იქვე ახლოს პოლიციელები იდგნენ მაუზერით შეიარაღე-

ბული. მიუხედავად ამისა, მე მას მაინც ვესროლე და პროვოკატორი მიწაზე უსულოდ დაეცა. პოლიციელები დაიბნენ, მე კი ჩემს ბინაზე დავბრუნდი, საიდანაც მაშინვე სხვა ბინაზე გადამიყვანეს.

ოკინის გზის რაიონში დაატუსაღეს სოციალისტების მეთაურები: მიკიჩა ვარდოიანი, სოლომონ ყაზბეგი, სპროგე, მამულაიშვილი. ილ. ყენია, ლ. შჩედრიკოვი, ნიკო ბერეჟიანი და სხვ. მოხდა დაპატიმრება სხვა რაიონებშიაც. ქალაქის რაიონში დააპატიმრეს ცნობილი ანდრია ვიშინსკი. ყველა გადასცეს სასამართლოს; გასამართლება მოხდა 1906 წლის მარტში; დამცველებად მოწვეული იყვნენ პეტერბურგიდან ვექილები; მათ შორის ცნობილი სოკოლოვი. მიუხედავად იმისა, რომ მე სასიკვდილოდ დამდევდნენ, პროცესს მაინც ვესწრებოდი. ბრალდებულთა მეტ ნაწილს ციმბირს გადასახლება გადაუწყვიტეს, დანარჩენები კი გაანთავისუფლეს, მათ შორის ანდრია ვიშინსკიც.

ამ რაიონში მუშაობის დროს მე გავეცანი ანდრია ვიშინსკის, ძმებ პოდოლსკებს, პ. საგატელოვს, ალიოშა ჯაფარიძეს, დავით ღამბაშიძეს და ყველა სხვა აქტიურ მომუშავეს. მაშინ სამხედრო ორგანიზაცია მენშევიკებსა და ბოლშევიკებს ერთად გვქონდა, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დავშორდით ბაზინის ექსპროპრიაციის საქმის გამო.

ანდრია ვიშინსკი ნიჭიერი ორატორი და განათლებული იურისტი იყო. მისი მშობლები საზოგადო მოღვაწენი იყვნენ და მათ საზოგადოებაში კარგი სახელი ჰქონდათ; მისი უმცროსი ძმა კოლია იმ დროს სტუდენტი იყო. ანდრიას მეუღლე კაპიტალინა ისიდორეს ასული მასწავლებელი იყო; ვიშინსკის მამას აფთიაქი ჰქონდა. ანდრიას ოჯახი იყო რევოლუციონერების სულის ჩამდგმელი, დევნილების და გაჭირვებულების დამხმარე. ვიშინსკის მეთაურობით მოწვეულ იქმნენ რვა რაიონის სამხედრო ხელმძღვანელები. არჩეულ იქმნა სამხედრო შტაბი ხუთი კაცისაგან შემდგარი. სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის მხრივ შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნენ: ის. რამიშვილი და ანდრია ვიშინსკი; ტექნიკურ ხელმძღვა-

ნელად: პ. საგატელოვი, ფინანსებისა — ივ. კარჩევსკი და სამხედრო საწყობების უფროსად — მე.

მიუხედავად სუსხიანი რეაქციისა, ჩვენ მაინც ვახერხებდით საომხედრო მუშაობას ყველა რაიონში.

1906 წელს თბილისიდან ბაქოში გვეწვია ვლასა მგელაძე, რომელიც მაშინვე შტაბში მივიწვიეთ. ვლასა დახელოვნებული იყო ყუმბარების და ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადების საქმეში; მასთან ჩამოჰყვა ყუმბარების სპეციალისტი კაკო. მოსკოვიდანაც ჩამოვიდა ამხანაგი ზაალი და შევუდექით ყუმბარების მზადებას.

ერთხელ ვლასა წავიყვანე რკინის გზის რაიონში ერთი სომხის ოჯახში, სადაც თოფებისა და ბომბების საწყობი გვქონდა. დავიწყეთ იარაღის წმენდა და ბომბების მოწესრიგება. მუშაობა გავათავეთ ღამის ათ საათზე და გამოვედით ქუჩაში. ცოტა გავიარეთ თუ არა, მოულოდნელად გარს შემოგვერტყა ექვსი შეიარაღებული პოლიციელი; გვიბრძანეს ხელების აწევა. მე მაუზერი პალტოს ქვეშ მქონდა, ვლასა კი უაიარაღოდ იყო. პოლიციელს, რომელსაც თოფი ჩემს მკერდზე ჰქონდა მობჯენილი, ხელი ავკარი, წინ გავწიე და მაუზერის ამოღება დავიწყე. თან ვყვიროდი: 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით უფლება არა გაქვთ გამაჩეროთ-მეთქი! უეცრად ვიძვრე მაუზერი, ამოვეფარე ელექტრონის ბოძს და გავხსენი ცეცხლი. ერთი პოლიციელი სასიკვდილოდ დაიჭრა, ორი მძიმედ, ერთმა კი გაქცევით თავს უშველა.

ქალაქში საალყო წესები იყო გამოცხადებული; თოფის ხმაზე ჯარი და პოლიცია ჩემსკენ გამოემართა. მე კი ჩემი სამხედრო ჯვარმენდლები მკერდზე დავიკიდე და მათთან მივედი. ჯვარ-მენდლები როცა დაინახეს, მორიდებით მკითხეს — თუ ვინ ისროდა. მათ მე გაჯავრებით ვუთხარი: იქ მთვრალი ხალხი თოფს ისვრის, წესრიგს არღვევს და თქვენ რატომ ყურადღებას არ აქცევთ!

ისინი სროლის ადგილისაკენ გაეშურნენ, მე კი მშვიდობით ბინაზე დავბრუნდი. იქ ვლასა დამხვდა მეტად აღელვებული — თურმე მე მას მოკლული ვეგონე! გახარებული გადამეხვია და მო-

მიყვა, თუ როგორ შეშინდნენ პოლიციელები სროლაზე და როგორ მიატოვეს ის.

ცხადია, მალულად ბომბების კეთება ძვირი ჯდებოდა; ამასთანავე ძნელიც იყო. ამიტომ მივეცი წინადადება შტაბს: დაგვემზადებინა ყუმბარები სხვა გზით, პირდაპირ ქარხანაში. შტაბმა მიიღო ჩემი წინადადება და დამავალეს მისი სისრულეში მოყვანა. მე მაშინათვე შევუდექი მზადებას. ვიშოვნე ხუთი ამხანაგი მუშა, მცოდნე ყუმბარების ჩამოსხმისა და 1906 წლის თებერვალში, 30 რაზმელით ქარხანა „პრომეთეს", მუშაობის შემდეგ, ალყა შემოვარტყი. ქარხნის პატრონი და ადმინისტრაცია დავაპატიმრე; ავამუშავეთ საჭირო მანქანები და სპეციალისტები მუშობას შეუდგნენ. ჩამოვასხით 70 ფუთი ყუმბარა. მოდელი მზად გვქონდა 5, 8 და 10 გირვანქიანი ბომბებისა.

გათენებისას მუშაობა გავათავეთ; ყუმბარები საიდუმლო ბინაზე გადავიტანეთ — იოსებ რაზმაძის და ერთი სომეხის ოჯახში. იოსები შეშინდა, მაგრამ მისი ცოლის დახმარებით საქმე კარგად მოეწყო. აქედან ეს ყუმბარები შემდეგ უფრო საიმედო ადგილას გადავიტანეთ, ქალაქის რაიონში.

საჭირო იყო დამზადებული ყუმბარების შემოწმება. გადავწყვიტეთ მათი გასინჯვა ქალაქ ბაქოს სამხრეთით „ვოლჩი ვოროტა"-ის მიმართულებით, ქალაქიდან ოთხი ვერსის მოშორებით — ტბის პირას. ვიშოვნე საიმედო მეეტლე და გავწიეთ დანიშნულ ადგილისაკენ. ჩვენ ოთხი ვიყავით: მე, კაკო, მანჯური და ბარამიძე.

დილის 11 საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე ვიყავით. დავითხოვეთ მეეტლე და საქმეს შევუდექით. ვისროლეთ ოთხი ყუმბარა; ოთხივე კარგად გასკდა; მეხუთე კი არა. გადავწყვიტე ყუმბარასთან მისვლა და ხელახლა გადასროლა. ამხანაგები მიშლიდნენ, რადგან შესაძლებელი იყო ყუმბარას დავემარცხებინე. მე ჩემი არ დავიშალე, ყუმბარასთან ხოხვით მივედი და გადავისროლე. ბომბი ჰაერში გასკდა; მე მშვიდობით გადავრჩი. ჩვენ ყველა დიდად კმაყოფილი დავრჩით, რომ ნამუშევარი კარგი გამოდგა.

დავრბუნდით უკან და გზის მახლობლად სადილს შევუდექით. შორიახლო გამოჩნდნენ ვილაცეები; ბინოკლით დავინახე შეიარაღებული ცხენოსნები ჩვენსკენ მოდიოდნენ. მივიღეთ საჭირო თადარიგი, თუ გამოირკვეოდა, რომ ჩვენთან მოდიოდნენ. „მანჯურია“ შესახედავად ყარამან ყაფლანს მოგაგონებდა. მაგრამ შეშინდა და მითხრა — რამდენიმე წუთის შემდეგ იქნებ ცოცხალი არ ვიქნეთ და შენ კი ჭამა-სმის ხასიათზე ხარო! ცხენოსნები მოგვიახლოვდნენ და ჩვენსკენ გადმოუხვიეს. ცხადი იყო, ვილაცამ გაგვცა. ცხენოსნებს მაუზერიდან ტყვიები დავაყარეთ და ექვსი კაცი ცხენიდან გადმოვყარეთ; დანარჩენებმა უკან მოჰკურცხლეს. დაიჭრნენ ცხენებიც.

ჩვენ გავწიეთ ქალაქისაკენ; უკან დახევა აღარ შეგვეძლო, რადგან ოთხი ვერსი ტრიალი მინდორი უნდა ვაგვერბინა, თან უკან დიდი ტბა გვქონდა. ამიტომ გავწიეთ წინ; ცოტა მოშორებით შევეჩეხეთ 150 ქვეით ჯარს, რომელმაც სროლა აგვიტეხა. „მანჯურია“ ხელიდან გაგვიძვრა და სადღაც მიიმალა. ბარამიძემ ნიშანში ჯარის უფროსი ამოიღო, რომელიც ცხენზე იჯდა და კამანდრობდა. ბარამიძის ტყვიამ დანიშნულებას მიაღწია და ჯარის უფროსი ძირს დაეცა. მოკლულ იქნენ ჯარისკაცებიც. მე დავიჭერი ფეხის კუნთში; ჭრილობა ღრმა იყო, მაგრამ შეტევისათვის თავი არ დაგვინებებია. ჯარმა მიატოვა პოზიცია და უკან გაბრუნდა. ვისარგებლეთ ამით და სომხის სოფელში შევირბინეთ, მაგრამ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავცვივდით. ყველა სახლიდან გვესროდნენ სომხის რაზმელები. იმათ ჩვენ თურმე თათრები ვეგონეთ. აქ კაკი დაიჭრა მკლავში; სროლას ჩვენ სროლით ვუპასუხეთ. აქედან ძლივ-ძლივობით გამოვედით ბალახანის ქუჩაზე, ლევენსონის ქარხანასთან. ამ ქარხანაში ჩვენი რაზმელები მუშაობდნენ; მათ ჩვენ ყაჩაღები ვეგონეთ და სროლა დაგვიწყეს. შემდეგ კი გვიცნეს და დახმარება გაგვიწიეს.

ამ დროს გამოჩნდა ეტლი, რომელშიც ქარხნის გამგე იჯდა; ჩვენ მას ჩავუჯექით ეტლში, თუმცა ის ძლიერ შეშინებული იყო. ცოტა გავიარეთ თუ არა, შეგვეფეთა ათი პოლიციელი და გაჩერება გვთხოვა. ჩვენ მაშინვე გადმოვხტით და საფარში ჩავჯექით.

პოლიცია რკინის გზის ნაწილიდან იყო. მათი უფროსი ოსი მე მი-ცნობდა და ჩემთვის სიტყვა ჰქონდა მოცემული, რომ არსად არ შემხვდებოდა. როგორც კი ოსმა დამინახა და მიცნო, პოლიციელები მან სხვა მიმართულებით წაიყვანა და გზა მომცა გავსულიყავი.

ბრძოლის დროს ბარამიძე სხვა მიმართულებით წავიდა; მე და კაკომ რკინის გზის მიმართულებით გავწიეთ, მაგრამ აქ უარეს საფრთხეში ჩავარდით.

თბილისიდან ბაქოში ჩამოსულიყო რკინის გზის დიქტატორი, ვინმე გენერალი, რაღაც საქმეებისა გამო. მთელი სადგური ჟანდარმებით იყო გავსილი და შეკრული. ჩვენ ბრძოლის თავი აღარ გვქონდა, ვაზნებიც ცოტა დაგვრჩა. თან ყველას ყურადღება სროლისაკენ იყო მიპყრობილი. მე ხერხს მივმართე. კაკოს მკლავი მკლავში გამოვდევი და ცოტა წავიღიღინეთ. ჟანდარმებმა ყურადღება არ მოგვაქცეს. იქვე ერთი ჩვენი რაზმელი, მემანქანე მანევრებს აკეთებდა. მან ჩვენ მაშინვე ორთქლმავალში აგვიყვანა და „შავ ქალაქთან“ გადმოგვსხა.

სროლა ისმოდა. როგორც სჩანდა, პოლიცია ბარამიძეს ესროდა. მისთვის ჯარისკაცებს თავი ქვით გაეტეხათ; მას კი რვა კაცი მოეკლა. ცოცხალ-მკვდარი ბარამიძე საავადმყოფოში წაიყვანეს. საათის ოთხზე მივედით პარაპეტაზე ექიმ შტეინთან. ჭრილობის შეხვევის შემდეგ მოვამზადე რაზმი და საღამოს საავადმყოფოს ვესტუმრე. კართან მდგომ პოლიციელს იარაღი ავყარე. გამოვიდა მაშინვე ფერშალი დოლიძე, რომელიც ჩვენი ამხანაგი იყო, და გამოგვიცხადა: ბარამიძე უკვე გარდაიცვალაო. დამწუხრებული უკან გამოვბრუნდით. მეორე დღეს ჩვენი ამბავი ბაქოს გაზეთებში იყო აწერილი.

მოთხრობილი ამბავის შემდეგ ვორონცოვის ქუჩაზე შემხვდნენ ისიდორე რამიშვილი და გიორგი ცინცაძე. მათ მთხოვეს წაგვიყვანეო კარგ აბანოში, კარგ მექისესთან. ისიდორე სულ თბილისელი მექისეების ქებაში იყო! თხოვნა შევუსრულე. მექისე გავაფრთხილე, რათა მას კარგი მასაჟი გაეკეთებინა.

ბაქოელი მექისე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ჯერ კარგად გასაპნა ისიდორე, მაგრად დაზილა, შემდეგ ფეხებით შედგა მის ზურგზე, მაგრამ გასაპნული ფეხები დაუცდა ცემენტზე და ეს ვეებერთელა კაცი მთელი თავისი სიმძიმით ისიდორეს ზურგზე დაენარცხა. ერთი კი დაიყვირა ისიდორემ — მომკლა ამ ოჯან დაქცეულმაო... და გული წაუვიდა. მაშინვე მოვიყვანე ექიმი და აბანოდან ისიდორე პირდაპირ საავადმყოფოში გადავიყვანეთ, სადაც მან ერთი კვირა გაატარა.

ისიდორე რამიშვილი მე ძალიან მიყვარდა; ის ყველა დიდ მიტინგზე გამოდიოდა ხოლმე და თავისი მჭევრმეტყველებით დამსწრეთ ხიბლავდა. მუშები მას „პაპას“ უწოდებდნენ.

1906 წელს, ზაფხულში შეიკრიბა ბაქოს დამცველი განყოფილების უფროსის თავჯდომარეობით სამხედრო სასამართლო. ჩემდა დაუსწრებლად განიხილეს ჩემი მოქმედება, გამომაცხადეს კანონს გარეშე და დააწესეს ჯილდოდ ჩემი სიკვდილისათვის: ხუთი ათასი მანეთი; ჩემი ცოცხლად დაჭერისათვის კი: ათი ათასი მანეთი. დამიწყეს საშინელი დევნა. განსაკუთრებით მეძებდნენ მუშების ოჯახებში. მუშათა ოჯახებს მოვერიდე და უფრო შეძლებულთა ოჯახებს შევაფარე თავი. ორ ღამეს ერთ ადგილზე არ ვჩერებოდი.

გამცემლები ჩვენ პარტიაშიც აღმოჩნდნენ. დაპირებულმა ჯილდომ სულმოკლეები მოხიბლა. მე კი თავის მადლიან კალთას მაფარებდა ყველა ეროვნების ხალხი.

იმ დროს ბაქოში მოღვაწეობდა დავით ღამბაშიძე; ის იყო ბოლშევიკურ ფრაქციაში, რომელიც მან მალე მიატოვა და გადმოვიდა ჩვენთან. მაშინ ის 22 წლის იყო, სტუდენტი, დიდი ნიჭის პატრონი; მან პირველმა მოაწყო ბაქოს მუშების შორის პროფესიული კავშირები და დიდად სახელი გაითქვა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც უკვე აღვნიშნე, სეით დევდარიანი. კარგი სახელი ჰქონდათ ძმებ შჩენდიკოვებს, მაგრამ ბოლოს მათ საკუთ

დაიჭირეს მთავრობის წარმომადგენელ გენერალ ჯუნკოვსკისთან, რისთვისაც ორივე პარტიიდან გარიცხეს.

ერთხელ დავით ღამბაშიძე ამიტყდა და დამაჟინდა: მაყურებინე როგორ ესვრი მტერსო! მე მას ავუხსენი, ეს სახიფათო იქნება შენთვის-მეთქი. მან თავისი არ დაიშალა და ერთი სროლის დროს კინაღამ მსხვერპლი არ გახდა.

ერთ სასტუმროში, პარაპეტზე, ცხოვრობდა ერთი პიროვნება, რომელსაც სიკოს ეძახდნენ. ერთხელ გავიცანი იგი და მან მითხრა: ვიცნობო კაზაკების ჯარის უფროსს, კაპიტან ერმოლოვს, რომელიც საიდუმლოდ კავკასიის ოფიცრობაში მუშაობსო. ამ კაპიტანს სურს სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციასთან დაახლოვებაო. ეს მე მაშინვე ვაცნობე სოც.დემ. პარტიის კომიტეტს. კომიტეტმა დაავალა ისიდორე რამიშვილს ენახა ეს კაპიტანი. მე ისინი ერთმანეთს შევახვედრე. ისიდორე პირველი შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. დანიშნეს მეორე კრება, რომელსაც მეც დავესწარი. კაპიტანმა ერმოლოვმა წარმოადგინა მოქმედების საკითხი. მან სხვათა შორის განაცხადა, რომ მოქმედებისათვის საჭიროაო ფული. მე ჩემი ჯარისკაცებით მალე დავინიშნები ხაზინაში დარაჯად; თქვენ გამოაწყვეთ რაზმელები, დაგვესხით თავს და ხაზინას ადვილად დაგითმობთო. ეს ჩვენ ყველას გვეუცხოვა და მტკიცე უარით ვუპასუხეთ. ერმოლოვს ეს არ მოეწონა. მან სთქვა: მე სომხების და თათრების ჟლეტის დროს ბევრი ფული შევიძინე ორგანიზაციის მოსაწყობად. მაგრამ სადაც ის ფული შენახული მქონდა, იმ სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ფულებიც დაიწვაო! დამწვარი ფულების ნაფლეთებიც კი გვაჩვენა და მწარედ ამოიოხრა.

ისიდორე რამიშვილმა განუცხადა მას, რომ ასეთი წინადადების შემდეგ ჩვენ შორის კავშირი შეწყვეტილი იქნებაო და ერთმანეთს ასე დავშორდით.

გავიდა ერთი თვე. ერთხელ შემხვდა სიკო და მითხრა: ერმოლოვს შენი ნახვა უნდაო. მე ცოტა ეჭვი შემეპარა, მაგრამ შეხვედრაზე მაინც დავთანხმდი. ერმოლოვთან მისვლამდე სასტუმროს მო-

სამსახურე გავაფრთხილე. რათა მას სასტუმროს უკანა კარი ღიად დაეტოვებინა. მოსამსახურე ჩვენი რაზმელი იყო.

ერმოლოვმა სასტუმროს დარბაზში მიმიღო და მისალმების შემდეგ მითხრა: მე ყაჩაღებთან გავაბი კავშირი, ვაჟკაცები ისინი არიანო! შემდეგ მაჩვენა გურიაში გამოცემული პროკლამაცია, რომელშიც ეწერა: გურიაში მოდის მაზრის უფროსად მეფის ჯალათი ერმოლოვიო, რომელმაც 1905 წელს, გურიაში მრავალი სახლი გადასწვაო. მან გულისტკენით მითხრა: ჯერ არ ჩავსულვარ და როგორი ეპიტეტებით მამკობენო. მკითხა რჩევა. მე ვურჩიე: ხალხს ცუდად ნუ მოეპყრობი და არაფერი ცუდი არ მოხდებაო-მეთქი. ამ საუბარის დროს კაპიტანი ძალიან ღელავდა...

ვიღაც საეჭვო პირები დაბლა კარს მოადგნენ. ერმოლოვს დავემშვიდობე. მაუზერი ფეხზე შევაყენე და უკანა კარიდან მეორე ქუჩაზე გავედი.

სიკოს ჩემს შესაპყრობად პოლიციელები მოეყვანა. მთელი სასტუმრო ააფორიაქეს, მაგრამ მე ვერსად მნახეს. სიკოს დაუმტკიცდა ღალატი და კიდევაც მოკლულ იქმნა პარაპეტზე კიოსკთან.

ერმოლოვი გურიაში წავიდა, იქ მან გააბა კავშირი ტყეში გავარდნილ ქურდებთან და მთელი გურია ააწიოკა — გაძარცვა მან ხალხი და მრავალი ციხე-ციმბირს გაგზავნა.

ბაქოში, როგორც მდიდარ ქალაქში, სხვა და სხვა ქვეყნიდან მრავალმა მძარცველ-ავაზაკმა მოიყარა თავი. ამათ მფარველობდა და ხელს უწყობდა პოლიცია და ასე შეხმატკბილებულნი, სძარცვავდნენ მდიდრებს, იტაცებდნენ ადამიანებს და შანტაჟით აღებული ფულებით უზომო ქეიფს ეწეოდნენ. ამათ ერქვა: ზოგს ანარქისტ-სინდიკალისტი, ზოგს ანარქისტ-ტერორისტი. ზოგს ჯეკისტი და სხ. პოლიცია იჭერდა სრულიად უდანაშაულო ხალხს; ადგენდნენ ყალბ ოქმებს, ასამართლებდნენ და ციხე-ციმბირს ავსებდნენ უდანაშაულო ხალხით. საზოგადოებაში გამეფდა შიშიანობა; მშველელი კი არ სჩანდა. მივმართე ორგანიზაციას, რომ მიგვეღო ყოველივე ამის

წინააღმდეგ საჭირო ზომები. ორგანიზაცია ძლიერ სწეხდა ყოველივე ამით, მაგრამ ზომების მიღებაზე მაინც უარი განაცხადა.

ერთ დღეს ტელეფონის ქუჩაზე ყაჩაღები დახვდნენ ფოსტას, ესროლეს ბომბა, მოჰკლეს რამოდენიმე ჯარისკაცი, რამოდენიმე ბოქალაქეც და ფული გაიტაცეს. მე ვადავწყვიტე მათი ალაგმვა, მაგრამ ეს ადვილი არ იყო. მიუხედავად სიძნელისა, მე მაინც ვიშოვნე ამხანაგები: გ. გიორგობიანი, ბესარიონ და კოლია კერვალიძე, გიორგი ბასილია და სხვ. ქურდებს და ყაჩაღებს მივუგზავნე მოციქული და შევუთვალე მათ ხალხის აწიოკებისათვის თავი გაენებებინათ. გავიგე, რომ პამენისტის ქუჩაზე ანარქო-სინდიკალისტების ჯგუფს კრება ჰქონდა გატაცებული ფულის გასაყოფად. იქ ცხრა კაცი იყო მაუზერებით და ბომბებით შეიარაღებული. გადავწყვიტე მათი განიარაღება. ამ დროს ჩემთან არავინ იყო. შემთხვევით მოვიდა გიორგობიანი; ის უზარმაზარი ტანის იყო, მხნე და ვაჟკაცი. შევიარაღდით ბომბებით და მაუზერებით. შელამების ხანს სახლს მივადექით, კარი წყნარად შევაღეთ. ოთახში ცხრა კაცი იჯდა. გიორგობიანმა ბომბი ზევით ამართა, მე მაუზერი დავუმიზნე და შევძახე — თუ გაინძრევით, ყველას ამოგხოცავთ! ყაჩაღებს წინადადება მივეცი იარაღი ჩაებარებინათ. ერთ მათგანს ვუბრძანე: ამხანაგებისათვის იარაღი აეყარა. შვიდი მაუზერი, ორი ნაგანი, სამი ბომბა, პატრონტაშები ტყვიით სავსე, ხანჯლები და მათი ჯგუფის ბეჭედი დავლად დაგვრჩა. იარაღი ზეწარში გავახვიეთ. მათ კი განვუცხადე — სამი დღის ვადაში ბაქო დასტოვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დაგხოცავთ-მეთქი. ერთ მათგანს იარაღი ავკიდეთ ზურგზე და წავედით. ყაჩაღებმა, მართლაც, ჩემი ბრძანება აასრულეს და ბაქო დასტოვეს.

პოლიციამ აღმოაჩინა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის სტამბა და წაიღო იგი. ორგანიზაცია დიდ ხანს უსტამბოდ დარჩა. ფურცლების ბეჭდვა, მოწოდებათა და გაზეთების გამოცემა აუცილებელი იყო. ვადაწყდა სტამბის შეძენა. მოვამზადე ოცამდე ჩვენი

ბოლოდან 1918 წ.

რაზმელი და 1906 წლის ივანობის თვეში, დილით 10 საათზე თავს დავესხი ლევინსონის ქარხანას. სადაც რამოდენიმე თანამგრძნობი მუშა წინასწარ გვყავდა გაფრთხილებული. ამ დროს ბაქოში საალყო წესები იყო გამოცხადებული. ქუჩები პოლიციელებით და ჯარით იყო სავსე. ფურგონი მოშორებით გავაჩერებინე; ქარხანაში შევედით; ქარხნის გამგე დავატუსაღე და საქმეს შევუდექით. ტექნიკოსს ვუბრძანე აერჩია საბეჭდავი მანქანა, რომელიც ჩვენთვის გამოსადეგი იქნებოდა. საქმე სწრაფად წავიდა. „ამერიკანკა" ჭილოფებში გავახვიეთ და მედროგეს ვანიშნე ახლოს მოსულიყო; დროგი სწრაფად დავტვირთეთ და გავისტუმრე წინდაწინ დამზადებულ ადგილზე. სტამბის დაშლის დროს ქარხანაში სხვა და სხვა პირი და პოლიციაც შემოდიოდა; ჩვენ ყველას ვაპატიმრებდით და იარაღს ვართმევდით. სტამბა კარგი გამოდგა. რითაც ორგანიზაცია ძალიან კმაყოფილი იყო.

შანტაჟისტებმა ადვოკატ ბოიკოვს მუქარის წერილი მისწერეს: ათი ათას მანეთს სთხოვდნენ. ეს ამბავი გადმომცა ანდრია ვიშინსკიმ და მთხოვა ზომები მიმეღო. მეც თავის დროზე მივედი იქ, სადაც ყაჩაღებს ფული უნდა მიეღოთ და სამივე შევიპყარი.

ერთხელ გავეგზავრე რკინის გზის რაიონში: უნდა მენახა ჩემი ნათლიას მამა კოზმან დოლიძე. დაღამებისას იქვე. რკინის გზის რესტორანში შევიარე, სადაც დამხვდნენ შემთვრალი რუსი ხულიგანები. ამათ დიდი დანაშაული მიუძღოდათ რევოლუციონერების ოჯახთა აწიოკება-დარბევაში. ხულიგანების მეთაური იყო სტარჩენკო. ეს ვაჟბატონები შეიარაღებული იყვნენ და ყველას ემუქრებოდნენ. როცა გარეთ გამოვიდნენ, მე იქვე დავუხვდი და სტარშენკო ერთი მისი ამხანაგითურთ ტყვიებით დავცხრილე.

ბაქოს ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა ერთი ებრაელი, გვარად შჩირინი. მან ლოტაოდენი სიმდიდრე შეიძინა, მაგრამ შემდეგ ისევ ღარიბდა. ის აკად იყო ჰაჰების სნეულებით. მის ცოლს უკანას-

კნელი ავეჯი გაეყიდა და აეღო 800 მანეთი. შჩირინის ძმისწულს ავაზაკებისათვის ეცნობებინა ეს ამბავი. ქურდებს შჩირინისათვის წერილი მიეწერათ და ფულს სთხოვდნენ. წერილი სავსე იყო მუქარით: ან ფული, ან სულიო! წერილში დახატული იყო კუბო, ხანჯალი და ბომბა. დანიშნულ დროზე წავიყვანე გიორგი ბასილია და დავიწყეთ დარაჯობა; არ გასულა დიდი ხანი და შევიპყარით ორი ქურდი. ჩემს შეკითხვაზე: რად სძარცვავთ ასეთ გაჭირვებულ კაცს-მეთქი, ერთმა მათკანმა მიპასუხა: ის კაცი ოპერაციას სულ ერთია მაინც ვერ გადაიტანს და ფული კი ტყუილად დაიკარგებოდაო! ორივე, როგორც გაუსწორებელი ქურდი, შესაფერისად იქნენ დასჯილი; შჩირინის ძმისწული კი ბაქოდან გადაიკარგა.

ერთხელ ჩვენს შტაბში მოვიდა წერილით იასონ ჯალალანია. წერილი გაგზავნილი იყო ახალი ჯგუფის, ჯეკისტების მიერ ერთი გერმანელი ქვრივის მიმართ. ამ ქალს სთხოვდნენ ოცი ათას მანეთს. წერილი სავსე იყო მუქარით; აქაც იყო დახატული კუბო, ხანჯალი და ბომბი. შტაბმა გადასწყვიტა ამ ქალის დაცვა, რისი პრაქტიკული განხორციელება მომანდვეს მე. წერილში დასახელებული იყო პაემანად დილის 10 საათი, ხოლო ადგილად გუბერნატორის ბაღი. ბანდიტებს ხელზე თეთრი ხელთათმანი ექნებოდათ, რითაც უნდა ეცნო ისინი; მე გავაფრთხილე ჯალალანია, რათა გერმანელ ქალს ფულის მაგიერ ქაღალდში გახვეული ჩვრები მოეტანა ბანდიტებისათვის. მე და გიორგი ბასილია საიმედო ეტლით გუბერნატორის ბაღის თავში გავჩერდით, დავტოვეთ იქ მეეტლე და ნაჩვენებ ადგილისაკენ წავედით; ზორიახლოს სკამზე ჩამოვჯექით. სამი საეჭვო პირი იქვე დასეირნობდა. მოვიდა ერთი ქალი, რომელიც მე არასოდეს მენახა; ის ძალიან ლამაზი იყო. მან ამ საეჭვო პირებს პაკეტი გადასცა და წავიდა. ჩვენ მაშინვე ბანდიტებს მიუახლოვდით, ბიუზერი დავუმიზნეთ და ხელები ავაწევინეთ. სამთავეს იარაღი ავყარეთ და თათრის უბანში წავიყვანეთ. შევადგინეთ მაშინვე სასამართლო, სადაც გამოირკვა მათი მრავალი ბოროტმოქმედება. სასამართლომ მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. გერმანელი ქალი სულ ეხვეწებოდა ჯალალანიას: ჩემი მხსნელი მაჩვენეო.

ერთი თვის შემდეგ მე და ჯალალანია მართლაც ვესტუმრეთ იმ ქალს; გაეწყო დიდებული სადილი და კარგადაც მიგვიღო. ბოლოს ქალმა ჰკითხა ჯალალანიას: „დიდი ვალოდია“ რატომ არ მოიყვანეო?! ჯალალანიამ კი სიცილით უპასუხა: ეს არისო „დიდი ვალოდია“! და ჩემზე მიუთითა. შემდეგ მე იმ ქალს ხშირად ვხვდებოდი. ერთხელ მითხრა: „დიდ ვალოდიას“, მეგონა, იმიტომ გეძახდნენ, რომ ტანით დიდი იყავიო. შემთხვევით პოლიციამ იმ ქალის ბინაზე დამჩიხა, მაგრამ მე პოლიციელების ხელიდან მოხერხებულად დავძვერი.

1906 წლის შემოდგომაზე, პარაპეტზე, შემხვდა ერთი აქტიური ჯაშუში, რომელიც შიშკინის სავაჭრო დაწესებულებაში მსახურებდა. ამ დროს ჩემთან იყვნენ დავით ღამბაშიძე და სვირსკი. მე ჯაშუშს რევოლვერი ვესროლე და ის უსულოდ მიწაზე დაეცა. პოლიციამ რკალი შემოგვარტყა და მე სროლა დამიწყეს. მეც სროლით ვუპასუხე: მოვკალი ერთი, დავჭერი რამოდენიმე. მე კი მშვიდობით გადავრჩი. ის ღამე გავათიე ერთ ნაცნობ ბიბლიოთეკაში. ნაშუალამევს კაზაკები და პოლიცია თავს დამესხნენ. ბიბლიოთეკის გამგეს კარის გაღება მოსთხოვეს; მე ოთახიდან აივანზე გავედი; ამ მხარეზე შედარებით ბნელოდა. ქუჩის ბოლოში, 20 ფეხის ნაბიჯზე კაზაკები იდგნენ. ჩავყევი წყლის მილს. მილი სახლს მოძვრა და მასთან ერთად მიწაზე დავენარცხე. კაზაკებმა იფიქრეს სახლი ინგრევაო და უკან დაიწიეს. ამით მე ვისარგებლე და ერთი სომხის დამწვარ სახლში შევედი ფანჯარიდან და მეორე ქუჩაზე სამშვიდობოს გავედი.

1906 წლის ნოემბრის ერთ დილას წავედი მუშათა პროფესიულ კავშირის სტამბაში. სტამბა პოლიციას იმ დილით ჩაეგდო ხელში და შიგ მოსამსახურე ამხანაგები დაეპატიმრებინა. როცა შიგ შევედი, მეც დამაპატიმრეს და ცხენოსან კაზაკებს გადამცეს. მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ ჩემი ვინაობა, არ გაუჩხრეკიავართ, წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, რომელიც თათრის უბანში იყო.

პოლიციაში დამხვდნენ სტამბის მომუშავენი და სხვა ტუსაღები. რომელთაც ჩვენებას ართმევდნენ. გამომძიებელმა უბრძანა კაზაკებს, რომ გარეთ გავეჩერებინეთ. კაზაკები ცხენებიდან ჩამოხტნენ, პაპიროზს კეთება დაუწყეს. ჩემს წინ აღმართული იყო ორი მეტრის სიმაღლის კედელი. გადავწყვიტე გაქცევა. მოულოდნელად გზა ვადავირბინე და კედელზე გადავხტი. თურმე კედლის გადაღმა დიდი ხრამი იყო. ჩავვარდი ხრამში. კაზაკებმა უთავბოლოდ სროლა ასტეხეს. მე ცოტა სული მოვითქვი; ფორთხვით ერთ ადგილს ძივცოცდი და მივიმალე. ღამით მივედი ნავთისმწარმოებელ ისაბეკ აშუბეკოვთან და მასთან ერთი კვირა დავრჩი. აშუბეკოვი ჩემი დიდი მეგობარი იყო. აქვე მნახულობდა ექიმი შტეინი.

ერთხელ ამხანაგ საგატელოვთან მოიყვანეს ერთი ახალგაზრდა რუსი ალ. გრიგორიევი. იგი იყო ხელობით დურგალი. გრიგორიევმა განაცხადა, რომ ის გამოიქცა ჯარიდან, რადგან მას არ სურდა სამსახური მეფის ჯარში.

1906 წლის ივნისში მას დაავალეს საიდუმლო საწყობის მოწყობა. ამავე წლის ბოლოს საწყობი „ჩავარდა“: მთელი ნაამაგარი პოლიციის ხელში აღმოჩნდა. ეს ამბავი გადმომცა ისიდორე რაქიშვილმა. მიუხედავად საქმის სირთულისა და ამხანაგების წინააღმდეგობისა, ერთი საწყობი მაინც გადავარჩინე და იარაღი სხვა ადგილზე გადავიტანე. შევუდექი საქმის გამოძიებას. გამცემი თვითონ გრიგორიევი აღმოჩნდა. გრიგორიევი თურმე პეტერბურგის „ოხრანკიდან“ იყო წარმოგზავნილი, როგორც საიდუმლო აგენტი. გრიგორიევმა გაიგო, რომ ჩვენ ეს უკვე ვიცოდით და ამიტომ ის პოლიციაში შევიდა აშკარად. ახლა მას მუდამ მრავალი პოლიციელი ახლდა თან. ჩვენმა შტაბმა მისი თავიდან მოცილება დაადგინა, რაც მე გადმომცეს სისრულეში მოსაყვანად. შობა წინა ღამეებში პარაპეტზე გამოჰქონდათ ხოლმე გასასყიდლად შობის ხეები. მივედი ექიმ ფონშტეინთან, სადაც მსახურობდა ზოსიმე ჯორბენაძე. მან მთხოვა გვეყიდა ერთი ნაძვის ხე. 24 დეკემბერს, საათის 4-ზე, პარაპეტზე წავედით. პარაპეტზე მრავალი ხალხი ირეოდა ანა

სამხედრო ძალითაც გარშემორტყმული იყო. ცენტერაძის ოთხსართულიან სახლს რომ მივუახლოვდით, ქუჩის მეორე მხრიდან გამოჩნდა მოლალატე გრიგორიევი, პოლიციის ფორმაში გამოწყობილი; თავზე მას ბოხოხი ქუდი ეხურა; ხელში მაუზერი ეჭირა; მას თან 25 კაზაკი და პოლიციელი ახლდა. ჯორბენაძეს ვუთხარი მომშორებოდა. ქუჩის მეორე მხარეზე გადავირბინე, გრიგორიევს მოულოდნელად მაუზერში ხელი ვუტაცე და ტყვია დავახალე. მან მაუზერი ხელში შემომატოვა და მეორე მხარეს. ცენტერაძის სახლისაკენ გადაირბინა. მე დავეწიე წიგნის მაღაზიასთან და ზურგში ტყვია გავარტყი; ის მაინც გაიქცა, ქუჩა გადაირბინა, გაბუნიას საბ-ბევე დუქანთან კედელს დაეტაკა და პირაღმა წაიქცა. ერთი ტყვია კიდევ ვუთავაზე და გზას გავუდექი. გზა კი ყველგან შეკრული იყო; ყველა ისროდა, ჯარი და პოლიციაც. სომხების ეკლესიასთან პოლიციელების რკალი გავარღვიე და ვიშინსკისას მივედი. ჩავიცვი სხვა ტანსაცმელი და ქუჩაში არხეინად გამოვედი. ვნახე ჯორბენაძე: მას ქუჩაში ოქროს საათი ეპოვნა, რისთვისაც სულ მლოცავდა. ბაქოში ჩემი დევნა კიდევ უფრო გააძლიერეს; ამიტომ ქალაქი დავტოვე და საბუნჩისა და ბალახანის რაიონში გადავედი.

1907 წლის თებერვლის ბოლოს გადავწყვიტე ბალახანა-საბუნჩის რაიონის მიტოვება და ქალაქში დაბრუნება. საბუნჩის რკინის გზის სადგურში ვუცდიდი სამგზავრო მატარებელს. ამ დროს ჩემთან მოვიდა ჟანდარმი და გამომიცხადა: კანტორაში უფროსი გიბარებსო.მე დავემორჩილე და გავყევი. ჟანდარმის უფროსმა პასპორტი მომთხოვა. პასპორტის მაგიერ ამოვიღე მაუზერი; უფროსი და უმცროსი იქვე გავათავე. სროლით გამოვედი ბაქანზე, რითაც ხალხი დავაფრთხე და თვითონ კი მშვიდობიანად მივიმალე. ღამე ინჟინერ ბებურიშვილისას გავათიე. სამი დღის შემდეგ ბებურიშვილმა საიმედო ეტლი მიშოვნა და მარტის პირველ რიცხვებში ქალაქ ბაქოში ჩამოვედი. აქ იყო სამხედრო შტაბის სხდომა, რომელსაც მეც დავესწარი. შტაბმა მომთხოვა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი; ამავე დროს უნდა ბაქოში დავრჩენილიყავი, რადგან იქ საჭირო

ვიყავი. შტაბმა დამისახელა მთელი რიგი საიმედო ოჯახებისა, სადაც უშიშრად შემეძლო თავი შემეფარებინა. ეს ოჯახები იყვნენ: ექიმი რაბინოვიჩ, ექიმი შტეინ. ექიმი კრინსკი, ინჟინერი კატიევსკი, ინჟინერი ბოგოდი. სასტუმრო „მადრიდი“ და სხვა. ამ ბინებათ კარგად ვსარგებლობდი. ამავე დროს გადავწყვიტე თვითონ ჟანდარმერიის ეზოში მეშოვნა ბინა. აქ ცხოვრობდა ერთი მოხელის ქვრივი, სადაც დრო გამოშვებით სამი თვე მივდიოდი. ჟანდარმერია ჩემი გულისათვის ქვეყანას გლეჯდა და აბა რას იფიქრებდა, რომ მე მისი ეზოს ბინაზე ღამეს ვათევდი!

ერთ დღეს, აპრილის პირველ კვირაში კონკაზე ორი ჟანდარმი შემომაკვდა: მათ ბაილოვის ციხეში ორ ჩვენ ამხანაგს ძლიერად სცემეს. მე მაშინვე ტანზე გამოვიცვალე, ჩემი ორდენები მკერდზე დავიკიდე და მეც სხვებთან ერთად გავიზიარე „დაღუპულთათვის“ მწუხარება.

გავიცანი კაზაკების მღვდელი თოთიბაძე, დავმეგობდით; ამას შემდეგ იგი ეკლესიაში მაძლევდა ბინას.

1907 წელს, მაისში, სასტუმრო „მადრიდ“-ში კრება გვქონდა. კრებას ექვსი კაცი დაესწრო. მათ შორის იყო თბილისიდან ჩამოსული აბრამ ბესენტინოვი, მუშა-ინტელიგენტი, ენერგიული პიროვნება. სხდომის შემდეგ ამხანაგები დამემშვიდობნენ; მე გადავწყვიტე ის ღამე გამეთია სასტუმროში. სასტუმროს პატრონი იყო გიორგი თვალაძე. ამ სასტუმროში მსახურობდა ილარიონ შურლულაია. ჩემთან რუსეთის ჯარში ნამსახური. ჩემთან იყო ამხანაგი ბესინტინოვი, რომელიც დიდ ხანს დარჩა და ბევრი ვილაპარაკეთ. ბესინტინოვიც წავიდა. მან იცოდა, რომ იმ ღამეს სასტუმროში ვათევდი.

ღამის პირველ საათზე ჩემთან მოვიდა შურლულაია და გამაფრთხილა: ჯარი და პოლიცია თავს დაგვესხაო. გასვლა შეუძლებელია; ჩვენ ვეცდებით მათი უფროსი ფულით მოვისყიდოთო. მე საჩქაროდ იარაღი ავისხი; ზეწარი წინ მოვიფარე და კარიდორში გავედი. ჩემს კართან პოლიციელი იდგა. პოლიციელმა მითხრა —

კორიდორში სიარული აკრძალულიაო. მე ვუპასუხე — თუ თქვენ გიყურეთ, როდისღა უნდა ვიმუშავო-მეთქი! მან მე. რასაკვირველია, სასტურმოს მოსამსახურედ მიმიღო და მე სამზარეულოში გავედი, იქიდან კიბეს ავყევი და სასტუმროს სახურავზე ავედი. ძირიდან პოლიციამ თვალი მომკრა და ცოტა ხნის შემდეგ სახურავზე ამოვიდნენ. მთელი უბნის სახლები ერთი მეორეზე იყო მიდგმული, ამიტომ ადვილად ვხტებოდი სახურავიდან სახურავზე; ბუხრის მილების თავს საფარად ვხმარობდი; მოვინდომე ქუჩაზე გადახტომა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა: ქუჩა ჯარით იყო სავსე.

ასე გათენებამდე „კუკუ-მალულობია" ვითამაშეთ; გათენებისას ჩამოვძვერი ჩუმად და სამუშაოზე მიმავალ მუშებს შევერიე.

ორგანიზაციამ ეს საქმე გამოიძია; ლალატი ამხანაგ ბესეტინოვს დაუმტკიცდა. ბესეტინოვმა როცა გაიგო მისი მოღალატეობის გამომჟღავნება, ჩაიცვა პოლიციელის ტანისამოსი და აშკარად დაიწყო ჩვენზე ნადირობა.

1907 წლის ივანობისთვეში გადავწყვიტე გურიაში წასვლა. რკინის გზით ჩემი მოგზაურობა სახიფათო იყო; ამიტომ ბალაჯარამდე ეტლით ვიმგზავრე; ღამით მატარებელში ჩავჯექი და გზას გავუდექი. აჯიკაბულს რომ მივუახლოვდი ჩემს კუპეს ორი ჟანდარმი მოადგა. ხელში ორივეს ნაგანი ეჭირა. იმ წამსვე ვიძრე მაუზერი და ჟანდარმებს ვესროლე, რომლებიც იქვე წაიქცნენ. მაშინათვე ვესტიენგაუზის მუხრუჭთან მივირბინე, მატარებელი გავაჩერე და ლაქაშაში მივიმალე.

აჯიკაბულში ერთ ნაცნობ ბეგთან ორი დღე დავრჩი. იქიდან კი მატარებლით გურიაში მშვიდობით ჩავედი. რამოდენიმე დღე დავრჩი ჩემ სოფელ ჭანჭათში და იქიდან წავედი აგარაკ ბახმაროზე. აქ გავეცანი გურიის მოღვაწეებს, მათ შორის. სოციალდემოკრატიული პარტიის წევრს, ცნობილ ტერორისტს ჭანტურიშვილს.

ივლისის ბოლოს მივიღე წერილი ბაქოდან; მწერდნენ საჩქაროდ დავბრუნებულიყავი ბაქოში. აგვისტოს პირველ რიცხვებში

ბაქოს მივედი. ჩემი იქ არყოფნის დროს სხვა და სხვა ჯურის ბო-
როტმოქმედთ თავი ეჩინაო და მცხოვრებლებს აწიოკებდნენ.

ჩასვლისთანავე პარტიული ორგანიზაციისათვის გავიტაცეთ ხატისოვის სტამბა. სტამბის გატაცება მოხდა იმავე პირობებში, რო-
გორც გატაცება ლევინსონის სტამბისა.

სამხედრო შტაბმა მომანდო აბრამ ბესენტინოვის თავიდან მო-
შორება. მას ბევრი ცოდვა მიუძღოდა მუშათა ორგანიზაციის წი-
ნაშე. ვადავწყვიტე როგორმე მისი ცოცხლად შეპყრობა, რადგან
მინდოდა მისგან სხვა პროვოკატორების ვინაობა გამეგო.

ენკენის თვეში გავიგე, რომ აბრამ ბესენტინოვი პოლიციის
თანხლებით დღის პირველ საათზე ხარინის ცირკში მიდიოდა აფ-
რიკიდან ჩამოყვანილი მხეცების დასათვალიერებლად. 12 საათზე
საიმედო ეტლით ცირკის ახლოს ჭანიშვილის რესტორანში შეევედი.
თან მახლდა ცნობილი ტერორისტი გ. ბასილია. ცირკთან ღავა-
ყენე საიმედო ამხანაგი.

აბრამ ბესენტინოვი დანიშნულ დროზე არ მოვიდა. ის-ის იყო
უკან უნდა გავბრუნებულიყავით, რომ მივიღე ცნობა: ბესენტინოვი
თავისი ამალით მოვიდაო. მე სწრაფად ცირკისაკენ წავედი, კარ-
თან მდგომი პოლიციელი განვაიარაღე და ბასილიას ჩავაბარე ბე-
სენტინოვი შესავალ კართან განცხადებას კითხულობდა; პოლიციე-
ლები შორს წასულიყვნენ. ბესენტინოვს ხელები ავაწევინე, მაუ-
ზერი ავართვი, ჩავსვი ეტლში და რკინის გზის რაიონში რაზმაძი-
სას მივიყვანე. აქ მას განვუცხადეთ: თუ ყველა საიდუმლოებას
გვეტყოდა, მას შეღავათიანად მოვეპყრობოდით. დაგვეთანხმა და
რაც დოკუმენტები ჰქონდა ჯიბეში, მაგიდაზე დააწყო.

ქალალდების გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ის იყო თბილისის ნა-
ცესტნიკის კომენდატურიდან; აღმოჩნდა სია, ვინც უნდა მოეკლათ.
ამ სიაში პირველი მე ვიყავი დასახელებული, მერმე ანდრია ვი-
შინსკი და სხვა რევოლუციონერები. ბესენტინოვმა გასცა ყველა
პროვოკატორი. აღიარა ისიც, თუ უწინ ვინ გასცა მან და ჯილდო

რამდენი უნდა მიეღო ჩემი მოკვლისათვის. გამოძიება საღამო ხანს გავათავეთ.

ბესენტინოვმა მთხოვა წამეყვანა იგი რესტორანში სასადილოდ. თხოვნა შევასრულე და წავიყვანე სულუხიას რესტორანში. ბესენტინოვი საჭმელს მადიანად შეექცეოდა; მე გული ამერია, როცა ვუყურებდი, რადგან ცოტა ხნის შემდეგ იგი უნდა მოგვეკლა. მე ჯიბეში მზად მქონდა ქაღალდი, რომელშიც ეწერა — ბესენტინოვი მოკლულია სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს ორგანიზაციის დადგენილებით, როგორც გამყიდველი.

ბასილიამ მთხოვა მისთვის დამეთმო კამყიდველის მოკვლა. მეც დავუთმე. ბესენტინოვს ვუთხარი, რომ კომიტეტში უნდა წამეყვანა. წინ ის მიდიოდა; უკან ბასილია მიჰყვებოდა, მე — შორიახლო. ბასილიამ ესროლა მაუზერით. მე მივირბინე მასთან განაჩენის ქაღალდის დასაგდებად. ბესენტინოვი აღმართში სისწრაფით მირბოდა: თურმე ბასილიას მაუზერში ტყვია გაეჩხირა. ბესენტინოვს მე ვესროლე და იგი წაიქცა, ერთი ტყვია კიდევ ვუთავაზე.

ჩემ წინ რესტორანი იყო და იქიდან რევოლვერით ხელში გამოვარდა პრისტავი ლაშხი ორი მხლებელით. აქ ქუჩა კარგად განათებული იყო, რაც ჩემს მდგომარეობას მეტად ართულებდა. ლაშხი ჩემსკენ მორბოდა და მიყვიროდა: დამრჩიო! მე მას ვესროლე და ის იქვე წაიქცა. ახლოს იყო მეორე საპოლიციო ნაწილი. სროლის ხმაზე გამოცვივდნენ და პოლიციელებმა სროლა აგვიტეხეს. მეც ვისროდი. დაყოვნება დიდად საშიში იყო, მაგრამ გზა ყველგან შეკრული იყო. ამიტომ შევირბინე ერთ სახლში. ამ სახლში მე უწინ ვცხოვრობდი და მისი ავანჩავანი ვიცოდი. კარს საკეტი არ ჰქონდა, მაგრამ შესვლა მაინც არ შეიძლებოდა, რადგან მეეზოვე და სახლის პატრონი კარს აწვებოდნენ. როგორც იქნა კარი ცოტათი შევაღე და მაუზერიანი ხელი შიგ შევიტანე. მაგრამ იქიდან ისე მაგრად მომაწვნენ, რომ ხელი შიგ გამეკვეტა. ამ დროს მომვარდა ერთი პოლიციელი და კონდახი მითავაზა; ვერ მიცნო და გაიქცა იქით, საიდანაც სროლა ისმოდა. როგორც იქნა ხელი გამოვიტანე და ისე

მაგრად დავეცი პირაღმა ტროტუარზე, რომ თავი გავიტეხე. ერთი პოლიციელი მეცა და ცემა დამიწყო. მე მას ვუკბინე ნიკაპზე; სულს ძლივს ვითქვამდი; ღონე მღალატობდა. ამ დროს ხმაზე ვიცანი ჩემი ნათლიმამა კოზმა დოლიძე, ჩექმის მოხელე. მან პოლიციელს ზურგში დანა ჩასცა. ნათლიმამამ ხელი მომკიდა, მაგრამ მე სიარული აღარ შემეძლო. ჩემი საქმე ცუდად იყო. ყოველი მხრიდან რკალი მცირდებოდა. კოზმანს ვთხოვე ჩემთვის თავი დაენებებინა, რადგან ვხედავდი, რომ ის ჩემთან ერთად დაიღუპებოდა. დავუფიცე, თუ არ მომშორდები, მოგკლავ-მეთქი. ის იძულებული იყო თავი გაეხლიბებინა ჩემთვის. ქუჩის მოსახვევი თავისუფალი აღმოჩნდა და მეც იქით წავბარბაცდი. ამ დროს ვიღაცამ ფეხი გამომდო და წამაქცია. ფორთხვით გავედი ქუჩაზე; იქ წყლის მილის თხრილი იყო, ამოვეფარე ამონათხარ მიწას; ისევ იმან, ვინც წამაქცია, ხელიდან გამომტაცა რევოლვერი და გაიქცა. პოლიციელები ახლა მას დაედევნენ; დაიჭირეს და ცემა დაუწყეს. ქუჩაში აღარავინ ჭაჭანებდა. ფეხზე ძლივს წამოვდექი და ნელა ქვევით დავეშვი.. ზევიდან ერთი კაცი დამეწია და დამიძახა — მე ვარო დათიკო დონდოლაძე, ნუ გეშინიაო. დათიკო ლომივით ღონიერი იყო; ზურგზე შემისვა და ქვევით გამაქცია, გამიყვანა მინდორში, სადაც ახლოს ცხოვრობდა მიკიჩა ვარდოიანი; აქვე გვქონდა იარაღის საწყობი. დათიკოს ვთხოვე მიკიჩასთან მისულიყო და გაეფრთხილებინა ჩემი მისვლის შესახებ. დათიკომ მიკიჩა მოიყვანა და წამიყვანეს სახლში. დავიბანე, ჩამოვიცილე სისხლი და ტალახი, დამალევინეს მაგარი სასმელი და ცოტა მოვჯობინდი.

ახლა გამახსენდა: ვაი თუ ბასილია დაიღუპამეთქი. წავიდნენ ბასილიას ამბის გასაგებად. გაიგეს, რომ ის მშვიდობიანად გადარჩენილიყო. ცნობა მოვიდა, ჩვენს უბანში საერთო ჩხრეკა დაიწყოო. ამ რაიონს უნდა გავცლოდი. ჩავიცვი რკინისგზელის ფორმა, გავიკეთე მკერდზე ჩემი ჯვარმენდლები და ბაქოს რკინის გზის სადგურში შევედი. წელში გავიმართე და თამამად გავედი. სადგური სავსე იყო ჟანდარმებით; მაგრამ აბა რას იფიქრებდნენ, რომ ამდენი ეგბედურების ამტეხი მე ვიყავი! სადგურის უკან ვიქირავე ეტლი

და ექიმ შტეინთან წავედი. ექიმმა ჭრილობები და დაბეჟილი ადგილები შემიხვია და სასტიკი დარიგება მომცა: სანამ კარგად არ მოერჩებოდი, გარეთ არ გამოვსულიყავი. მომათავსეს საიმედო ბინაზე. მწიფობისთვე—გიორგობისთვემდე ლოგინში ვიწექი. ქრისტეშობის თვის 15ს სიარული შევძელი და ჩვენი შტაბის სხდომას დავესწარი.

ბაქოში ქრისტესშობისთვის ბოლო რიცხვში მძარცველებმა მოჰკლეს ერთი ებრაელი (გვარი არ მახსოვს). ამ ებრაელმა, მიუხედავად სილარიბისა, ერთადერთი შვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში გაზარდა. შვილი დაუბრუნდა ბედნიერ მშობლებს და პატარა წვეულება მოაწყო. ნადიმის მეორე დღეს ქურდები დაესხნენ თავს ამ ოჯახს და ფული მოსთხოვეს. ქურდებმა ფული ვერ მიიღეს და ტყუილუბრალოდ მოჰკლეს ახლად უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა; მამა კი მძიმედ დაჭრეს. ამ სურათის შემდეგ მნახველმა თავი ვერ შეიკავე და ცრემლები გადმომცვივდა. ჩემი ატირება ყველას გაუკვირდა: ალბათ ყველას გულქვა ვეგონე! მერმე საქმე გამოვიკითხე და დამნაშავენი აღმოვაჩინე. ქურდებმა უსირცხვილოდ გამიცხადეს: თუ შვილი უნივერსიტეტში გაზარდა და ქეიფიც მოაწყო, რატომ ჩვენც არ მოგვცა ცოტაოდენიო! ჩემმა ამხანაგებმა ისინი დახოცეს.

1908 წელს, იანვარში „ჭეშმარიტი რუსების“ ტერორისტებმა ვორონცოვის ქუჩაზე, ბაქოში ტყვიით დასჭრეს ანდრია ვიშინსკი და მისი ცოლი კაპიტალინა. საქმე გამოვიძიე და ამ საქმის ჩამდენი აღმოჩნდა სტუდენტი პლაკიდა, ცნობილი კრუშევანის დისწული. მე ეს სტუდენტი ერთხელ გამაცვნეს; პლაკიდას შევხვდი მარინის ქუჩაზე. თან მახლდა გ. ბასილია. პლაკიდა შეიარაღებული დადიოდა და როცა დამინახა, იმ წამსვე მიხვდა, რომ მისი საქმე კარგად არ იყო, ამიტომ ხელი იარაღისაკენ წაიღო, მაგრამ დავასწარი, ვესროლე და იქვე წაიქცა, ხელიდან გამოვგლიჯე მისი რევოლვერი და წავედით. პოლიციამ და თათრებმა საშინელი სროლა აგვიტეხეს, მაგრამ ჩვენ სამშვიდობოს გავედით.

1908 წელს, იანვრის ბოლოს რკინის გზის რაიონში კრება

გვქონდა. კრების შემდეგ წავედით ქალაქში. გზაში ცხენოსანი კაზაკები და პოლიცია შემოგვეხვივნენ და გაჩერება მოგვთხოვეს. ამხ. ჯაფარიძე და საგატელოვი გაჩერდნენ; მე კი გზა განვაგრძე; პოლიციამ და კაზაკებმა დაჭერილები მიატოვეს და მე გამომიდგნენ. მე მაშინვე მათ სროლა ავუტეხე, მოვკალი სამი კაზაკი და ერთი ცხენი. ვისარგებლე მათი არევით და გავიქეცი. პოლიცია გონს მოვიდა, გამომედევნა კიდევ და ამ სროლაში მსუბუქად დავიჭერი. წინ შემხვდნენ დაშნაკების ზინვორები მაუზერით ხელში. მათ იმ წამსვე მიცნეს და გზა მომცეს. მოსახვევში სამი პოლიციელი იდგა: რამდენიმე გასროლის შემდეგ. მათ თავს ვაშველეს. მე კი პირდაპირ ჯაფარიძის სახლში წავედი. იქ თურმე პოლიცია ყველას აჩერებდა. გამაჩერეს მეც და მომთხოვეს ქაღალდები. მოწმობის ნაგიერ მე რევოლვერი ვიძვრე და სროლით გზა გავიკაფე.

1908 წლის თებერვალში მძარცველები თავს დაესხნენ ბორის ბოგოტს და ინჟინერ კატიევსკის. თავდამსხმელები დავიჭირეთ და დავსაჯეთ.

ამავე თვეში დაშნაკელების სამი ზინვორი თავს დაესხა ექიმ ფონ შტეინს. თავდამსხმელები დავიჭირეთ, იარაღი ავყარეთ და ვინაობის გამორკვევის შემდეგ გადავეცით დაშნაკელების კომიტეტს. ამ კომიტეტმა ორი მათგანი სიკვდილით დასაჯა.

თებერვლის ბოლოს წერილით ფული მოსთხოვეს სასტუმროს პატრონ ბურჭულაძეს; უარისათვის სიკვდილით ემუქრებოდნენ. წერილის ავტორები შევიპყარით და დავსაჯეთ.

ჩვენ გვყავდა ერთი ამხანაგი თათარი, სეითი. მას თათრებში დიდი გავლენა ჰქონდა. მაგრამ მან ბოლოს პროვოკატორობა დაიწყო და გასცა ჩვენი იარაღის საწყობი, რომელიც მის ბინაზე იყო. იგი ჯაშუშობით გამდიდრდა და საუკეთესოდ ვამოწყობილი დასეირნობდა. ქეიფობდა. მან გასცა აგრეთვე ჩვენი ამხანაგი პაპოვი. სეითი შევიპყარით, დანაშაულში გამოტყდა, და შემდეგ დახვრეტილ იქმნა. სეითის დახვრეტამ თათრებში დიდი აღელვება გამო-

ვ. ივ. (( ))) 1923

კლარა ჩხეიძე

ოწვია; ამიტომ ჩვენ მოვიწვიეთ თათრების წარმომადგენლები და მათ დავუმტკიცეთ, რომ მოკლული სეითი მოღალატე იყო, რის შემდეგ ისინი დამშვიდნენ.

ერთ სალამოს პოლიციელები შემეჩეხნენ შუა ქუჩაში. მიცვნეს კიდეც. მე კოჭლობა მოვიგონე, რამაც ისინი ეჭვში შეიყვანა — არ მესროლეს, რადგან მე კოჭლად მათ არ ვეგულებოდი. მე კი დროს ვიხელთე და მივიმალე.

ბალახანის რაიონში საიდუმლო პოლიციის წევრებმა მოჰკლეს მუშათა წრეში კარგად ცნობილი მოღვაწე თათარი. ამ მკვლელობის გამო მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მოკლულის ბაილოვოში წასვენება გადასწყვიტეს. პროცესიას ასი ათასამდე კაცი მიჰყვებოდა. კუბო დაასვენეს გენერალ-გუბერნატორის კონეესკის სახლთან. წარმოითქვა ცხარე სიტყვები რეჟიმის წინააღმდეგ. შემჯეგ პროცესია დაიძრა. შორიახლოს პროცესიას 300 კაზაკი მიჰყვებოდა. მიცვალებული ოავის დედმამას მივუსვენეთ. თათრები განცვიფრებული იყვნენ ქრისტიანების მხრივ ასეთი პატივისცემის გამო.

საბუნჩის რაიონში მუშებმა ღია კრება გამართეს. კრებაზე სოციალისტებს და დაშნაკელებს უთანხმოება მოღვიდათ. დაშნაკებმა სროლა ატეხეს; ხალხი დაიშალა. ამხ. კატია და მე ერთად წავედით. გზაში გაძარცვის მიზნით შეიარაღებული ხუთი თათარი დაგვხვდა. თათრებმა ქალი რომ დაინახეს, მისი გატაცება მოისურვეს. კატიამ ერთ მათგანს სილა გაარტყა დ სწორედ ამ დროს წამოგვეწივნენ მუშები და თათრები გაიქცნენ ისე, რომ იარაღიც არ მიხმარია.

მალაკანის ბალთან ერთ სახლში პოლიცია თავს დამესხა, მაგრამ ამ სახლიდან მეორე სახლში გადასვლით თავი გადავირჩინე.

1908 წელს სპარსეთის რევოლუციონერებს ჩვენმა შტაბმა მრავალი ყუმბარა, იარაღი და გაწრთვნილი რევოლუციონერები გაუგზავნა.

1908 წელს ავაზაკებმა გაიტაცეს ცნობილი მილიონერი მუსა ნაგიევი. იგი იყო ნავთის მრეწველი და გამოსყიდვისათვის მილიონი მოსთხოვეს. ამ საქმეში პოლიციაც იყო ჩარეული; ჟანდარმერიას უნდოდა შუღლი ჩამოეგდო თათრებსა და ქართველებს შორის. ავაზაკელებდნენ ხმას: ნაგიევი ქართველებმა მოიტაცეს! შევკრიბე ქართველებისა და მოწინავე თათრების პირები სათათბიროდ ბ-ნ იოსებ დადიანის ინიციატივით. თათბირმა მომართა ჩვენს შტაბს თხოვნით და დახმარება გვემუდარა. ჩვენი შტაბი დათანხმდა და მე მაშინათვე შევუდექი კვლევა-ძიებას. ავაზაკებმა გაიგეს, რომ ნაგიევის საქმე მე მაქვს მონდობილი; ამიტომ ჩემი მოკვლა გადასწყვიტეს. ნე მხარში ამომიდგნენ ახალგაზრდა თათრები და მათ შორის ისაბეკ აშურბეკოვი.

ერთ დილით ჩემთან მოვიდა ერთი ქართველი და გამიცხადა — შენი მეზობელი აპოლონ წულაძე ჩამოვიდა, შენი ნახვა უნდა, გელოდება იოსებ წეროძისასო. წეროძე კანდიტერი იყო, კარგი ზნეობისა და კარგი ვაჟკაციც. ცოლად მას ჰყავდა რუსის ქალი ნადია. თვითონ ქალი ზნეობით დაცემული იყო და ავაზაკებთანაც ჰქონდა კავშირი. გიორგი ამ დროს ბაქოში არ იყო. მე დავიქირავე საიმედო ეტლი და გავსწიე აპოლონ წულაძის სანახავად. სიფთხილისათვის იარაღი მზად მქონდა. შუადღე იყო. წეროძის სახლის მახლობლად ეტლი გავაჩერე და სახლისაკენ წავედი. სახლიდან ხმაურობა შემოესმა; კარი შევაღე და იქ აღმოჩნდნენ მუსა ნაგიევის გამტაცებელნი. მიმიტყუეს მოსაკლავად! იყო ხუთი კაცი: სამი თათარი და ორი ქართველი. ვითომ მახლდა ვინმე, მე დავიძახე: მზად იყავითმეთქი; ხოლო ავაზაკებს კი შევძახე: დამნებდით, სახლი ჩემი ხალხით არის შემორტყმული-მეთქი! ნათი მეთაური იყო თევ. ანღულაძე, განთქმული ვაჟკაცი. აპალონ წულაძე, რა თქმა უნდა, იქ არ იყო. მათ მე მაუზერი დავუმიზნე და იარაღის აყრა მოვთხოვე. ამ დროს მართლაც მოვიდნენ ჩემი რაზმელები, რომელთაც დაპარებული ჰქონდათ, თუ სად ვიქნებოდი. ყაჩაღებმა იარაღი დაჰყარეს და ერთმა ჩემმა რაზმელმა შეაგროვა იგი. ისინი გამოტყდნენ და აღიარეს, რომ ნაგიევი მათ ჰყავდათ დამალული. აღმითქვეს განთავისუფ-

ლება. იმავე საღამოს ერთი თათარი გავაგზავნე. რათა ნაგიევი ცვ-ნებლად წამოეყვანათ.

ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო; გულის ფანცქალით ელოდნენ, თუ საქმე რით გათავდებოდა. დაღამდა თუ არა, ერთი კვირის წი-ნად გატაცებული ნაგიევი სანაპირო ქუჩაზე მოიყვანეს და გაუშვეს. ეს ამბავი პეტერბურგს აცნობეს და ნაგიევს მისალოცი დეპეშები მოსდიოდა.

მუსა ნაგიევი უშვილო მოხუცი იყო; გამოირკვა, რომ მისმა ნა-თესავებმა ყაჩაღებს განგებ არ მისცეს ფული იმ მოსაზრებით, რომ თუ ნაგიევს მოჰკლავდენ, მისი მილიონები ამ ნათესავთ დარჩებოდა.

მუსა ნაგიევმა გამოკითხვით შეიტყო, თუ ვინ გაანთავისუფლა იგი და შემომითვალა მენახა იგი. მეორე საღამოს მე იგი ვინახულე. ჩემთან იყვნენ აგრეთვე ჩემი თათარი მეგობრები. ნაგიევმა სიხარუ-ლით, ტკბილად მიმიღო და მითხრა — რა მოგართვათ ჩემს მხსნელ-სო?! ფულით დასაჩუქრებაზე მე უარი მოვახსენე. მხოლოდ ვუთ-ხარი: ჯილდოდ მე ის მეყოფა, რომ თათრებსა და ქართველებს „სამარცხვინო ხოცვა-ჟლეტა ავაშორე-შეთქი. ნაგიევი ძალიან შე-წუხდა და მაინც მითხრა — საზღვარგარეთ მივდივარ და იქ, შვე-იცარიაში ფულს შევიტან შენს სახელზე. შეგეძლება იქ ცხოვრება. აქ რად აკვლევინებ თავს მაგ მხეცებსო? მე ვუპასუხე: ვარ ახალგაზ-რდა რევოლუციონერი და საზღვარგარეთ არ გავიხიზნები-შეთქი. ეს ჩემი პასუხი არ მოეწონათ ჩემ მეგობარ თათრებს. ამგვარად დას-რულდა ნაგიევთან ჩემი საუბარი.

მუსა ნაგივმა იმგზავრა საზღვარგარეთ და ჩემთვის მოულოდ-ნელად საჩუქრად გამომიგზავნა ძვირფასი ავტომატ-იარაღები, მათ შორის თოფი „ბორხატი", რომელსაც მე 1921 წლამდე ვატარებდი.

რუსის ადმინისტრაციამ მოინდომა ბაქოში რუსებსა და ებრა-ელებს შორის რბევა-ჟლეტის მოწყობა. სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია საქმეში ჩაერია და ჩვენს შტაბს მიანდო ზომების მი-ღება: ჩვენ უნდა ჩაგვეშალა რუსის მთავრობის ზრახვები.

ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი რაზმელების მობილიზაცია. ბაქოში იყო ებრაელების სამხედრო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ებრაელი ცეიტლინი. ჩვენი ენერგიული მოქმედებით მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტა ჩავშალეთ და ხალხს უბედურება ავაცდინეთ

რკინის გზის რაიონში მაგარი რეაქცია მძვინვარებდა, რასაც მეთაურობდა ბაქოს საბარგო სადგურის უფროსი ლაპატინი. იგი წინად ფოთში მსახურებდა; მას იქ ესროლეს, მაგრამ ტყვია აცდა და იგი ცოცხალი გადარჩა. ამას შემდეგ იგი ბაქოში გადმოიყვანეს. ჩამოსვლისათანავე მან დააპატიმრებინა ასამდე რკინისგზელი, ხოლო დაპატიმრემულთა ცოლშვილი ზამთარში სახაზინო ბინიდან გარეთ გამოყარა. ყველა ამ ამბავის გამო მას სიკვდილი გადაწყვიტეს. ის გულადიც იყო და კარგი მსროლელიც. ხშირად ამბობდა თურმე: რევოლუციონერებმა მესროლეს, მაგრამ ვერაფერი დამაკლესო! აქაც ვერაფერს მიზამენო!

სამსახურის დროს მას დამცველი ახლდა ხოლმე. თვითონ კი მაუზერით ხელში დადიოდა. ლაპატინის მოკვლა რკინის გზის ტერორისტებმა იკისრეს. დრო გადიოდა და ის კი ძველებურად პარპაშებდა. გადავწყვიტე ეს საქმე მე შემესრულებინა.

ივანობისთვე იყო. წავიყვანე კ. კირვალიძე და სადგურისაკენ გავსწიეთ. ლაპატინთან მსახურებდა ჩვენი ამხანაგი ალ. ვაშაკიძე. რომლისაგან მე ლაპატინის სამსახურის მისვლამოსვლა ვიცოდი. გადავწყვიტე მას საკუთარ ბინაზე თავს დავსხმოდი. ასეც ვქენი. მივედი მის ბინაზე; მაგრამ კართან ბავშვები თამაშობდნენ; ამიტომაც განზრახვა მეორე დღისათვის გადავდევი. რა თქმა უნდა მე ბავშვები შემეცოდნენ და არა ლაპატინი.

დილის ცხრა საათზე მოსამსახურენი იცვლებოდნენ, ამიტომ უნდა წარდგომოდნენ ლაპატინს და მისთვის მოეხსენებინათ, თუ რა მოხდა მათი სამსახურის დროს. მე ჩავიცვი რკინისგზელის ტანისამოსი და სარგურზე მივედი. კ. კერვალიძე 50 მეტრის მოშორებით დავტოვე. სადგურზე იყვნენ ლაპატინის შეიარაღებული დამცველები.

მე პირდაპირ რკინის გზის კანტორისაკენ წავედი. კარი შეეაღე-შიგ ორი შეიარაღებული დარაჯი მაგიდის თავში იდგა; თვითონ კი ლაპატინს თავისი მაუზერი მაგიდაზე დაედო. ოთახში იყვნენ მოსამსახურენი, რომლებიც მას ანგარიშს აბარებდნენ. შესვლისათანავე მცველებს შევყვირე იარაღი დაეყარათ, ლაპატინს კი სწორედ ამ დროს ორი ტყვია მივარტყი. ლაპატინი წაიქცა მაგიდასა და კედელს შუა. მე მის მაუზერს ხელი დავტაცე და გარეთ გამოვარდი. მცველები, რომლებიც სადგურზე იდგნენ სროლის ხმაზე ქვევით გაქცეულიყვნენ. მე კერვალიძესთან მივირბინე. სომხებმა, რომლებიც რკინის გზის საწყობს სდარაჯობდნენ, იქედან სროლა აგვიტეხეს. ჩვენ მაინც მშვიდობით გადავრჩით; იმ ღამეში ჩემ ნათლიმამასთან მივედი და იგი გავაგზავნე სადგურზე ამბავის გასაგებად. ნათლიმამა დაბრუნდა და გვითხრა: ლაპატინი გარდაცვლილაო.

ბაქოსაბუნჩის სამგზავრო მატარებელზე კონდუქტორად მსახურებდა ვინმე დრობოტოვი. წინად თბილისში უმსახურია და ყოფილა ცნობილი რეაქციონერი. 1906 წელს იმ ვაგონს, რომელშიც დამწყვდეული იყვნენ რევოლუციონერები ნავთი გადაასხა და დაწვას უპირებდა. მოსამსახურეებისათვის იგი ხომ საშინელება იყო! ვინც მას ქრთამს არ მისცემდა, ყველას აჭერინებდა! თბილისის ორგანიზაციებმა მისი დასჯა მოითხოვეს; ბაქოს კომიტეტმა მათ თანხმობა განუცხადა და სისრულეში მოყვანა ჩვენს შტაბმს მიანდო. შტაბმა კი მე დამავალა

წავიყვანე „მანჯურია“ და სარგურზე გავედით. უკვე შეღამებული იყო, როცა საბუნჩის მატარებელი მოვიდა. მეკარემ დრობოტოვი დამანახა. მე მაშინვე ვესროლე და იგი უსულოდ დაეცა. მე კედელზე გადავხტი, ფორნის გორასთან რესტორანში შევედი, ლუდი დავლიე და მერმე ეტლით ქალაქში წავედი.

ცოტა რომ გავიარე, დავინახე, რომ ჯარისკაცები ვილაცას მისდევენ. ლტოლვილი კარებიდან გამოვარდა გარეთ — ეს იყო ჩემი „მანჯურია“. იმის მაგიერ, რომ ის მშვიდობიან მგზავრებს გა-

ბყოლოდა, შეშინებული სადგურის უკან საწყობში ჩამხტარიყო; მე მას დავუძახე, ეტლში ჩავსვი და ქალაქში მივიყვანე. ძალიან დაჩცხვენილი კი იყო იგი.

რკინის გზაზე სამსახურის დროს ხელფასის ნაწილს გვიჭერდნენ, რაც კასსაში ინახებოდა; როცა სამსახურს თავი დავანებე, ეს ფული — ხუთას მანეთამდე — კასსაში დამრჩა. მოლარე, ნაცნობის საშუალებით, ხშირად მითვლიდა, ეს ფული წაიღეო. ფულისათვის კანტორაში მისვლა ძალიან საშიში იყო, რადგან იქვე, ათი ნაბიჯის მანძილზე იყო ჟანდარმერიის კანცელარია. მიუხედავად ამისა, ერთხელ გადავწყვიტე ჩემი კუთვნილი ფულის მიღება. საიმედო პირებმა მაცნობეს, რომ მოლარე კანტორაში მარტო იყო. მეც „ვესტუმრე“ ხაზინადარს და ჩემი ფული ვთხოვე. ფული მივიღე და გარეთ გამოვედი. მოსახვევთან წასვლა სახიფათო იყო, რადგან იქ იდგნენ პოლიციელები. ამიტომ გადავხტი ხის ჯებირზე; ჩემი სასროლი იარაღი ჯებირს მოედო და ქუჩაში დავარდა. გადმოვხტი უკან იარაღის ასაღებად; ამ დროს ხაზინადარმა ჩემი თავი დაანახა. პოლიციელებს; მათ მე მესროლეს და ტყვია მარცხენა ბარძაყში მომარტყეს. მეც დავიწყე სროლა და ამით თავს ვუშველე.

ოცი დღის შემდეგ სიარული შევიძელი, მაგრამ ტყვია ჩარჩა და სიარულის დროს მტკენდა მაგრამ მე მაინც ვაგრძელებდი მგზაობას: ვწვრთნიდი ამხანაგებს სროლაში.

ამ დროს ბაქოში გუბერნატორად იყო გენერალი კონევსკი, კაცი მოლიბერალო. გენერლის ცოლმა ჩემი ნახვა მოინდომა. მეც დავთანხმდი ამაზე და მას შევხვდი. მისალმების შემდეგ მან გადმომცა მისი ქმრისაგან მადლობა ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის; კანონით ჯილდო გეკუთვნის, მაგრამ რა ვქნა, რომ სიკვდილი გაქვს გადაწყვეტილიო. მთხოვა ფრთხილად ვყოფილიყავი და მპირდებოდა, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა, დამეხმარებოდა.

ამ ხანებში პეტერბურგიდან ბაქოს მოვიდა ხუთი ლამაზი „კურ-

სისტკა". ისინი თურმე ჯაშუშად იყვნენ გამოგზავნილი. მე დავავალე ამხანაგებს აღმოეჩინათ ამ ლამაზი ქალების ბინა. გავიგეთ, რომ ორი მათგანი სასტუმრო „ბრისტოლში" ცხოვრობდა. ეს ქალები მოხერხებულად მეჯშაობდნენ და მათ უკვე დააჭერინეს პოლიციას ხუთი სოციალისტ-რევოლუციონერი. ერთ დღეს წავიყვანე ორი ჩემი რაზმელი და ჯაშუშებს ვესტუმრე სასტურმოში. ქალები მართლაც ლამაზი იყვნენ. ისინი ძლიერ შეშინდნენ და შეგვეხვეწნენ — ნუ მოგვკლავთო! მათ მე ჩამოვართვი ჩვენება; მათი პროფესიის დოკუმენტებიც ვიპოვნეთ. მათ გასცეს თავისი ამხანაგები. დავკმაყოფილდით იმით, რომ მათ მივეცით წინადადება 24 საათში ბაქო დაეტოვებინათ, რაც კიდეც შეასრულეს.

ჩემი ჭრილობა ძალიან მაწუხებდა. ტყვია ძვალზე იყო მიბჯენილი. უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. გადავწყვიტე მივსულიყავი ნავთის მწარმოებელთა საბჭოს საავადმყოფოში, სადაც უფროსად იყო ჩემი ნაცნობი ექიმი. მას კი წინასწარ მოველაპარაკე: თუ პოლიცია მომაკვლევდა, ჩემთვის ჩაეცმიათ საავადმყოფოს სანიტარის ხალათი და ეტლით გავეგზავნეთ ვითომ მძიმე სნეულის მოსაყვანად. ჩემთვის საოპერაციო მაგიდა გაამზადეს და სწორედ ამ დროს კაზაკებისა და პოლიციელების რაზმი მოვიდა. მე მაწინათვე გადავიცვი ტანისამოსი, გავიყოლიე მოწყალების ერთი და ასე სამშვიდობოს ვავედი. ექიმზე ეჭვი მიიტანეს და კიდეეაც დააპატიმრეს. მაგრამ მალე გამოუშვეს. გამცა საავათმყოფოს მოსამსახურემ, რომელიც შემდეგ ჩემმა რაზმელებმა შეიპყრეს, მაგრამ მე გავანთავისუფლებინე, რადგან ოთხი პატარა შვილის პატრონი აღმოჩნდა.

ტერორისტულ აქტებზე მეტ წილად მარტო მივდიოდი, რადგან მიყვარდა თავისუფალი მოქმედება. ამას გარდა, ხშირად თან მყოლი ამხანაგები იბნეოდნენ ხოლმე და მეც ხიფათში მაგდებდნენ.

ტკივილებმა მიმატა თანდათან. ექიმის აზრით, თუ ოპერაციას არ გავიკეთებდი, შესაძლებელი იყო ანთების ვაჩენა.

ბენ. გუბერნატორი კონევსკი ბაქოდან ბათუმს განაწესეს და

ბაქოში მის ადგილას დანიშნეს თბილისის სახელგანთქმული პოლიცმეისტერი მარტინოვი. მარტინოვს ჩემს შესახებაც მოხსენდა. როგორც გადმომცეს, მან აკრძალა ჩემზე თავდასხმა; სამაგიეროდ დამადევნა საიდუმლო მკვლელები.

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს მოქალაქენი თავს მევლებოდნენ, ჩემი შენახვა ბაქოში მაინც გაჭირდა.

ექიმებმა მირჩიეს წავსულიყავი მათ ნაცნობ ექიმთან სოხუმს. ორგანიზაციამ და შტაბმა მირჩიეს დროებით მაინც გავცლოდი ბაქოს. დავთანხმდი; მომცეს წერილი სოხუმის პარტიული ორგანიზაციისადმი; დავემშვიდობე ბაქოს, ნაცნობ-მეგობრებს, ნაბრძოლ ქუჩებს და ჯიდი საიდუმლოებით სოხუმს მივაშურე.

1909 წლის იანვარში სოხუმში ვიყავი. ექიმს მისი მეგობრის წერილი გადავეცი და იანვრის ბოლოში ოპერაცია გამიკეთეს. ორ თვეში კარგად მოვიკეთე. სოხუმელმა ამხანაგებმა იალქნიანი გემით გურიას გამისტუმრეს. 1909 წ. 10 აპრილს გრიგოლეთში მივედი. ორი დღე სუფსის რაიონში დავრჩი და შემდეგ ჩემ მშობლებს ვეწვიე. გურიაში მე არც ხალხი მიცნობდა და არც პოლიცია დამდევდა. ბაქოში ჩემი მოქმედება აქაურებისათვის უცნობი იყო; მე არაფერს ვიმჩნევდი და წყნარად ვმუშაობდი მამაჩემის მამულში. ფარულად მაინც იარაღს ვატარებდი. გავაშენე ტყე, დავრგე 700 ძირი აკაცია, წაბლი და თუთა. გავაშენე ნიგვზის ხეები, ბამბუკი, ვენახი და ხილი. გავაშენე მანდარინის და ჩაის ბუჩქები, ოჯახისათვის საუცხოვო ბოსტანი და სხ. სახლში იშვიათად ვათევდი ღამეს. ჩემმა მშობლებმა იცოდნენ ჩემი საიდუმლოება და მათ გარდა კიდევ ჩემმა ამხანაგ-მეგობრებმა.

1910 წლის იანვრის ბოლომდე მშვიდობიანად გავატარე ჩემი ცხოვრება. თებერვალში ლანჩხუთის პრისტავი კუხალეიშვილი თავისი სტრაჟნიკებით თავს დამესხა ღამის პირველ საათზე. მე ყანაში მეძინა. დილით გავიგე, რომ მამა-ჩემი დაეპატიმრებინა. მე პრისტავს საიმედო კაცის ხელით წერილი მივწერე, სადაც ვწერდი —

თუ ჩემს მამას შეურაცხყოფას მიაყენებდა და არ გაანთავისუფ-ლებდა, მაშინ მე მისი მამის ოჯახს დავსჯიდი. თან ვწერდი, რომ ძე კარგად ვიცოდი მისი მშობლების საცხოვრებელი სოფელი სა-მეგრელოში. მამა-ჩემი მაშინვე გაანთავისუფლეს. მას პრისტავი თურმე საუკეთესო ღვინითაც გაუმასპინძლდა... მამა-ჩემს თავი მო-სწონდა: ჩემმა შვილმა პრისტავს ქედი მოახრევინაო!

მაზრის უფროსმა ერმოლოვმა გურია ააფორიაქა, შეკრა კავ-შირი ქურდ-ბაცაცებთან, რომლებიც გურიას სძარცვავდნენ; აწყობ-და ათასგვარ პროვოკაციას; ნაძარცვში თვითონ წილს იღებდა და ხალხს სჯიდა ვითომდა ყაჩაღების შენახვისათვის. ბოლოს მაინც ხალხმა შესძლო მისი თავიდამ მოშორება და მისი ადგილი დაიჭირა ზაკუსოვმა.

ქურდებსა და ავაზაკებს როცა ქალაქში საქმე წაუხდათ, სოფ-ლებს მიაშურეს. განსაკუთრებით გურიას მოაწყდა მრავალი მძარ-ცველი. აქვე იყო ამავე დროს ბევრი პოლიტიკური დეენილიც, რო-მელთაც ხალხი სათანადო პატივით ინახავდა.

ივლისში ღამით ჩემს მშობლებს თავს დაესხა ლანჩხუთის პრის-ტავი დგებუაძე. მე მოშორებით ვიყავი და დგებუაძის მოქმედებას თვალს ვადევნებდი. დგებუაძემ მამაჩემს სანთლის ანთება მოსთხო-ვა და ჩემზე იკითხა. მამა-ჩემმა. რასაკვირველია, ჩემს იქ ყოფნაზე იუარა და პოლიციელები სახლის ჩხრეკას შეუდგნენ. დგებუაძე მა-მა-ჩემს არ შორდებოდა და ჩემ შესახებ ედავებოდა. გათენებისას დგებუაძე ჭკუაზე შეირყა და მისმა პოლიციელებმა თოკით შეკრუ-ლი ლანჩხუთში მიიყვანეს, იქიდან — საავადმყოფოში და შემდეგ — საგიჟეშიო, ამბობდნენ. იძულებული ვიყავი გადავსულიყავი არა ლეგალურ მდგომარეობაში. გამოირკვა, რომ ბაქოს ადმინისტრაცი-ამ გაიგო ჩემი გურიაში ყოფნა და სასტიკი ღონისძიების მიღება უბრძანა გურიის პოლიციას. სამი თვე მარტოდ ერთ ოთახში გავა-ტარე ჩემი ნათლიმამის ვარლამ წულაძის ოჯახში. მეგობრებთან გა-ვაბი კავშირი. 1910 წ. სოფ. ხიდისთავში დავესწარი სოც.-დემ. კო-

მიტეტის სხდომას. აქ იყო დევნილი სერგო მათითაიშვილი. კრებას თავჯდომარეობდა ილია კალანდაძე. დაისვა საკითხი შეიარაღებული დევნილების შესახებ. გამოირკვა, რომ ეს ვაჟბატონები არავითარ წესებს არ ემორჩილებოდნენ: ჭურდობდნენ, სძარცვავდნენ ყველას, ქეიფობდნენ, ჰკლავდნენ კერძო ინტერესებით ხალხს, ძარცვავდნენ და პროვოკაციას იწვევდნენ. პოლიცია ვითომ სდევნიდა მათ, აყენებდა ეკზეკუციას სოფლებში და სხვ. სოფელ ბახვში იაგორ ჭელიძისას, დავესწარი პარტიულ კრებას. მოხსენება გააკეთა გრ. კოპლატაძემ. გამოირკვა, რომ გურიაში იმ დროს იმყოფებოდა ასზე მეტი ყაჩაღი. მე ავიღე სიტყვა და ვუამბე, თუ როგორ ვებრძოდით ასეთ პირებს ბაქოში და რა შედეგებს მივაღწიეთ. ყაჩაღები მარტო გურულები როდი იყვნენ. იყვნენ სხვა და სხვა კუთხიდანაც: თათრები, მეგრელები, იმერლები და სხვ. ჩემი რჩევა კომიტეტმა არ მიიღო, რადგან ჩემი ლონისძიებანი სასტიკად ჩასთვალეს. დაადგინეს: პროპაგანდის საშუალებით მათზე გავლენა მოეხდინათ. დაუწყეს მგლებს სახარების კითხვა. ყაჩაღებს პარტიის პროპაგანდა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. მე შევუდექი კავშირის გაბმას პარტიულ ვაჟკაცებთან და ასეთები ყველა სოფელში მყავდა. ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ აგიტაციაპროპაგანდით ვერას გახდებოდნენ. დამიბარა კომიტეტმა და წინადადება მომცა მომეწვია ეს ვაჟბატონები და კომიტეტის სახელით გამეფრთხილებინა.

1910 წ. 17 ნოემბერს მე ყაჩაღები დავიბარე სოფელ გუთურიში. ახლად დაღამებული იყო, რომ დანიშნულ ალაგას მოვიდა 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) ყაჩაღი. ყველა იყო შეიარაღებული კარაბინით. ამათში იყო შვიდი კაცი, პარტიული ამხანაგი — კიკია მამულაიშვილი, სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია, რაჟდენ ხომერიკი და სხვ. შეიარაღებულ პირებს მივმართე წესრიგისათვის თავჯდომარე აერჩიათ. დამასახელეს მე. მაგრამ მე მათ განვუცხადე, რომ ზნეობრივად არ შემიძლია მათი თავჯდომარეობა. ისინი გაჯავრდნენ და იარაღზე გაიკრეს ხელი. მე ცოტა მოხერხებული მაღლობზე ვიყავი. მაგრად შევყვირე: თუ რამეს გაბედავენ, ათგირვანქიან ბომბით გაგიმაპინძლდებითმეთქი. ისინი მოლბნენ. მაშინ მათ გადა-

ვეცი კომიტეტის უკანასკნელი გაფრთხილება. გაფრთხილებამ უშედეგოდ ჩაიარა. ყაჩაღები ძველებურად ისევ თარეშობდნენ. ამათში ერევნენ ოსეთებიც, რომლებმაც მაზრის პოლიციიდან მიიღეს იარაღი. ყაჩაღებმა სხვა ბევრი ახალგაზრდაც აიყოლიეს.

ბოლოს და ბოლოს გურიის სოციალდემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა ყაჩაღების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა. კომიტეტმა პირველად წინადადება მისცა მათ: გასულიყვნენ გურიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მტრად ჩასთვლიდნენ. ყაჩაღები კომიტეტის წევრებს იცნობდნენ და ზოგ მათგანს თავს დაესხნენ. სიკვდილითაც დაემუქრნენ.

ჩვენც დავიწყეთ მოქმედება. პირველად უნდა დასჯილიყო სერგო თაყაიშვილი, შავიშვილი, ხინთიბიძე, სიმონ ბურჭულაძე და სხვ. ამათ ბრალი ედებოდათ მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკებამოკვლაში.

1912 წელს გავიგე, რომ მათ აიკლეს სოფ. ასკანაში კაპიტონ ასათიანის ოჯახი. ერთხელ ჩემთან იყვნენ შეიარაღებული ამხანაგები: კ. მამულაიშვილი და რაჟდენ ხომერიკი. სწორედ ამ დროს მოგვივიდა ცნობა: ისინი ბახვის საზოგადოებაში შემოვიდნენო. გავიგეთ აგრეთვე, რომ წასულიყვნენ ამბაკო ჭელიძის დასასჯელად. ჩვენ მათ კვალს გავყევით, გავსწიეთ ამბაკოს სახლისაკენ სხვა და სხვა გზით. მე ეზოში წინა ჭიშკარიდან ჩავედი. ეზო ერთ ქცევაზე მეტი იქნებოდა. სახლის წინ ერთი დიდი მსხალი იდგა. ამბაკო სწორედ იმ მსხალთან გამოეყვანათ და დაეჩოქებინათ. ხინთიბიძე რევოლვერით თავზე ადგა და სიკვდილით ემუქრებოდა. თაყაიშვილი და შავიშვილი სახლში შესულიყვნენ და რაღაცას ეძებდნენ. მე მაშინათვე ხინთიბიძესთან მივირბინე და მას იარაღი ავყარე. თაყაიშვილმა და შავიშვილმა ამხანაგის შველას თავი ანებეს და გაიქცნენ. ხინთიბიძე წავიყვანეთ. მე წინ მივდიოდი. მამულაიშვილმა ველარ მოითმინა, ესროლა მას და მოჰკლა იგი. თაყაიშვილი კი მოკლულ იქნა სოფ. ლეხაურში, სურგულაძის მეთაურობით.

1912 წელს მე და ხომერიკმა შევიპყარით ოთხი მძარცველი:

ერმილე შელია, ალექსანდრე დათუნაიშვილი, ვანო მესხია და ფიფია. ამათ მრავალი დანაშული მიუძღოდათ. გურიაში გაძარცვეს ხიდისთავის დუქნები. გაძარცვეს ბახმაროზე მიმავალი ხალხი, წაართვეს ბეჭდები, საყურეები და სხვა. შესდგა სასამართლო კომიტეტის მონაწილეობით. სასამართლომ შელიას, როგორც პრისტავის აგენტს და ავაზაკს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მესხიას, ფიფიას დათუნაიშვილს იარაღი აჰყარა და მათ უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. მთელ გურიაში ვღებულობდით ზომებს ყაჩაღების წინააღმდეგ. იყვნენ ქურდები, რომლებიც იპარავდნენ ცხენებს და სხვა ოთხფეხ საქონელს. ასეთი ქურდების ბუდე იყო სოფ. ბუკნარში. ჩვენი ზომებით ყაჩაღები დაშინდნენ და უმრავლესობამ გურია მიატოვა.

1913 წ. მე და კიკია მამულაიშვილი ვიყავით სოფელ ვაკიჯვარში ყაისარ გიორგაძისას. მამულაიშვილმა აიჩემა და მარტო მიდიოდა იორდანე მდინარაძესთან. მე დავუშალე, რადგან სოფელი სტრაჟნიკებით იყო სავსე. არ დაიჯერა და წავიდა. ორი საათის შემდეგ ცნობა მოვიდა, რომ კიკია მოჰკლესო. მაშინვე წავედი მკვლელობის ალაგას, მაგრამ უკვე გვიანლა იყო. სტრაჟნიკები წასულიყვნენ. კიკია მამულაიშვილი არ იყო ფრთხილი კაცი და ასე უბრალოდ დაილუპა. 15 დღის შემდეგ კ. მამულაიშვილის გვამი სასაფლაოზე ბივასვენეთ სოფელ დვაბზუში და დავკრძალეთ.

1914 წელს, ხალხის თხოვნით, გადავწყვიტეთ გურიაჰარის მთის საბალახოებისათვის ყურადღება მიგვექცია. ამ საბალახოებზე ქურდები პირუტყვს იპარავდნენ. მაისში, ვაკიჯვრიდან გავემგზავრე ბახმაროზე. ჩემი მეგზური იყო ყაისარ გიორგაძე. დილით ფურნიაზე ავედით. მდინარაძის დუქანი თავისუფალი იყო. საუზმე მომიტანეს. ერთი საათი იქ დავრჩი. ამ დროს გარედან ქალის მოთქმა მოგესმა. მეგზურს ვთხოვე, გაეგო ტირილის მიზეზი. გიორგაძემ ქალი ჩემთან მოიყვანა. ეს ჩემი ნაცნობის, ილიკო არაშიძის დედა აღმოჩნდა. თურმე ქურდებს მისი ძროხა დაეკლათ და ხორცი მდინარაძისათვის მიეყიდათ. ქალმა ქურდი დაშანახა. მე იმ წამსვე ქურდი-

საკენ გავექანე, იარაღი ავყარე და დავაპატიმრე. ჩამოვართვი ჩვენება. აღმოჩნდ ჯიქია, ოზურგეთის პრისტავის სტრაჟნიკი. იგი ამ დროს 15 დღის შვებულებაში ყოფილიყო. ჯიქია დუქნის წინ მივიყვანე და სვეტზე მივაკარი. ძროხის ტყავი ზურგზე დავაკარი; ჩავაბარე ორ ვაკიჯვრელს, რათა იგი მამასახლისისათვის გადაეცათ. ვათოკილი ქურდი ბახვამდე და შემდეგ ოზურგეთამდე მთელ ხალხს აჩვენეს. ცხრა თვე იჯდა ციხეში ჯიქია და იქიდან ისე დასუსტებული გამოვიდა, რომ მალე გარდაიცვალა.

ბახმაროზე ჩალანდრებისათვის 24 ცხენი მოეპარათ. პოლიციის სამი ცხენიც წაეყვანათ. მომმართეს თხოვნით, პატრონებს დავხმარებოდი. მე დავთანხმდი; მომცეს გზის მცოდნე გალაქტიონ სიამაშვილი და სანდრო გიორგაძე; ერთი მესაიდუმლე აჭარელიც. გავემგზავრეთ აჭარისაკენ. შუადღისას მივადექით ქურდების ბუნაგს. აჭარელმა ნაძვნარში დამანახა ერთი ფიცრული სახლი და მითხრა: იქ იქნება არა ნაკლები ხუთი კაცისაო. სახლის პატრონი არის მეჯოგე მეგრელი მასხულიაო. მანვე ამიხსნა, რომ თავდასხმა ძალიან საფრთხილოა, რადგან თათრული დიდი ძაღლები შემოგიტევენ; ძაღლების ხმაზე ისინი საფარში გავლენ და სროლას აგიტეხენო.

მე შორიდან სახლი დავათვალიერე და მივაგენი ძაღლების საწოლ ბინას. სამივე ჩემ ამხანაგს საჭირო დავალება მივეცი. სახლზე კი მარტო მე მივდიოდი შეუმჩნევლად და როცა მათ დავუძახებდი, ისინი უნდა მომშველებოდნენ. წავედი სახლისაკენ გორის მიმართულებით, რომ ძაღლებს სუნი არ აეღოთ. სახლის კარს შეუმჩნევლად მივადექი. ქურდები მოულოდნელობით შეკრთნენ. ვუბრძანე არ განძრეულიყვნენ. იქ სულ რვა სული იყო, ერთი 8 წლის ბავშვი. მე ჩემებს დავუძახე. ბავშვმა ტირილი დაიწყო და გარეთ გაიყვანეს. სიამაშვილმა იარაღი მოაგროვა: ოთხი კარაბინი და შვიდი რევოლვერი, მათი ვაზნებით. სადილად ემზადებოდნენ, მწვადი და სხვა საჭმელი ბლომად ჰქონდათ. ვუბრძანე ესადილათ, რადგან მე მათ წაყვანას ვფიქრობდი. სადილი უგემურად მიირთვეს. შემდეგ მე მათ წავუყენე მოთხოვნილება: მოეყვანათ 27 ცხენი და თუ ამ მოთხოვნას

არ შეასრულებდნენ, სიკვდილით დაისჯებოდნენ. ქურდებს არ სდო-
დათ ცხენების ჩაბარება, მაგრამ ისინი მეჯოგეებმა გასცეს. 24 ცხენი
ჩაგვაბარეს; სამი უკვე გასასყიდათ წაეყვანათ. მე ვიცოდი, რომ მათ
ჰქონდათ იარაღის საიდუმლო საწყობი. რომლის გაცემა მე მათ მო-
ვთხოვე. ერთი მეჯოგე გავაგზავნე იმ ოთხი ცხენის მოსაყვანად ბახ
მაროზე; 23 ცხენით, ნადავლი იარაღით და ოთხი ქურდით ბახმარო
საკენ გავწიეთ. დიდ გზას გვერდი ავუხვიეთ, რადგან მოსალოდნელი
იყო სადმე პოლიციელები შეგვყროდნენ. მეოთხე დღეს ნაშუადღევს
ბახმაროს ახლოს დავბანაკდით; ბახმაროზე ცხენების პატრონებს ვა-
ცნობეთ თავისი ცხენები წაეყვანათ და პოლიციისათვისაც მათი ცხე-
ნები ჩაებარებინათ. ქურდებს გუშაგები მივუყენე; ისინი გამოტყდ-
ნენ და „მთის მგლები" დაასახელეს.

ათი დღის განმავლობაში ოც კაცს მოვუყარე თავი: ამათი მე-
თაღრები, ხუთი კაცი დავხვრიტეთ, დანარჩენი ხალხს გადავეცით, ზან
კი ისინი პოლიციას გადასცა სათანადო საბუთებით პასლსისგებაში
მიეცემად. გამოირკვა, რომ ერთი მეჯოგე, რომელსაც ოთხასამდე
სული საქონელი ჰყავდა, ხელს უწყობდა ქურდებს. ის დავიაჯეთ
იმით, რომ ხალხის ზარალი იმავე პირების სასარგებლოდ ერთი ორად
გადავახდევინეთ, თავისი საქმის ლიკვიდაცია მოვახდენინეთ და თა-
ვის მხარეში გავისტუმრეთ.

1914 წლის გიორგობისთვეში ნიგოითში ვიყავი. ჩემთან მოვიდა
ჩემი მეგობარი ფირცხალაიშვილი და მითხრა, რომ ერთ კაცს შენი
ნახვა უნდაო. მოვიდა ეს კაცი და ტირილით მითხრა: ფიჩორის პირ-
ზე უღლიდან ახალგაზრდა ხარი გამოვუშვი, ქურდებმა დამიკლეს,
იქვე ცეცხლი გააჩაღეს და ჩემი ხარის მწვადებს შეექცევიანო. სამივე
მოვახტით ცხენებს. შორიდან ეს ადგილი დამანახეს, სადაც ქურდები
იყვნენ. ბეჩქნარით, შეუმჩნევლად მივუახლოვდი და ჩემი „ბორხა-
ტით" ორივე იქვე დავაგორე, მესამემ კი თავს უშველა. ხარისათვის
მარტო სამწვადე აეკრათ.

გურიაში ყაჩაღები ალაგმულ იქნენ. ომის დროს კი გახშირდა დე-

ზერტირობა და ამასთან ერთად ქურდ-ბაცაცობაც. რომლის წინააღ-მდეგ ბრძოლას განვაგრძობდით.

შემოდგომაზე. 1913 წ., სამტრედიის რაიონიდან გურიაში მო-ვიდა თეოფილე წულაია, რომელიც თავის ნათესავებში იმალებოდა. წულაიას კეთილსინდისიერება საეჭვოდ მიგვაჩნდა. ამიტომ გამოვირ-კვიეთ მისი ვინაობა. გამოირკვა შემდეგი: წულაიას მამას ოდა-სახლი გაეყიდა; ფული მყიდველს მეორე დღეს უნდა მიეტანა. ამ ღამეს წულაია თავისი ამხანაგებით თავს დაესხა მყიდველებს და მათ ფუ-ლი მოსთხოვა;. მაგრამ მას ფული სახლში არ ქონებოდა და არც შეეძლო მიეცა. ოჯახის მამაკაცი ხანჯლის წვერით ეწამებინათ და ისე მოეკლათ. შემდეგ ქალს მოსთხოვეს ფული და მისგანაც რომ ვერ მიიღეს, ბავშვიც წამებით მოუკლეს. შემდეგ ქალიც დასჭრეს. ამის მომქმედი წულაია გურიაში ჩამოვიდა და აქ თავს ინახავდა.

ამავე დროს ბათუმს მტერმა ყუმბარები ესროლა და მოსახლე-ობა შიშიანობამ მოიცვა; ბევრი გურიაში შემოსახლდა. წულა-იამ ამხანაგები იშოვნა და ლტოლვილებს ძარცვა დაუწყო. რო-გორც კი გავიგეთ ეს, წულაიას მოვსთხოვეთ თავისი ამხანაგები-თურთ გურიიდან გასულიყო. პასუხად მუქარა მივიღეთ.

ჩაზამთრება იყო. გავიგეთ, რომ წულაია თავისი ამხანაგებით ვაკიჯვარში სიამაშვილისას იმყოფებოდა. წავიყვანე რაჟდენ ხო-მერიკი და გავსწიეთ მის დასასჯელად. სიამაშვილის ეზოს კარებთან მე და წულაია ერთმანეთს შევეხეჩეთ სამი ფეხის ნაბიჯზე. წუ-ლაიას თოფი შემართული ჰქონდა; იარაღის ამოღება არ მოესწ-რებოდა; ამიტომ ხელდახელ ვეცი და თოფს ხელი ავეკარი; ტყვი-ამ ჰაერში გაიზუზუნა. ამ დროს ხომერიკმა ესროლა მას და წულაია უსულოდ მიწაზე დაეცა. წულაია ოზურგეთის პრისტავმა მექი კე-დიამ კანცელარიაში წაასვენებინა.

1915 წლის შემოდგომაზე სოფელ გაგურში ცეცხლი გაუჩნდა ქანთარიას სახლს. მე იქ ახლო ვიყავი და მივირბინე. ჩემამდე ბევრი

უკვე მისულიყო, მაგრამ ზომებს არ იღებდნენ. მოხუცები შველას ღმერთს შესთხოვდნენ, ცეცხლი კი ოდის სახურავს ატანდა. თუ ცეცხლს ვერ ჩავაქრობდით, შეიძლება რამოდენიმე მოსახლე გადამწვარიყო. ერთ საიმედო ამხანაგს იარაღი გადავეცი, მოვარბენინე კიბე, ავედი სახურავზე და წყალი მოვითხოვე. ხალხი გონს მოვიდა. მოარბენინეს რამოდენიმე კიბე, იშოვნეს ვედროები და ხელჩართული ბრძოლით ცეცხლი დავამარცხეთ. ხელები დავიწვი, ულვაშები შემეხრუკა; ხალხი მკოცნიდა და ათას მადლობას მეუბნებოდა.

იქ ახლოს ყოფილიყო ბერეჟოულელი მირიან ჭანიშვილი. მას თან ახლდა ბიძაშვილის ასული. მირიანი მოვიდა ჩემთან, გამაცნო ბიძაშვილი ლიუდმილა და თავის ნათესავ თოხაძის სახლში დამპატიჟა. კარგად გაგვიმასპინძლდნენ. ახლად გაცნობილმა ლიუდმილამ დამლოცა და ცეცხლზე გამარჯვება მომილოცა.

მეორე დღეს ცხენებით ბერეჟოულში წავედით. გავიარეთ ჩემ სოფელში; მირიანს ქეიფი უყვარდა და კარგათად დაითრო. საღამოს თერჯოლისაკენ გავსწიეთ. უნდა გავსულიყავით მდინარე გობაზოულზე, რომელიც ადიდებული იყო. ცხენები მდინარეში შევაგდეთ; წყალი ღრმა აღმოჩნდა...

ლიუდმილას ცხენმა ქვას ფეხი წამოკრა, წაიქცა; ქალი გადავარდა, წყალმა წაიღო; მე მდინარეში გადავეშვი; იარაღი და „პლაშჩი" ცურვაში ხელს მიშლიდა. როგორც იქნა დავეწიე ქალს და ხელი ვტაცე. მირიანმა ცხენი ჩვენკენ გამოაქენა; მე ნაპირს მოვეპოტინე და დახმარებას ველოდი. მირიანმა ცხენი წყალში ჩამოაგდო; ცხენმა წიხლი მკრა და ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ ქალს უცაბედად ხელი შევუშვი. ორივე წყალმა წაგვიღო; საბედნიეროდ, მდინარემ ორივე ფონამდე მიგვათრია. ამ შემთხვევით ვისარგებლე და ქალს ისევ ვტაცე ხელი. ლიუდმილას ბევრი წყალი დაელია და ძლივს მოვიყვანეთ გონს. მე ვავიქეცი ჩემი ცხენის მოსაძებნად; იგი ადგილიდან არ დაძრულიყო. შევჯექი და ჭენებით წავედი იქით, სადაც ჭანიშვილი დავსტოვე, მაგრამ ისინი იქ აღარ დამხვდნენ. მეზობლებს წაეყვანათ სახლში. ტყვია-წამალი დამისველდა; განსაკუ-

თრებით მენანებოდა „ბორხატის“ ტყვიები, რადგან ის აქ არ იშოვნებოდა. გავშინჯე ვაზნები და ყველა უვარგისი აღმოჩნდა.

1916 წელი. ლანჩხუთში ვიმყოფებოდი. ჩემთან მოვიდნენ მეგობრები და მითხრეს, რომ სოფლელებს ქურდები შეესივნენ და ოცი თავი საქონელი მოიპარეს, სამეგრელოსაკენ მიერეკებიანო. ოთხი შეიარაღებული ცხენოსანით გავეკიდეთ, დავეწიეთ მათ რიონის პირას და შევიპყარით. ერთი მათგანი ლანჩხუთის პრისტავის სტრაჟნიკი აღმოჩნდა. იგი განვაიარაღეთ და პრისტავს გავუგზავნეთ.

10 მაისს დედასთან წავედი. დედამ ერთი მეგობრის წერილი გადმომცა, რომლითაც სოფელ ბუკნარში მიბარებდნენ. იმავე საღამოს დანიშნულ ადგილას მივედი. მეგობრებმა გადმომცეს შემდეგი: მდინ. გუბაზოულზე, ომის გამო, კეთდებოდა რკინა-ბეტონის ხიდი; ეს მცხოვრებთათვის დიდი სასარგებლო საქმე იყო. მუშა ხელსაც სამუშაო გაუჩნდა. მაგრამ ყაჩაღებს ხიდის მშენებელისათვის წერილი მიეწერათ და ხუთი ათასი მანეთი მისთვის მოეთხოვათ. თუ არ გადაიხდიდა ამ თანხას, მას სიკვდილით ემუქრებოდნენ. წერილი მოეტანა ვინმე ტალაბაძეს. ინჟინერს განეცხადებია — ამდენი ფულის გადახდა არ შემიძლია, პოლიციის იმედი არ მაქვს. ამიტომ ხიდის გაკეთებას თავი უნდა დავანებო. მე ხიდისთავში სერგო მათითაიშვილს და თეოფილე მუხაშავრიას კაცი გავუგზავნე და ვთხოვე ჩამოსულიყვნენ ჩემთან.

11 მაისს დილით ხიდისთავს წავედი. სოფელ ახალშენში და ბერეეფოულში მზვერავები გავაგზავნე იმ ამოცანით, რომ გაეგოთ ვინ იყვნენ ყაჩაღები და სად იმყოფებოდნენ. მზვერავებმა მათ კვალს მიაგნეს. მენავემ, რომელიც საიმედო კაცი იყო, მითხრა — ათ მაისს სამებიდან ჩამოვიდა ხუთი კაცი შეიარაღებული და ბერეეფოულისაკენ წავიდნენო. ამათში ვიცანი მარტო ერთი. ეს იყო მიშა დოლიძეო.

ხიდისმშენებელ ინჟინერს ფული უნდა ჩაებარებინა ყაჩაღები-

სათვის 11 მაისს, 11 საათზე. მე ვიცოდი, რომ ყაჩაღები სიფრთხილისათვის ფულს დანიშნულ დროზე არ მიაკითხავდნენ. ამავე დროს ვიფიქრე, რომ დოლიძე თავისი ამხანაგებით თავის დასთან იქნებოდა სოფელ გუთურში. ეს სოფელი ჩოხატაურის სუფსის ხიდის ახლო არის. სოფელ ჯვარცხმაში მიმავალმა შევიარე ვატა მდინარაძისას. სახლში მარტო ქალიშვილი დამხვდა, რომელიც ერთხელ მოტაცებისას გადავარჩინე. მე მას ვთხოვე, ჩემი ცხენი დაემალა თავლაში; თვითონ კი ქვეითად გავსწიე გუთურისაკენ. ჩემი მეგობრის ბოლქვაძის ოჯახში გავიგე, რომ ყაჩაღებს გორაში გაუვლიათ. შევწუხდი, რომ ამოცანა სწორედ ვერ გამოვიყვანე და დაგვიანების გამო შესაძლებელი იყო ინჟინერი მოეკლათ. დავბრუნდი უკან. უნდა წავსულიყავი ხიდისთავს. გზაში სატირელს მიმავალი ხალხი შემხვდა. აქ თურმე ყაჩაღების მზვერავი, ნაგომრიელი სირაძე ყოფილიყო. სირაძემ დამინახა თუ არა, უკან გაიქცა და თავის ამხანაგებს აცნობა, რომ მე მარტოდ მივდიოდი მათკენ. მივუახლოვდი ჩიგოგიძის ეზოს, სადაც საურმე გზა ორად იყოფოდა. მე და დოლიძე ერთმანეთს მოსახვევში პირისპირ შევხვდით. დაგვიანება არ შეიძლებოდა. ვესროლე ჩემი „ბორხატიდან", მაგრამ იარაღმა მიმტყუნა, ვაზნა ცუდი გამოდგა. დოლიძემ შიშით თოფი ხელიდან გააგდო. მე მაუზერი ამოვიღე. ამ დროს თოფებმა იგრიალეს და ერთი ტყვია მარცხენა მუხლის თვალში მომხვდა. მუხლის თვალი სულ დამემსხვრა. დოლიძემ ამით ისარგებლა და თავის ამხანაგებისაკენ გაიქცა. ჩასაფრდნენ წისქვილის თხრილში და საერთო სროლა დამიწყეს. მე ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. დაწოლილი მათკენ ხოხვით მივფორთხდი, საფრად თუთის ხე გამოვიყენე და სროლა დავიწყე. ერთი მათგანი, სიხარულიძე, სასიკვდილოდ დავჭერი. ამხანაგებმა სიხარულიძე მიატოვეს და გაიქცნენ. ავიდნენ მაღალ გორაზე და იქიდან დამიწყეს სროლა. დაწოლილი, ხოხვით უკან გამოვბრუნდი. ამ დროს ჩემთან მოირბინა ახალგაზრდა გოგიბერიძემ, ხელი მომკიდა, მხრებში შემიდგა და მდინარაძისას შემიყვანა, სადაც ჩემი ცხენი იყო. ჩემი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, რადგან პოლიცია ახლოს იყო. მდინარაძის ქა-

ლიშვილმა, ჩემმა დადნაფიცმა ტყეში შემიყვანა. ჩექმა დანით გამიჭრა, ჭრილობაზე იოდი დამასხა და სუფთად შემიხვია. გოგიბერიძემ ცხენი მომიყვანა, შემსვეს ზედ და ახალშენისაკენ წავედი. გზაში ხალხი სროლის მიზეზს მეკითხებოდა; მეც ვეუბნებოდი — მთვრალი ჯარისკაცები ისროდნენ!

გზაში შევხვდი მელიტონ მეფარიშვილს, რომელმაც ლიუდმილა ჭეიშვილისას მიმიყვანა. მიუხედავად თბილი ამინდისა, მე მაინც მცივოდა. შემიყვანეს სახლში, გააჩაღეს ცეცხლი, მოიყვანეს ხიდისთავიდან ფერშალი სერაპიონ რამიშვილი, რომელმაც გამიწმინდა ჭრილობა. იმავე ღამეს, სერგო მათითაიშვილის თაოსნობით და ათი შეიარაღებული კაცის თანხლებით საკაცეთი გადამიყვანეს სხვა ბინაზე, ჯაშის ოჯახში. აქ კარგად მივლიდნენ. ერთი კვირის შემდეგ ურმით სოფელ ქვენოპანში, სერგო მათითაიშვილის სიმამრისას მიმიყვანეს. აქ დავრჩი 15 დღე. აქედან ურმით გადამიყვანეს სოფელ ფიჩხისჯვარზე, ვლ. თავართქილაძის ოჯახში. აქ მოიყვანეს ჩოხატაურიდან ექიმი არობშიძე, რომელსაც ახლდა ჩემი ნაცნობი ფერშალი სანდრო შონია. გამსინჯა ექიმმა და გამომიტყდა — საჭიროა სერიოზული ოპერაციაო. ეს კი ჩემთვის შეუძლებელი იყო, სიკვდილი მქონდა მისჯილი და ქალაქში ვერ წავიდოდი. ფერშლები შონია და რამიშვილი ხშირად მნახულობდნენ ხოლმე. აქ დავრჩი სამი კვირა და აქედან გადამიყვანეს სოფელ ასკანაში მიხაკო ნინიძის ოჯახში, სადაც გულმოდგინედ მივლიდნენ. აქ მნახულობდა ბახვის ფერშალი ხარიტონ ჭელიძე. ოცი დღის შემდეგ გადამიყვანეს სოფელ ოქროსქედში, მეგრელიძის ოჯახში. ტკივილები ძლიერ მაწუხებდა.

ჩემმა მეგობრებმა გაიგეს, რომ დოლიძე, სირაძე და აჭარელი ხალვაში ჩემზე თავდასხმას აპირებდნენ; ამიტომ ბინა გამომიცვალეს და სოფელ ფამფარეთში გადამიყვანეს, დიომიდე ინწკირველისას. გადაყვანის დროს უნდა გავსულიყავით ბახვის წყალზე, სადაც კინაღამ დავიხრჩვი. აქ მომიყვანეს სოფლის განთქმული დაჭრილმოტეხილის ექიმი გაბრიელ არობელიძე — 70 წლის მოხუცი. მან ჭრი-

ლობა ნახა, შეამოწმა და პირჯვარი გადაიწერა; დამადო მალამო და წავიდა. დიდი სიცხე მქონდა. საჭირო იყო თოვლი, რისთვისაც წავიდნენ ახალგაზრდები საყორიის მთაზე და თოვლი მომიტანეს. ერთი კვირის შემდეგ არობელიძე ისევ მოვიდა. მან მაპინძელს ორი ლონიერი ახალგაზრდა მოსთხოვა. არობელიძემ ჭრილობა შემიხსნა, თან მითხრა: მუხლის თვალი ძლიერ დამსხვრეულია და შიგ ხვრელი უნდა გავიყვანოო, რათა გაწმენდა შემეძლოსო. ჩემოდანიდან მსხვილი რკინა-შამფური ამოიღო, ლოგინზე პირაღმა დამაწვინა და გამაფრთხილა —— ღმერთი არ გაგიწყრეს და ხელი არ შემიშალოო.

სოფლის ექიმმა არობელიძემ ჩემი მუხლის თავი რკინაზე ჩამოაცვა; ორი ვაჟკაცი ზემოდან დამაწვა, რათა არ განძრეულიყავი. ჩემი წამება აუტანელი იყო, მაგრამ დაკვნესება-დაყვირების უფლება არ მქონდა. 15 წუთის შემდეგ მახვილმა რკინამ მუხლი გამიხვრიტა. მადლობა ღმერთსო! — წამოიძახა არობელიძემ. საჩქაროდ მარლა მოიტანა, გახვრეტილ მუხლის თვალში მარლა ზევიდან ქვევით გაატარა, ზედ მალამო დამადო და კმაყოფილი წავიდა.

ჩემი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე გრძელდებოდა. ყველგან თავს მევლებოდნენ და ჩემს მწუხარებას მიმსუბუქებდნენ. ქრისტიფორე ჭელიძისას ისევ მინახულა არობელიძემ; ნახა ჭრილობა და მითხრა: მთელი ჭრილობა მახვილი დანით უნდა მოგათალო, რომ დაძველებული ხორცი მოვიცილოთო და შემდეგ სისხლი უფრო სწორად იმუშავებსო. მიმაკრეს თოკით ლოგინზე, ერთი ლონიერი ახალგაზრდა ზემოდან დამაწვა და ექიმმა გალესილი დანით დამიწყო ხორცის თლა. შემდეგ დამტვრეული ძვლებიც ამომიღო. ვერ გავუძელი და ერთი მაგრად დავიკივლე. ექიმი გამიჯავრდა, დამსწრენი კი ტიროდნენ.

გავიგეთ, რომ ჩემი მტრები ბახვში შემოსულიყვნენ ჩემ მოსაკლავად. გადასწყვიტეს ბინის გამოცვლა ჩემთვის. ისეთი ტკივილები მქონდა, რომ სულის მოთქმა მიჭირდა, განძრევა ჭკუაზე მშლიდა. მაგრამ რა გზა იყო. დამაწვინეს საკაცეზე და ღამით ანდრია ხო-

მერიკისას წამიყვანეს. ოდახახლის კარში საკაცე არ შეეტია, გადმოყვანა საკაციდან კი შეუძლებელი იყო; ხომერიკმა ნაჯახით გააფართოვა კარი, რითაც ოდა დაზიანდა. რასაკვირველია, ჩემი ნათესავები და მეგობრები ყოველივე ლონეს ხმარობდნენ, რომ როგორმე გადავერჩინეთ, მაგრამ ჩემი საქმე თანდათან უარესდებოდა.

ერთხელ ხომერიკმა მომიყვანა ცნობილი სოფლის დოსტაქარი მარიამ ხომერიკისა. ეს ქალი ღმერთად მომეჩვენა. დღე-ღამიანად თავზე მადგა და მივლიდა. ერთხელ არობელიძემ კვერცხში აზელილი ცომით ფეხი შემიხვია. ეს იყო სოფლური გიპსი. ცომი ისე მაგრად გახმა, რომ ტკივილისაგან ვყვიროდი, რაც ჩემ იქ ყოფნას ამჟღავნებდა. ერთი კვირის შემდეგ „გიპსი“ გამომიცვალეს, ჩირქისაგან ჭრილობა გამიწმინდეს, ექვსი ნატეხი ძვალი ამოაძვრეს და ისევ შემიხვიეს. პოლიცია და ბანდიტები ისევ დამდევდნენ. ჩემი დაცვა იკისრა ბახვის სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ; დიდ სამსახურს მიწევდა გერასიმე ჭელიძე, იაგორ გარაყანიძე, გ. სალუქვაძე და სხვ.

20 დღის შემდეგ გადამიყვანეს ბახვში ქიშვარდი ჩიტაიშვილისას. არობელიძის და მარიამ ხომერიკის აქიმობა მომიხდა. ერთხელ ჩემთან შემოვარდნენ გახარებული დედა-ჩემი და ჩემი და მარიამი და მითხრეს — მალალურმა ისეთი ხმით დაიძახა, რომ უსათუოდ მოიკეთებო! საკვირველია! მეორე დღეს სიცხემ იკლო, მაგრამ ისე გავხდი, რომ ველარ ვლაპარაკობდი; ჩემმა დამ ვერც კი მიცნო.

ბინას ისევ მიცვლიდნენ ხოლმე, მატარებდენ სხვა და სხვა ოჯახში. უკვე ზამთარი იყო, როცა ცნობა მოვიდა, რომ ბახვში ოზურგეთის პრისტავი მოვიდა თავისი ამალითო, ამიტომ სიფრთხილისათვის ტყეში შემიყვანეს. მთელი ღამე ტყეში გავატარე. მარიამი იმ ღამეს ქოლგით თავზე მადგა. გიორგობისთვის დასასრულს სიცხემ კიდე დამიკლო და გვარიანადაც მოვიკეთე; ტკივილებიც ნაკლები მქონდა; ჭამის მადა მომივიდა და სიარულიც ვცადე, მხოლოდ მარცხენა ფეხი მუხლში არ იხრებოდა. ამ დროს მნახა ექიმმა თაყაიშვილ-

მა და მითხრა — თუ თბილისში ოპერაციას არ გაიკეთებ, ფეხს დაკარგავ!

აკეთის საზოგადოებიდან საყვედური მივიღე: ჩვენი შვილი ჩვენ არ გვეკარება, რის გამო შერცხვენილი ვართო.

ქრისტესშობისთვის პირველ კვირას ბახვს დავემშვიდობე და ხუთი შეიარაღებული კაცით, ცხენზე მჯდომი აკეთს წავედი. ღამით ჩემ სახლში მივედი, სადაც ორი დღე დავრჩი. შემდეგ გადამიყვანეს ლევან ტოროტაძის ოჯახში. ჩემი მომვლელი მარიამ ხომერიკისა აქ მოვიდა და თავის მადლიან ხელს არ მაკლებდა. ჩემმა დამჭრელებმა გაიგეს ჩემი ბინა, გაჩნდნენ მაშინვე ილარიონ წულაძის ოჯახში და შეეცადნენ ხელში ჩავეგდეთ. ერთ საღამოს მოირბინა ჩემმა სიძემ, ილია ვადაჭკორიამ და მითხრა: ამაღამ ავაზაკები თავდასხმას გიპირებენ და აქედან უნდა წავიდეთო. ასეც მოვიქეცი.

იქ ყოფნის დროს ჩემთან მოვიდა იმერეთიდან ექიმობაში განთქმული თურმანიძე; თურმე იგი იმერეთის ამხანაგებს გამოეგზავნათ ჩემს დასახმარებლად. თურმანიძემ ნახა ჭრილობა, წამლები გამომიწერა, ოპერაციის აუცილებლობა მითხრა და წავიდა.

ცნობა მივიღეთ, რომ ქუთაისის გუბერნატორმა გურიის მაზრის უფროსს მოსწერა — ვლადიმერ ბოგუაძე ან მკვდარი, ან ცოცხალი ჩამაბარეო. დატრიალდნენ ჩემი მეგობრები ჩემს გადასარჩენად. მოვიდა სოფელ სამებიდან ფარმაცევტი მიხაკო ელიაძე და მის ოჯახში გადასვლა მთხოვა. მე მივიღე მისი მიპატიჟება და ილარიონ ბოგუაძემ წაგიყვანა ურმით. დიდი თოვლი იყო და დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ელიაძის სახლამდე. თან მახლდა ჩემი მომვლელი მარიამ ხომერიკისა

იანვარში, 1917 წელს, ქუთაისის გუბერნატორ სლავოჩინსკის ჩემებურად გალექსილი წერილი მივწერე. ლექსი ზეპირად ვიცოდი, დამამახსოვრდა და იყო ასეთი —

შესდეგ მტარვალო! ნუ დამდევ,
ხელი აიღე ჩემზედა;
ცამეტი წელი სრულდება,
მუდამ ვიმარჯვებ მტერზედა.

თქვენ მე მპატიჟებთ მისთვისა,
რომ ჩამაჯინოთ ციხეში,
მხეცურად გამასამართლოთ,
თოკი ჩამაბათ კისერში.

რომ დაგიჯეროთ, მომისპობთ
ამა ბუნების მზერასა;
ჩამომაშორებთ დებს და ძმებს
და ამიტირებთ დედასა.

არ მომწონს მე თქვენი ციხე,
არც თქვენი მსაჯულ-ჯალათი,
არცა დახვრეტა ტყვიითა,
არც არესტანტის ხალათი.

მე მიყვარს თავისუფლება
და დროშა დამიკოცნია!
ციხე, ბორკილი, სიკვდილი
მტრებისთვის დამილოცნია.

რა დავაშავე ასეთი,
რომ გავხდი ასეთ ბედითა!?
ის, რომ დაჩაგრულთ ჩემ მოძმეთ
ამოვუდგები გვერდითა!?

თქვენ გარჩენთ, თქვენ გაფუფუნებთ,
გაბედნიერებთ ქვეყნადა!
ჯილდოდ — დახრჩობა, სიკვდილი
გახადეთ მათთა ხვედრათა!

თქვენ არ იბრალებთ ვინც გარჩენთ,
წაართვით კაცის ულელება;
გვსურს აღვადგინოთ ბრძოლითა
ჩვენ, ჩვენი თავისუფლება!

ჩვენ რომ სიმართლე წარმოვთქვით,
თქვენ ხომ არ შეგვიბრალეთა?
სახრჩობელით და სიკვდილით
დედები გაგვიმწარეთა!

სისხლი სისხლს ითხოვს, ჩვენც ვიღებთ,
მეც შემომაკვდნენ მგლებია!
საქმე ითხოვს და დავხოცეთ —
საწყალი ხალხის მტრებია.

გემართლებოდით, რაც გიქენთ,
გაგაქვრეთ მიწის პირითა;
უმართლოდ გამომაცხადეთ,
მე — უკანონო შვილათა!

სად გაქვთ სიმართლე, კანონი,
რას აფრინდებით ხელითა?
მრავალ ტანჯული დედები
გიხსენიებენ წყევლითა.

მე ვცხოვრობ მთებში და ტყეში,

სადაც ნადირნი ცხოვრობენ;
თქვენ გჯობნით ტყისა ნადირნი,
მემოყვრებიან, არ მტრობენ!

მოკლებული ვარ ყოველსა,
დედმამის ალერსს ქვეყნადა;
განდევნილი ვარ მე თქვენგან,
დავდივარ ტყე და ველადა.

აქ ვივლი, აქვე მოვკვდები,
აქ ამომხდება სულია;
ვერ მნახავს დედა მშობელი,
რომ გამიკოცნოს წყლულია.

არ დაგნებდებით, ვიომებ,
გული მაქვს თქვენზე მტრულია;
ჩემი დევიზიც ეს არის —
მე თქვენი ჟლეტა მწყურია.

არ მომეკაროთ, შორს ჩემგან!
ვფიცავარ: შემომაკვდებით!
უდროდ მოგისპობ სიცოცხლეს
და დაგეხუჭვის თვალები!

შესდეგ მტარვალო! ნუ დამდევ,
ხელი აიღე ჩემზედა,
თორემ ამდენი სიავით
გადაიმტვრევი კლდეზედა.

მე მიყვარს თავისუფლება,
და დროშაც დამიკოცნია!
ციხე, ბორკილი, სიკვდილი
მტრებისთვის დამილოცნია.

(გუბერნატორისადმი გადაგზავნილი ეს ლექსი რუსულად გადათარგმნეს და მას წაუკითხეს).

ჩემი მფარველობისათვის გურიის ხალხს დიდი სასჯელი მოელოდა; ამიტომ გადავწყვიტე, თუ ვინიცობაა თავს დამესხმოდნენ, წინააღმდეგობა არ გამეწია. ეს ჩემი გადაწყვეტილება მეგობრებს გავუზიარე, რაც მათთვის დიდად საწყენი დარჩა. თითქმის ყოველ დღე ხუთი შეიარაღებული კაცი მდარაჯობდა. რასაკვირველია, ასეთი მოპყრობისათვის სიცოცხლე არ უნდა დამეზოგა ხალხისათვის.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მოხდა რევოლუცია. მეფის რეჟიმი დაეცა; ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ჩემთან მოვიდნენ მეგობრები და თავისუფლება მომილოცეს. შემსვეს ცხენზე და სოფ. ამაღლებაში წამიყვანეს. აქ დიდი მიტინგი იყო. ორატორები ხალხს თავისუფლებას ულოცავდნენ. მეც მთხოვეს მეთქვა რაიმე. რამდენიმე სიტყვით მივულოცე დამსწრეთ მეფის რეჟიმის დაცემა. ხალხმა ოვაციებით დამაჯილდოვა.

გურიაში მოვიდა თბილისში გავლენიანი პირი ამხანაგი გოგელია. მან თბილისის იმ ლაზარეთში მომიწყო მიღება, სადაც მუშაობდა განთქმული ქირურგი მუხაძე. 10 მარტს გამოვემშვიდობე ჩემს გურიას და ურმით ნიგოითში წამიყვანეს; იქიდან კი მატარებელით თბილისში. თან მახლდა ჩემი მომვლელი, კეთილი მარიამ ხომერიკისა. 15 მარტს ექიმმა მუხაძემ გამშინჯა და მითხრა, რომ ექიმობა დაგვიანებული არისო; ვეცდებით ოპერაციის საშუალებით მოგარჩინოთო; ვინაიდან მუხლის სახსრები დაზიანებული არის, ამიტომ მუხლის თვალი უმოძრაოდ დარჩებაო.

20 მარტს ოპერაცია გამიკეთეს. ჩემს მარიამს ოპერაციაზე დასწრების უფლება არ მისცეს, რის გამო საწყალმა ბევრი იტირა. შემდეგ მარიამმა დამლოცა და გურიას დაუბრუნდა. ამდენი სამსახურისათვის მან ერთი კაპიკიც კი არ აიღო!

აპრილის ბოლოს ექიმმა მუხაძემ მითხრა: საჭირო იქნება კიდევ ერთი ოპერაცია; მართალია ბევრი ჩამსხვრეული ძვალი ამოვიღეთ, მაგრამ ჩარჩენილი კიდევ არისო. აპრილის 28-ს გამიკეთეს ოპერაცია. ივანობისთვის ბოლოს ჭრილობა დაიხურა; ფეხი მომირჩა, მაგრამ მოხრილი დარჩა. ამ დროს მოვიდა მუხაძესთან ძვლის სპეციალისტი გოფმანი და გაშინჯვის შემდეგ მითხრა: ფეხს მოგირჩენ ისე, რომ სწორად დადგმა შეგეძლოსო. მოხრილობის გამო ფეხს ათი სანტიმეტრის სიგრძე აკლდა. საჭირო იყო კიდევ ოპერაცია; მუხლის თავალი სულ უნდა დახვრეტილიყო და გიპსით შეეკრათ ექიმებმა ერთი თვის დასვენება მიბრძანეს. ამიტომ კვირიკოპისთვის პირველ კვირაში გურიას გავემგზავრე. დავდიოდი ყავარჯნით. ექიმი მუხაძე თავისი ოჯახობით ქობულეთში ისვენებდა, სადაც იგი ვინახულე.

ოზურგეთში დავესწარი გურიის კომიტეტის კრებას. კრებაზე გამოვედი შემდეგი განცხადებით — რევოლუციონური მოძრაობის პერიოდში ვიყავი კომიტეტის განკარგულებაში; კომიტეტის დადგენილებით მე ვებრძოდი ბნელ ძალებს; ამხანაგების დახმარებით ხალხის ყველა ჯურის მტრები დავამარცხეთ. ამ ბრძოლაში მე დავიჭერ. გამოირკვა, რომ სირაძემ და ხალვაშმა ჩემს მოსაკლავად წინასწარ მიიღეს ლანჩხუთის ბოქაულისაგან ჯილდოდ თვითეულმა 25 მანეთი. ეს ნიშნავს, რომ ისინი პრისტავის აგენტებიც იყვნენ. ეს საბუთები აღმოჩენილ იქნა ლანჩხუთის ორგანიზაციის მიერ ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამ პირებისათვის (სირაძე-ხალვაშისათვის) ლანჩხუთის ორგანიზაციის რომელიღაც წევრს მიუცია საიმედო პიროვნების მოწმობა და სირაძე ხალვაში ბათუმში კარგ ადგილას მოთავსებულან: ხალვაში უფროს მილიციონერად, ხოლო სირაძე ბათუმის რკინის გზის საბარგო სადგურზე პროფესიულ კავშირის მოხელეთ. მე კომიტეტს წარვუდგინე მთელი რიგი საბუთებისა რეაქციის ხანაში სირაძის და ხალვაშის ნამოქმედარის შესახებ. მე მოვითხოვე მათი პასუხისგებაში მიცემა და თუ მათ დაუმტკიცდებოდათ მრავალი მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა და სხვა ასეთი, მაშინ ჩა-

მოერთმიათ მათთვის კეთილსაიმედობის მოწმობა; ხოლო თუ მე ოპერაციას გადავიტანდი, სირაძე-ხალვაშის მიმართ ვიტოვებდი თავისუფალი მოქმედების უფლებას.

გურიის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ ღლონტი მომესალმა გურიის სახელით თავდადებული მუშაობისათვის. კომიტეტმა დაადგინა: სირაძე-ხალვაში იქნენ პასუხისგებაში მიცემულნი.

ამგვარივე განცხადება გავუკეთე ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადგილობრივ ორგანიზაციებს. ლანჩხუთის ამხანაგებმა ნივთიერი დახმარება აღმომიჩინეს და თბილისისაკენ გავსწიე.

მარიამობისთვის 10-ს ექიმმა გოფმანმა გამიკეთა ოპერაცია. წვივის ძვალზე კანი სულ გადააძვრეს, მუხლი დამიხვრიტეს, შემდეგ გიპსი შემომაკრეს მაგრად; ცოცხალ-მკვდარი დამასვენეს. მეორე დღეს დილით ექიმი მოვიდა და მოსამსახურეთ უბრძანა ლოგინიდან შუა ზალაში დავესვით. შემდეგ მე მითხრა — შენი ფეხით შენს ლოგინზე უნდა მიხვიდეო. წინა დღით ფეხი ჩხირივით გადამიტეხა და ახლა სიარული უნდა დამეწყო! კივილით ჩემს ლოგინთან მივფორთხდი. ექიმმა მითხრა: რასაც მეტს იმოძრავებ, უკეთესია; სისხლი უფრო აქტიური იქნებაო. ენკენისთვის ბოლოს ყავარჯენით სიარული დავიწყე. ძალიან მინდოდა ბუნების სიმშვენიერეში გავლა, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა.

საქართველოში ანარქია ძლიერდებოდა და ხალხი დიდად შეშინებული იყო. ყველა ნაძირალმა თავი წამოყო. ამავე დროს მეფის ჯარმა, რომელიც კავკასიის ფრონტზე იყო ოსმალეთის წინააღმდეგ, იწყო რღვევა და თბილისისაკენ წამოსვლა. ამ ხანად ამიერ კავკასიას განაგებდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები. წესრიგის აღსადგენად შედგენილ იქნა მილიცია, რომლის უფროსი იყო ივანე კაჩუხოვი. მილიცია შეუდგა წესრიგის აღდგენას და ბრბოების განიარაღებას.

საბჭოების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ყველა ეროვნე-

ბის წარმომადგენლები. ჯარი აღ არსებობდა და მისი შედგენაც არც ისე ადვილი იყო. მუშათა და გლეხთა საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეაიარაღებული ძალა თვითონ შეედგინათ. მოაწყვეს თავდაცვის კომისია, რომელშიდაც შედიოდნენ: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, რუბენ აუშტროვი, ანდრია ჭიაბრიშვილი, ოსიტოვი და ხსვანი. თავდაცვის კომისია შეუდგა მუშაობას. მე უკვე დავიწყე ყავარჯენით სიარული. ჩემთან მოვიდნენ ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე და გადმომცეს, რომ თავდაცვის საბჭოს დადგენილებით შენ უნდა წამოხვიდე ჩვენთან სამწყობრო ხელმძღვანელობის გასაწევად. მე მათ განვუცხადე: ყავარჯენით მოსიარულე მეომარი არ გამოგადგებათ-მეთქი. მათ მიპასუხეს: სასახლეში კარკ ბინას მოგცემთ, ექიმიც იქ ივლის თავის დროზე და უნდა წამოხვიდეო. მე წინააღმდეგობა აღარ გავუწიე. საღამოს ჩამსვეს ავტომობილში და სასახლეში მშვენიერ ბინაზე მიმიყვანეს.

მეორე დღეს გაიმართა თავდაცვის კომისიის სხდომა და შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. თბილისის ყველა რაიონიდან უნდა ამორჩეულიყო საინსტრუქტორად გამოსადეგი პირი და მოეყვანათ სასახლეში გასაწრთვნელად. მე შევუდექი თავდაცვის კომისიის წევრების წრთვნას სამხედრო ნაწილში. ვმაცადინობდი ყველა სისტემის ყუმბარაზე, მაქსიმის და ლიუსის ტყვიამფრქვეველებზე, სხვა და სხვა სისტემის თოფებზე, რევოლვერებზე. მოწვეულ იქნენ არტილერიის მცოდნე პირები და გაიმართა ყველა იარაღზე მაცადინობა. მაცადინობა სწარმოებდა რუსულ ენაზე, რადგან ჩვენი რაზმი ინტერნაციონალური იყო.

თბილისის რაიონებიდან არჩეული პირები მოვიდნენ. პირველ ხანებში მათი რიცხვი უდრიდა ას კაცს; შემდეგ ესენი წავიდნენ თავთავიანთ რაიონში და იქ გააჩაღეს მუშაობა. მერმე მოწვეულ იქნენ საქართველოს ყველა რაიონიდან რჩეული პირები. ესენიც დაბრუნდნენ გაწრთვნის შემდეგ თავიანთ რაიონებში და იქ შეადგინეს გვარდიის ნაწილები,, რომელსაც დაერქვა „წითელი გვარდია“.

თბილისში იყო მთავარი შტაბი, რაიონებში კი — მისი განყოფილებანი. ასე შესდგა „წითელი გვარდია". მისი წევნა სწრაფი ტემპით მიდიოდა წინ. ამ საქმეში ძლიერ გვეხმარებოდნენ ომიდან დაბრუნებული ოფიცრები და ჯარისკაცების ნაწილიც. იარაღი არა გვქონდა. და ეს ძალიან გვაბრკოლებდა. გვარდიელების უმრავლესობა ბერდანკებით იყო შეიარაღებული. იარაღი თბილისის არსენალში იყო, მაგრამ იქ ყოფილი მეფის მოხელენი ისხდნენ. საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ წითელი გვარდიის შტაბისათვის არსენალის იარაღი მიეცა. წავიდნენ სათანადო ქაღალდებით, მაგრამ მოხელეებმა იარაღის მიცემაზე უარი განაცხადეს. ჩუმად კი ისინი იარაღს განზე ჰყიდნენ. რის შედეგად არსენალი იძარცვებოდა. აღმასრულებელმა კომიტეტმა მაშინ დაადგინა არსენალის დაპატრონება ძალით. 11 დეკემბერს, 1917 წელს, საღამოს წითელი გვარდია არსენალის ასაღებად გაემართა. 12 დეკემბერს გათენებისას არსენალი აღებულ იქნა. ამით წითელ გვარდიას საშუალება მიეცა თავისი ძალა გაეძლიერებინა.

არსენალი აღებულ იქნა ჩემი მეთაურობით.

ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ბათუმის, არდაგანის და ყარსის ოლქი ოსმალეთს დაუთმო მოსკოვმა. ოსმალეთის მთავრობამ ეს ოლქები მოითხოვა. ხოლო ამ ოლქების ოსმალეთზე გადაცემა ნიშნავდა ამიერკავკასიის ოსმალეთზე გადაცემასაც. ამიტომ მთელი კავკასია საომარ სამზადისს შეუდგა. გამოცხადდა მობილიზაცია.

1918 წლის იანვარში რუტმისტრმა აფხაზავამ, რომელიც სიმამაცისათვის დიდად იყო დაჯილდოვებული ორდენებით, სადღაც ერთი ჯავშნიანი მატარებელი იშოვნა; გაემგზავრა აზერბეიჯანში. მას შამხორში შეტაკება მოუხდა რუს ჯარისკაცებთან. ორივე მხარეს იყო ზარალი. ჯავშიანი მატარებელი დამარცხდა და თვითონ აფხაზავა მოკლულ იქნა. მე გადავწყვიტე მეშოვნა მეომრები ჯავშნო-

ვ. ჯაფარიძე. ფლორ. 1923

სანისათვის; ისინი მე განსაკუთრებული რაზმიდან მომცეს, სულ 70 კაცი. ამათში სამი ჩემი ძმა იყო. ყველა იყო ომში გამოცდილი ჯარისკაცი. კომანდის წევრები იყვნენ ნაცვლები და ზემდეგები, ორდენებით დაჯილდოებულნი, მეტყვიამფრქვეველები და ქვეითი ჯარისკაცები. ჯავშნოსანზე იდგა ორი სამთო ქვემეხი, მაქსიმის და ლუისის ტყვიამფრქვეველები, მათი ვაზნებით და ყუმბარებით. ყველა მეომარს ჰქონდა რევოლვერი და კარაბინი.

ჯავშნოსანი შესდგებოდა ორი საბრძოლო ვაგონიდან, ერთი ცეიჰგაუზიდან და ერთი ორთქლმავალისაგან. ორთქლმავალი შუაში იყო მიბმული. ვაგონებიდან ორთქლმავალზე ტელეფონი იყო გაყვანილი; მეთაურის კოშკი ამართული იყო ორთქლმავალზე. ჯავშნოსანის ნაყოფიერი ბრძოლა დამოკიდებულია მის მოხერხებულ მანევრებზე და სწორედ ამიტომ კოშკი მოწყობილია ორთქლმავალზე. მატარებელზე იყო ერთი მემანქანე, ორი მისი თანაშემწე. ერთი უფროსი კონდუქტორი და ორი მისი თანაშემწე, ერთი მატარებლის შემკეთებელი, ერთი რკინის გზის ოსტატი ხიდეებისა და რელსების მცოდნე, ერთი დამწმენდი ვაგონისა. ჯავშნოსანზე იყო სამი ვაგონი, სადაც მეომრები ცხოვრობდნენ. როდესაც ჯავშნოსანი ომში შედიოდა, მაშინ ვაგონებს მშვიდობიან სადგურზე ვტოვებდით. მატარებელზე იყო მუდმივი ტელეფონისტი და უფროსი ადიუტანტი. სულ ჯავშნოსანის პერსონალი შესდგებოდა 80 კაცისაგან. ზოგი მეომრის გვარი აღარ მახსოვს; იყვნენ: ძმები ლომჯარია, მოგველაძე, სერაპიონ ჭელიძე, კონ. ჭელიძე, ცეცხლაძენი, ჯაში, სამი ჩემი ძმა, ხუხუნაიშვილი, ბერძენიშვილი, ვანო სარიევი, საშა გოგავა, უფროსი კონდუქტორი სკამკოჩაიშვილი, რაჟდენ სალუქვაძე (ჩემი თანაშემწე), გრიშა კვინიტაძე (ჩემი ადიუტანტი), ანდრო ცეცხლაძე და სხვანი.

1918 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში დასახმარებლად გავყევი რუსის ჯარისკაცებს ბაქოსაკენ მიმავალთ, რათა ისინი თავდა-

სხმისაგან დაგვეფარა და ამავე დროს დანგრეული გზა აღგვედგინა, თბილისიდან ბაქომდე. ჯავშნოსანზე ჩემდა დასახმარებლად წამოვიდნენ საბჭოს წარმომადგენლები: კაპიტანი სტრელოვსკი, ელინი და ალექსანდრე დგებუაძე.

რუს ჯარისკაცთა ეშელონებს თავს დაესხნენ თათრის შეიარაღებული ბანდები და ჩვენ ბრძოლა მოგვიხდა ამ თათრის ბანდებთან შამქორში და ელისავეტპოლთან. ბანდები დავამარცხეთ,რუსის ჯარისკაცები სამშვიდობოს გავიყვანეთ, რკინის გზა აღვადგინეთ, ხიდეები შევაკეთეთ და თბილისს დავბრუნდით.

1918 წელს, 11 თებერვალს ქუთაისში მოხდა უწესობა, გალეშილი ჯარისკაცები დუქნებს სძარცვავდნენ და ხალხს აწიოკებდნენ. ჩვენმა ჯავშნოსანმა მონაწილეობა მიიღო წესიერების აღდგენაში.

ქუთაისის არეულობას ბოლო მოვუღეთ, მაგრამ კახეთიდან მოდიოდა ყოველ დღე გულსაკლავი ამბები.

ოსმალეთი საქართველოსაკენ მოიწევდა; მას შეერთებული ძალებით უნდა დავხვედროდით; იმის მაგიერ, რომ ომიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცები სამშობლოს ფრონტზე დაგვხმარებოდნენ, მათმა ნაწილმა, სამშობლოს მტრებისაგან წაქეზებულმა, სამშობლოს წინააღმდეგ. შინ ფრონტი გაგვიმართა და დაიწყო ძარცვა, გლეჯა, ხოცვაც კი.

15 თებერვალს (1918 წ.) დილის ათ საათზე, მესამასე ვერსზე, ნავთლუღის ზევით, ფრონტიდან დიდ ძალმა რუსის ჯარმა მოიყარა თავი. მათ განზრახვა ჰქონდათ თბილისს შემოსევოდნენ და ქალაქი დაერბიათ. ჯავშნიანი მატარებელი სასწრაფოდ გაეშურა მესამასე ვერსზე, რათა რუსების ჯარის ამ თავდასხმისათვის ხელი შეეშალა. მე მათ წინ გადავეღობე; მოხდა ამას გარდა მოლაპარაკება და რუსის ჯარმა თავისი წარმომადგენლები თბილისს გააგზავნა. მოხდა შეთანხმება, რომ ჯარი წავიდოდა რუსეთს ბაქოს გზით იმ პირობით, რომ რუსის ეშელონებს დამცველად გაჰყვებოდა ჯავშნიანი მატარებელი.

17 თებერვალს, 22 ეშელონი. ჯავშნოსანის თანხლებით გაემგზავრა მესამასე ვერსიდან ბაქოსაკენ. 18 თებერვალს მივუახლოვდით ძეგამს. თათრის ბრბოები აქ ეშელონებს თავს დაესხნენ. ერთი ლიანდაგი ეჭირა ეშელონებს, მეორე კი ჯარს, რათა საჭიროებისას ერთმანეთს დავხმარებოდით. იმავე წუთს თავდასხმის ადგილას გავჩნდით და ბრბოები გავრეკეთ. ნაშუადღევს ვანჯას მივუახლოვდით. განჯაში შესასვლელ ხიდს ბანდებმა ცეცხლი წაუკიდეს და წინ მყოფ ეშელონებს თავს დაესხნენ. გავექანეთ მისაშველებლად. გაიმართა ნამდვილი ბრძოლა; მტერმა აუარებელი მოკლული დატოვა ბრძოლის ველზე და მიიმალა. ხიდი სასწრაფოდ აღვადგინეთ წინ გავსწიეთ. ვანჯის რკინის გზის მოსამსახურეებმა და ახლო მახლო მცხოვრებ მუსულმანებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. რუსის ჯარმა, ვაჯავრებულმა, მრავალი სოფელი და დაბა გადასწვა გზა და გზა. განჯასთან ბრძოლაში მე მსუბუქად დავიჭერი ორ ადგილას.

იმავე საღამოს მივიღე ცნობა, რომ სამგზავრო მატარებელს ძეგამში თავს დასხმოდნენ თათრის ბრბოები და შველას ითხოვდნენ. ჩვენ მაშინვე გავეშურეთ დასახმარებლად და თავდამსხმელნი თითქმის ყველა ამოვწყვიტეთ. მატარებელში ყოფილიყო მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაცია: ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები და იტალიელები. ამათთვის ავაზაკებს ყველაფერი წაერთმიათ. დელეგაცია მიემგზავრებოდა თურქესტანს. მე მათ ერთი ოთქლმავალი და სამგზავრო ვაგონი მივეცი. დიდძალი ოქრო თავის ვაგონში გადმოიტანეს. დელეგაცია სამშვიდობოს გავიყვანე და სამადლობელოდ ერთი პატარა ტოფსიკა ოქროთი სავსე შემოწმთავაზეს. საჩუქარი არ მივიღე. რითაც ისინი დიდად გაკვირვებული დარჩნენ.

რუსის ჯართან ერთად გავიყვანე მათი მეთაური კუზნეცოვი და შაუმიანი. მათ მადლობა გადამიხადეს. ამ ოპერაციებისა გამო რუსის ჯარის უფროსებისაგან მივიღე დოკუმენტები. რომელსაც მარცხენა მხარეზე აზის შემდეგი ბეჭედი: სამხ. რევ. შტაბი. მე-17. 22, 23, 24 და 28 კავკასიის, მე-13 და მე-15 თურქესტანის და მეორე ეკატერინეს ყაზახთა პოლკის შერეული რაზმის. 19 თებერვალი,

1918 წ. ნომერი 18. სადგური ევლახი, ამიერკავკასიის რკინის გზა. დოკუმენტის შინაარსი იყო: ჯავშნიანი მატარებლის უფროსს. სამხედრო რევოლუციონური შტაბი ღრმეს მადლობას უძღვნის ჯავშნიანი მატარებლის უფროსს კაპიტან ვოგუაძეს, რომელმაც გააცილა ჩვენი რაზმები მესამასე ვესრსიდან ამიერკავკასიის რკინისგზის სადგურ ევლახამდე; მიიღო მხურვალე მონაწილეობა განჯასთან მომხდარ შეტაკებაში და ჯავშნიანი მატარებლის არტილერიის ცეცხლით გაანთავისუფლა გზა ეშელონებისათვის შეიარაღებული თათრებისაგან. შტაბი გულითად მადლობას უძღვნის აგრეთვე ჯავშნიანი მატარებლის კომანდას მისი თავგანწირული მონაწილეობისათვის ბრძოლაში. სამხედრო შტაბის თავჯდომარე — (ხელისმოწერა ვერ გავარჩიე). რაზმის უფროსი — პოლუმორდვინოვ; შტაბის უფროსი — ჟურავიოვ.

სადგურ ევლახიდან იმავე ღამეს მივედით განჯაში. იქ დიდი უწესობა იყო გამეფებული. ბანდები მეტად უკმაყოფილო იყვნენ ჯავშოსანის. ჩვენ მაშინვე აღვადგინეთ წესიერება და აქედან თბილისს გავემგზავრეთ.

შამხორის სადგური შეიარაღებულ ბანდებს დაეპყრათ. ჩვენ ისინი ადრე შევნიშნეთ. თათრებმა ჩვენი მატარებელი სამგზავროდ მიიღეს და გასაძარცვავად მოემზადნენ. ბანდები გავანადგურე და სამი მათი მეთაური ტყვედ წამოვიყვანე.

თელავიდან ცნობა მოვიდა: 20 თებერვალს მერვე ქართული პოლკი აჯანყდა, ქალაქი თელავი დაარბია და მოგვეშველეთო. თბილისის წითელმა გვარდიამ მოახდინა სასწრაფო მობილიზაცია. 21 თებერვალს წითელი გვარდია და ჯავშნოსანი ნომერი ოთხი თელავისაკენ გაეშურა. 22 თებერვალს, დილის 9 საათზე წითელი გვარდია და ჯავშნოსანი თელავის რკინის გზის სადგურზე მივიდა. გვარდიელები თელავის ქალაქისაკენ წავიდნენ, ხოლო ჯავშნოსანმა მოხერხებული პოზიცია აირჩია და კაზარმები მიზანში ამოიღო. საბედ-

ნიეროდ ჯარისკაცთა ყაზარმები ქალაქს გარეთ იყო აშენებული და თუ ჩვენ სამწუხარო ბრძოლა მოგვიხდებოდა, ქალაქი და მისი მცხოვრებნი არ დაზიანდებოდნენ.

11 საათზე მეამბოხენი გვარდიას სროლით შეხვდნენ; სროლამ ცხარე ხასიათი მიიღო. ჩვენ ერთი ყუმბარა ჯავშნოსანიდან ყაზარმებს ვესროლეთ შესაშინებლათ ჯარისა და ამიტომ მას გადავაცილეთ. სროლა შეჩერდა, მაგრამ ათ წუთში ისევ განახლდა. ჩვენი ზარბაზნის მეორე ყუმბარა ყაზარმის წინ დავაგდეთ. სროლამ იკლო. ტელეფონზე აჯანყებულთა ხელმძღვანელი გამოვიძახე; ჩვენ შორის გაიმართა მოლაპარაკება. მე მას ულტიმატუმი წარვუდგინე: იარაღი დაეყარათ და თეთრი ბაირახებით ვამოსულიყვნენ. 15 წუთის დრო მივეცი; თუ ჩემს მოთხოვნილებას არ აასრულებთ, ჯავშნიანი მატარებელი პირდაპირ ყაზარმებს დაგიშენთ-მეთქი. მცირე ხნის შემდეგ მივიღე პასუხი: გნებდებითო. მოხდა მათი სრული განიარაღება; მეთაურები შეპყრობილ იქნენ; ჯარისკაცებს ნაძარცვი ქონება ჩამოერთვათ.

ამ მცირე ბრძოლაში ორივე მხრივ იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი. გვარდიას მოუკლეს ორი, დაუჭრეს რამოდენიმე. მეამბოხეებს მოეკლათ თავისი ოფიცერი სოლო ყაზახაშვილი, რადგან იგი ჯარისკაცებს უშლიდა თურმე ქალაქის დარბევა არ მოეხდინათ და სისაძაგლე არ ჩაედინათ.

წავედი ქალაქის სანახავად. თელავი საშინელ სანახაობას წარმოადგენდა: არ იყო დაუმტვრეველი არც სახელმწიფო და არც კერძო დაწესებულება; დუქნები იყო გაძარცვული. გამიკვირდა, როცა ყველაფერი ეს ჩემი თვალთი ვიხილე. ქართველი ჯარისკაცი თუ მაგას იკადრებდა, არ მეგონა!

23 თებერვალს წესრიგი უკვე აღდგენილი იყო. მცხოვრებლები უკვე ოჯახებში დაბრუნდნენ; ხალხი ქუჩაში გამოეფინა და მადლობას ეუბნებოდნენ გვარდიელებს და ჯავშნოსნებს. შესდგა სამხედრო

სასამართლო. რომელმაც აჯანყების სამ მეთაურს დახვრეტა გადაუწყვიტა, რაც სადგურთან სისრულეში იქმნა მოყვანილი.

1918 წ. მარტის 15-ს თბილისიდან ბაქომდე ვიდოდით რკინის გზაზე წესრიგის აღსადგენად. რუსების ეშელონების და აჯიკაბულში რუსების კოლონიის დასახმარებლად. აქსტაფა-თათლეს შუადილის ხუთ საათზე თათრის ბანდებმა შემოგვიტიეს. მოგვიკლეს ძრტილერისტი პეტრე ჩხაიძე, დაგვიჭრეს ვოგიტაშვილი. პეტრეს ცხედარი აქსტაფაში დავტოვეთ და ჩვენ გავეშურეთ განჯისაკენ. გზა და გზა შეიარაღებული ბანდები გვეცემოდნენ; ჩვენ მათ ვიგერიებდით; ერთი შეტაკების დროს მათი მეთაურები ტყვედ წამოვიყვანეთ. ესენი აღმოჩნდნენ ოსმალეთის ოფიცრები. გამოირკვა, რომ თურქები კავკასიაში შემოსასვლელად ნიადაგს ამზადებდნენ, შოულობდნენ რუსულ იარაღს და ბანდებს აიარაღებდნენ.

აჯიკაბულში რუსის მოსახლეობასთან მივედით და დახმარება გავუწიეთ. რუსების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აქედან წავედით სადგურ „ვოლჩი ვოროტა"-ზე. იქ მივიღეთ თბილისიდან ბრძანება დაბრუნების შესახებ. საგანჩალაში გორაკზე რამოდენიმე შეიარაღებული კაცი შევნიშნე. შევიპყარით. მათ შორის აღმოჩნდა ერთი მოლა, ორი ოსმალო ოფიცერი და ორი უნტერ-ოფიცერი. სადგურ საგანჩალოში მოსამსახურენი მოეკლათ, ქალები და ბავშვები ამოეწყვიტათ.

დაბრუნებისას ყველა სადგურზე მივეცი დეპეშით განკარგულება, რათა ყველა სადგურზე სოფლელი თათრები შემხვედროდნენ. მე მათ ვუხსნიდი რკინის გზის მნიშვნელობას და მოვუწოდებდი: რკინის გზის დაცვაში დაგხმარებოდნენ. ჩემთან მატარებელზე იყვნენ თბილისიდან ბაქოში მიმავალი დელეგატები: თათრები, სომხები, რუსები და ქართველები. ესენიც უკან დაბრუნდნენ. გზაზე ვკრეფდით ლტოლვილებს — ბავშვებსა და ქალებს და თბილისში ხუთას სულამდე ჩამოვიყვანეთ.

სადგურ ნავაგისთან შევჩერდით; მოლა და ოსმალები სოფლის ხალხს გადავეცით. საზოგადოებამ სასამართლო აირჩია. სასამართლომ სადგურ საგანჩალოში ქალებისა და ბავშვების ამოჟლეტისათვის მოლას სიკვდილი გადაუწყვიტა. ეს განაჩენი, რასაკვირველია, მოლას წაუკითხეს; მოლამ სიკვდილის წინ ილოცა და მან სთქვა — მე ვასრულებდი ალაჰის ბრძანებას; ვხოცავდი გიაურებს და ახლა ალაჰთან გეახლებიო. ოსმალო ოფიცრებს ვეგბრძანე მოლა დაეხვრიტათ. ისინი შეწუხდნენ — წმინდანი როგორ მოვკლათო! მაგრამ უარი ველარ გაბედეს, მოლას ესროლეს და ხელაწეული მონა უსულოდ მიწაზე დაეცა. ის ოფიცრები განჯის სატუსაღოში გავგზავნე, ჩვენ კი თბილისს ჩამოვედით.

მუშაობა, რომელიც ჯავშნოსანმა შეასრულა თებერვალში და მარტში 300 ვერსის მანძილზე ძლიერ ცუდ პირობებში მიმდინარეობდა. რკინის გზა მისი ხიდებით და სადგურებით განადგურებული იყო. წყალი და მაზუთი ორთქლმავლისათვის ვედროებით საძებარი იყო. სადგურის მუშაკების 90 პროცენტი გაქცეული იყო. აუტანელი სიცივე და მუდამ თავდაცვის ნიადაგზე ყოფნა, თათრების ბანდების განუწყვეტელი თავდასხმა და ავაზაკების შემოტევა — ყველაფერი ეს მუშაობას ართულებდა და ამძიმებდა. მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა ჯავშნოსანის მეომრებმა ყოველგვარ გასაჭირს სძლიეს და რუსის ჯარის გაყვანაში და წესიერების აღდგენაში მაინც გაიმარჯვეს. ჩვენმა ჯავშნოსნებმა ორასი ათასი რუსის ჯარის კაცი, რომელიც კარგად შეიარაღებული იყო, სამშვიდობოს გაიყვანეს.

თბილისიდან ევლახის სადგურზე გავგზავნე ერთი ჯავშნოსანი, ჩემი თანაშემწე რაჟდენ სალუქვაძის უფროსობით, რომელმაც იქიდან ჩამოიტანა რუსის ჯარისკაცებისაგან მიტოვებული ვაგონები და ორთქლმავლები. მარტში უკვე სამი ჯავშნოსანი მატარებელი გაგვაჩნდა და ორი ჯავშნოსანი დაკვეთილი იყო თბილისის სახელოსნოში. ჯავშნოსანის საქმეს კარგად გავეცანი და მისი ნაკლის

შევსებას შევუდექი. დამავიწყდა მეთქვა, რომ პეტრე ჩხაიძე ლანჩ-ხუთში მის მშობლებს ჩაუსვენეს.

თბილისის არსენალში ზარბაზნის და ტყვიამფრქვევის ვაზნები და ყუმბარები არ აღმოჩნდა. იყო 900 ცალი ტყვიამფრქვევი და არც ერთი ვაზნა, რადგან ყველაფერი ეს ომის დროს რუსის მთავრობას გაეგზავნა ალექსანდროპოლში, ყუმბარები კი ყარაკამიშში. არ გვქონდა არც ავტომობილის ნაწილები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დამავალა ალექსანდროპოლში და სარაკამიშში ჯავშნოსანით წასვლა და ზემოდ აღნიშნული მასალების ჩამოტანა. სამაგიეროდ ჩვენი გვარდიის შტაბმა სომხეთს აღუთქვა 30 ტყვიამფრქვევი; სომხებს ჩვენთვის უნდა მოეცათ ექვსი მილიონი ვაზნა ტყვიამფრქვევთათვის. მივედი ალექსანდროპოლში და გვარდიის შტაბის წერილი გენერალ ნაზარბეკოვს გადავეცი. გენერალმა მითხრა — შტაბს თქვენთვის გამოუტანებია 30 ტყვიამფრქვევი; გაგატან ოფიცრებს და ჩააბარეთო. მე არავითარი ტყვიამფრქვევი არა მქონია და მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავდექი. დაველაპარაკე გვარდიის შტაბს თბილისში პირდაპირი მავთულით. შტაბმა აღმითქვა, რომ საჩქაროდ გამომიგზავნიდა ტყვიამფრქვევთ. გენერალს ჩვენი გვარდიის შტაბის დაპირება გადავეცი და ის დათანხმდა ექვსი ვაგონი ვაზნებისა მოეცა.

ვაგონები შათირიშვილის მეთაურობით იქ დავტოვე და მე სარაკამიშისაკენ გავემგზავრე. რამოდენიმე დღის შემდეგ სარაკამიშში ვიყავი. იქ მყავდნენ მეგობრები, რომლებიც მე ხელს მიწყობდნენ. ეს ის დრო იყო, როცა ოსმალები სარაკამიშთან ახლოს იყვნენ მოსული. მეგობრების დახმარებით საწყობებიდან ოცდაოთხი ვაგონი ყუმბარა და ავტომობილების ნაწილები გამოვიტანეთ.

სომხების გენერალმა მთხოვა ამეყარა იარაღი სომხების პოლკისათვის, რომელიც ფრონტიდან გამოქცეულიყო და ქალაქში უწე-

სოებას ახდენდა. გენერალის თხოვნა შევასრულეთ და ქალაქში სიწყნარე ჩამოვარდა.

9 მარტს დილით ალექსანდროპოლში მოვედით. ვაზნებით დატვირთული ვაგონები ჯავშნოსანს მოვუბით. 9 საათზე ჩემთან მოვიდა სომხის კაპიტანი, რომელსაც თან ახლდა 150 კაცი შეიარაღებული და გადმომცა წერილი, რითაც გენერალი ნაზარბეკოვი მიბრძანებდა: გადამეცა ოფიცერისათვის ყველაფერი ის, რაც სარაკამიშიდან ჩამოვიტანე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალით წაღებას მემუქრებოდა. მე, რასაკვირველია, უარით ვუპასუხე. დავიბარე სადგურის უფროსი ყაზახიშვილი და ვუთხარი: საბარგო მატარებელი წინ გაეშვა და მე ჯავშნოსანით უკან გავყვებოდი. კაპიტანს ვუთხარი, მანევრებს ვაკეთებთქო წყლისა და მაზუთის მისაღებად. კაპიტანი დავაჯერე. საბარგო მატარებელი სემაფორს გასცილდა, მე კი მას უკან მივყევი. კაპიტანი მიხვდა, თუ რაც მოხდა, მაგრამ უ კე გვიან იყო.

გავცილდით ალექსანდროპოლის სიმაგრეებს და შევუდექით აღმართს; აქ რამოდენიმე ვაგონი მოწყდა საბარგოს და ჯავშნოსანისაკენ გამოექანა. საბედნიეროდ ეს უბედურება ადრე შევნიშნე და სწრაფად ვაგონებს შევეგებე. ავცდით საშინელ დაჯახებას. მოხდა მცირე შეტაკება ვაგონებისა; მორიგ სადგურზე მოხელენი შეუდგნენ დაზიანებული ვაგონების შეკეთებას. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა სადგურის უფროსმა გადმომცა ვალიკო ჯულელის დეპეშა. შტაბი მატყობინებდა, რომ სომხებისათვის გამოგზავნილი 30 ტყვიამფრქვევი სადახლოში თათრების შეიარაღებულმა ბანდებმა გაიტაცეს. ჩვენ თბილისიდან მათ დასასჯელად წამოვედით, მაგრამ მათმა ძალამ გვძლია და დაგვეხმარეთო.

საბარგო მატარებელზე ათი მხედარი დავტოვე. უფროსს ამოცანა მივეცი: თუ სომხები მატარებლის წართმევას მოინდომებდნენ, წინააღმდეგობა გაეწია და მე მათ მივეშველებოდი. იმ დროს სომხები თავის სამხედრო ბაზად ბამბაკის მთებს ინახავდნენ. ყველა სა-

დგურს მივეცი დეპეშა განკარგულებით, რომ ჯავშნოსანი სადახ-ლომდე დაუბრკოლებლად გაეშვათ. აირუმის სადგურს გავცილდით. აღმოსავლეთით დებეჩაის მდინარის გაღმა, მაღლობზე თათრების ცხენოსნები მოსჩანდნენ. ჩვენ წინ რკინის გზის ხიდი დამწვარი იყო. მოხელეები ხიდის შეკეთებას შეუდგნენ. ცხენოსან ბანდიტებს ზარ-ბაზნებიდან შრაპნელები დავუშინეთ. ხიდიც გაკეთდა და თათრე-ბიც გავრეკეთ. ამ დროს ჩვენთან მატარებლით მოვიდა ვალიკო ჯუ-ღელი, მაისურაძე და დგებუაძე. ჯუღელმა სიხარულით გადამკოცნა და სადახლოსაკენ გავეშურეთ. იქ თათრები დაგვნებდნენ და თეთრი დროშებით შეგვხვდნენ. შემდეგ მე ბამბაკისაკენ გავსწიე საბარგო მატარებლის დასახმარებლად.

აირუმის სადგურზე სომხებს ქართველი მოსამსახურენი დაეტუ-საღებინათ, მათთვის ტანზე გაეხადათ და დასახვრეტად გაჰყავდათ — იყო 15 ქართველი. ისინი გავათავისუფლე და სომხების მეთაუ-რები შევიპყარი. ერთი ამ თხუთმეტთაგანი, ვასო მარჯანიშვილი, ამ ჟამად საფრანგეთში ცხოვრობს. ბამბაკში ჩვენი საბარგო მატა-რებელი ვილაც სომეხ კაპიტანს მიეთვისებინა და განკარგულებას ახდენდა მის დასაცლელად. კაპიტანი შევიპყარი.

ამ დროს ჩემთან მოიყვანეს ერთი წვერგათეთრებული რუსის პოლკოვნიკი, რომელმაც განმიცხადა, რომ სარაკამიშიდან ჩამოი-ტანა ორი ვაგონი საექიმო მასალა, ღირებული არა ნაკლებ 15 მი-ლიონისა და მინდა ეს განძი საქართველოს გადავცეო. მე ეს ძვირ-ფასი ვაგონები საბარგო მატარებელს მივუბი და წინ წამოვედით. სომხის კაპიტანი სადგურ შაგალაში გავუშვით და დავავალე გენე-რალ ნაზარბეკოვისათვის გადაეცა ჩემი თხოვნა, რომ რკინის გზის მოსამსახურე ქართველებს კარგად მოპყრობოდნენ, ქართველებსა და სომხებს შორის შუღლი არ ჩამოაგდოთ-მეთქი.

გენერალ ნაზარბეკოვს ებრძანებინა ჩემი ჯავშნოსანის შეპყ-რობა. სადახლოში ლამით მივედით. იქ ჩემი ძმა ალფეზი დამხვდა. იგი მე თბილისის საავადმყოფოში დავტოვე და ამიტომ წყენით ვუ-

თხარი: ავადმყოფი აქ რად მოდიოდ-მეთქი! მას თურმე გულმა არ მოუთმინა და ჩვენკენ გამოეშურა. თბილისს მშვიდობით ჩავედით. ხელისუფლებამ მადლობა გამომიცხადა ამოცანის შესრულებისათვის. რუსის პოლკოვნიკი, რომელმაც საქართველოს დიდებული ძღვენი მიართვა, კარგად მიიღეს და დაჯილდოვებული ბათუმიდან, როგორც ეს მას სურდა, რუსეთს გაუშვეს.

1918 წლის გაზაფხულიდან 1919 წლამდე ბორჩალოს მაზრაში სომხეთიდან გამოქცეული სომხის ბავშვები და ქალები, მთებში სიცივე-ყინვაში მიტოვებულნი, მოვაგროვე ორი ათასი სული და ნავთლუღში სომხების თავშესაფარს მივუყვანე. სომხების საზოგადოებამ გაზეთ „კავკასკოე სლოვო"-ში დიდი მადლობა გამოგვიცხადა.

ამიერკავკასიის მთავრობამ გვიბრძანა: ჯავშნოსანი გავეგზავნა ნახიჩევანზე რკინის გზისა და საერთოდ წესრიგის აღსადგენად. ამ ოპერაციისათვის გაგზავნილ იქნა ჯავშნოსანი ნომერი პირველი. ევტიხი ხუნგიას მეთაურობით. ჯავშნოსანს გაჰყვა დელეგაცია სომხებისა, რუსებისა და თათრების. ჯავშნოსანმა წესიერება აღადგინა. აღმოუჩინა დახმარება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს, შეაჩერა სომეხ-თათართა შეტაკება, გამოიყვანა მრავალი ლტოლვილი რუსის და ქართველების, სომეხთა და თათრების ქალები და ბავშვები. ჯავშნოსანმა ექსპედიციაში დაჰყო 13 დღე. დაკისრებული მოვალეობა ჯავშნოსანმა კარგად შეასრულა და მცირე მსხვერპლიც გაიღო.

1918 წელში მარტიდან ოსმალეთი კავკასიის და განსაკუთრებით ამიერკავკასიის დაპყრობის სამზადისს შეუდგა. ამ მიზნით ოსმალურმა შტაბმა დაგზავნა თავისი აგენტები, უმთავრესად კავკასიის მუსულმანურ მხარეებში.

მალე ოსმალეთის ჯარი საქართველოზე შემოტევას შეუდგა. 1918 წლის 17 მარტს მე ჯავშნიანი მატარებლით ჩავედი ქობუ-

ლეთში. მოვიწვიე იქაურების კრება. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ქობულეთლებს ავუხსენი ჩვენი რთული მდგომარეობა. გავიხსენე აგრეთვე ზოგი აჭარელის შავბნელი მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციონური მოძრაობის დროს; 1914 წელს თუ რა უბედურება დაატყდა აჭარას, როგორი ძმური დახმარება გაუწია მას ქართველმა ხალხმა. დაბოლოს მოვუწოდე ქობულეთელებს მოძმე ქართველებისათვის მომხდური მტრის წინააღმდეგ დახმარება გაეწიათ და თუ შავი ძალები გაჩნდებოდნენ, მათი მოქმედებისათვის ხელი შეეშალათ. ქობულეთელებმა დაადგინეს: დახმარებოდნენ საქართველოს, მათ დედას. ასეთივე კრება გავმართე ჩაქვშიაც.

ამიერკავკასიის მთავრობამ დელეგაცია გაგზავნა ტრაპიზონში აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად. ოსმალოებმა დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს. მაგრამ საქართველოს დასაპყრობად დიდი ჯარიც გამოაგზავნეს. 25 მარტს ოსმალეთის მთავრობამ ჩვენ დელეგაციას მოსთხოვა ბათუმის ოლქის დაცლა. ჩვენმა დელეგაციამ უარით უპასუხა. ოსმალეთმა ჯერ შეტევა დაიწყო პატარა რაზმებით. 26 მარტს მათ სიმაგრე ერგეთზე იერიში მიიტანეს. ცნობა მოვიდა, აჭარლებმა ქობულეთსა და ჩაქვს შორის რკინის გზა გააფუჭესო. მაშინათვე ვავემგზავრე ჯავშნოსანით და რკინის გზა აღვადგინე.

27 მარტს მათ ორთა ბათუმის წყალსადენი გააფუჭეს. იქაც გაგზავნილ იქნა დამცველი რაზმი. აჭარლების პატარა რაზმები ახდენდნენ შემოტევას. მათ ჰქონდათ ორი მორტირის ზარბაზანი. 31 მარტს ოსმალთა მხედართმთავარმა ულტიმატუმი წარმოადგინა, რომ ბათუმი დაგვეცალა.

გენერალ ართმელაძემ მითხრა, რომ ფრონტიდან ჩვენი ჯარები მოიხსნენ, „გოროდოკში“ ჩამოვიდნენ და ზომები მიიღეთო. მე ამ ადგილთან ჯავშნოსანით ახლოს მივედი. შემდეგ ჯარს მივუახლოვდი და მე მას სიტყვით მივმართე: ყველას მოვუწოდებდი უკან დაბრუნებულიყო და ებრძოლა სამშობლოსათვის. ზოგი გაჯავრდა და

სოკ.დემ. ს. პაოლის ორგანიზ. ფლესის აუდ. 1937 წ.

შემომიტია კიდეც. მე მაშინვე ჯავშნოსანზე მივუთითე და მოვაგონე, რომ ცეცხლს გავხსნიდი. ისინი შეშინდნენ და ისევ წავიდნენ პოზიციებზე. იქ გავიგე, რომ ჩემი მტრები, რომლებმაც მე 1916 წ. დამჭრეს, მოკვლას მიპირებდნენ. მათ თვითონ ვლადიმერ თავართქილაძის პირით შემომითვალეს: სადაც შეგვხვდებით მოვკლავთო!

ბათუმის რკინის გზის საბარგო სადგურის კანტორისაკენ მარტო წავედი. უცბად შემეჩეხნენ მაუზერით და კარაბინით ხელში ხალვაში და სირაძე. ისინი საფარისაკენ გაიქცნენ. მე დავასწარი და ორივე უსულოდ დაეცა.

ბათუმის საქმე წაგებული იყო. ჩვენ მას ვერ შევიმაგრებდით და ოსმალეთის ჯარი მას აიღებდა. გადავწყვიტე მტრისათვის არც ერთი ვაგონი არ დამეტოვებინა. განკარგულება გავეცი. ყველა ორთქლმავალი და ვაგონები ბათუმიდან გამოეშვათ, რაც სისრულეში მოიყვანეს.

ცნობა მივიღეთ, ზღვის პირით ბარცხანაში მტერი ცდილობდა სიმაგრეების ხელში ჩაგდებას. იქ ჯავშნოსანით გავჩდნი და მტერი უკუ ვაქციე. ამავე დროს ორთა ბათუმიდან მტერმა დიდი ჯარით წინ წამოიწია და ცდილობდა თამარაზე რკინის გზის ხაზის ხელში ჩაგდებას. მე ეს გავითვალისწინე ადრე და იქ რკინის გზის შტო გავიყვანე. ჯავშნოსანით იქ დავდექი და მათი სვლა შეჩერდა. აქ ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი ბაქოდან კონდუქტორი სკამკოჩაიშვილი და მთხოვა ჯავშნოსანზე მიმეღო იგი. მოხალისე მივიღე და თავის თანამდებობაზე დავნიშნე.

შუა ღამისას ბათუმიდან ყველა მატარებელი გავიდა. მე თამარის ხიდზე გავმაგრდი. ჩემთან მოვიდა ერთი ჯგუფი ოფიცრებისა (ოცდაათი კაცი) და თავისი თავი ჩემს განკარგულებაში გამომიცხადეს.

მტერმა არტილერიის ცეცხლით დააზიანა რკინის გზის ხიდი; იძულებული გავხდი გალმიდან მებრძოლა ზარბაზნებით. გზა და გზა

ბავშვები და ქალები მოვაგროვე და ქობულეთში მივიყვანე. მერმე ისევ ჩაქვისაკენ გავსწიე. ის ღამე ჩაქვსა და ბათუმს შორის გავატარე და ვებრძოდი ოსმალთა იმ რაზმებს, რომლებიც რკინის გზის დაპატრონებას ლამობდნენ.

1916 წ. 2 აპრილს გენერალ გაბაშვილისაგან ცნობა მივიღე, რომ პოლკოვნიკ ყარალაშვილის ჯარი, რომელიც ჩაქვის თავზე გაჩიხულიყო, ოსმალებს გზა მოეჭრათ მისთვის და ტყვეობა მოელისო. მიბრძანებდა მივშველებოდი და ტყვეობიდან გამომეყვანა. ამ დროს ნატანებოზურგეთის ხაზის ხელმძღვანელი იყო გენერალი მაზნიაშვილი. 2 აპრილს დილით ადრე ჯავშნოსანით გავემგზავრე. ქობულეთს რომ მივუახლოვდი, ოსმალოს ჯარები ქობულეთის აღმოსავლეთით გორებზე მოსჩანდნენ. დილის რვა საათი იყო. სადგურში ჩემი ქობულეთელი მეგობრები შემხვდნენ. მათ გაეკვირდათ ჩემი ამ დროს მისვლა ქობულეთში.მე მათ ავუხსენი ჩემი მიზანი ჩაქვში წასვლისა და ვთხოვე დამხმარებოდნენ: მათ უნდა გაეგზავნათ ოსმალებთან დელეგაცია და ეთხოვათ: სანამ ქობულეთლები საზეიმო შეხვედრას არ მოაწყობდნენ, მანამ იქ არ ჩამოსულიყვნენ. თუ ასე არ იზამდნენ, მაშინ მე ოსმალოებს ბრძოლას გავუმართავდი და ქობულეთი დაზიანდებოდა. მათ ჩემი აზრი მოეწონათ. დახმარებაც შემპირდნენ.

დილის 9 საათზე ჩაქვის სადგურზე ჩავედი. ჩაქვის სადგური ოსმალო ცხენოსან ათასეულს დაეკავებინა. ისინი ტყვიისმფრქველის ცეცხლით გავანადგურეთ. ოსმალები ჩაქვის მიდამოებშიც ყოფილან და ყოველი მხრიდან სროლა აგვიტეხეს. რკინის გზის გასწვრივ ქვევით ქვეითი ჯარი გამაგრებულიყო, ყარალაშვილის შტაბი დაეპატიმრებინა და ამისი ჯარი ჩაქვის მთაზე იყო მიჩიხული. შევუდექით ბრძოლას რკინის გზის გასწვრივ. ერთი ნაწილი მტერისა ბამპუკის ქარხანაში იყო, რომელსაც ჯავშნიანით ვერ მივუდექით. ამიტომ ჯავშანიდან 25 კაცი გადავსხი პორფირე გორგიშიძის მეთაურობით. ჩვენებმა ქარხანაზე იერიში მიიტანეს და მტერი მოსპეს.

რკინის გზა გავწმინდეთ; ამით ჩვენმა ჯარმა ისარგებლა და მცირე მსხვერპლით დაიხია უკან. 2 საათზე ჩვენები მოვიდნენ; მე მათთვის ვაგონები მზად მქონდა და შიგ ჩავსვი. არტილერიისათვის ადგილი არ მეყო და იგი ცხენებით გადავაზიდვინე; მცველებად 50 ცხენოსანი ჯარისკაცი გავაყოლე. 4 საათზე ეშელონებს გავუძეხი და ქობულეთისაკენ წავედი. სადგურს ცოტა რომ გავშორდი, მტრის არტილერიამ მოგვისწრო; ცეცხლი გაგვიხსნა. ეშელონში მოგვიკლეს რამდენიმე კაცი. ქობულეთიდან ნატანებში უნდა წავსულიყავი. ამ დროს ჩემთან მოვიდა ერთი დაჭრილი მეომარი და გამიცხადა: არტილერიას მტერი დაეცა და მოგვეშველეთო. ჯავშნოსანით მტრისაკენ გავეშურე. სამი ვერსი გავიარე და ბრძოლის ველს მივუახლოვდი. ჩვენები ყველა დაეხოცა მტერს. მას შევებრძოლეთ და დავამარცხეთ. ჩვენი დახოცილები, დაჭრილები და არტილერია ვაგონებში მოვათავსე და ქობულეთში დავბრუნდით. აქედან ნატანებს წავედი.

3 აპრილს ქობულეთთან ტყეში დავატუსაღე ხუთი ოსმალო მზვერავი და სამტრედიაში გენერალ გაბაშვილს მივუყვანე.

4 აპრილს გენერალ მაზნიაშვილმა ცნობა მიიღო, რომ ოჩხამურის ხიდთან ჩვენ მოწინავე რაზმს ოსმალები დაესხაო. გენერალმა მიბრძანა საჩქაროდ წავსულიყავი და ჩვენებს დავხმარებოდი. მეც იმ წუთსავე ოჩხამურისაკენ ავჩქარდი; გენერალიც თან წამომყვა. ორივე ორთქლმავალზე ვიყავით. პოზიციას რომ მივუახლოვდით. მზვერავები გადავსხი, რათა მათ გზა გაეშინჯათ და მატარებელი ნელა წავიყვანე. გენერალი მეუბნებოდა: ჩემი პასუხის მგებლობით მატარებელი ააჩქარეო. ბრძანებას დავემორჩილე.

ოჩხამურის ხიდზე მტრის მზვერავებს გზა გაეხსნათ. წინა ვაგონი და ორთქლმავალის ტენდერი ხრამში ვადაიჩეხა. ორთქლმავალის ცხელი წყლის მილი გასკდა და ჩვენ კარი ჩაგვეკეტა. მე მანქანეს ვუთხარი კარი გაეტეხა ზღმილით. კარი მან ჩქარა გახსნა და ჩვენ მოხარშვას გადავრჩით. გენერალი ჩემზე უფრო დაიწვა. მე მაშინვე ხრამში გადავეშვი ვაგონის დასათვალიერებლად. საბედ-

ნიერად ზარალი მცირე იყო. მეომრები გარეთ გამოვიყვანეთ და პოზიცია დავიჭირეთ. დამსხვრეული ვაგონიდან ყველაფერი მოვხსენით და უკანა ვაგონში გადავიტანეთ. პოზიცია აღვადგინეთ ჯარის მეოხებით და ჩვენ ნატანებში დავბრუნდით. ეს ჯავშნიანი იყო ნომერი მესამე. ხოლო მეოთხე ნომერი სამტრედიის სახელოსნოში იყო შესაკეთებლად.

5 აპრილს ჯავშნიანი ნომერი მეოთხე ნატანებში მოვიდა. ჯავშნოსნები ასე იყო განაწილებული: ორი იყო ბორჩალოს მაზრაში, ერთი იყო კახეთში, ორი ნატანებში და ერთი განჯაში.

5 აპრილს ნატანებში ჩამოვიდა ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, ელასა მგელაძე და სხვ. ისინი კარაბინით იყვნენ შეიარაღებული და მთხოვეს ჯავშნოსანზე მეომრად მიგვიღეთო. ნატანებში ბევრი გურული ჩამოვიდა და მიტინგზე ირაკლი წერეთელს სთხოვეს სიტყვა წარმოეთქვა. წერეთელმა უარი განაცხადა: მე ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანზე ჩავეწერე მეომრად და ახლა მტერს კარაბინით ვნდა ველაპარაკოო. სამაგიეროდ მე თვითონ მთხოვა — შენ ელაპარაკე ხალხსო. მიტინგზე შეიარაღებულ გურულებს მოვუწოდე ბრძოლისაკენ. ბევრი გურული ჯარში ჩაეწერა და პირდაპირ ფრონტზე წავიდა.

ნატანების ქვეშეთ სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზის შტო გავიყვანეთ და ღამით ჯავშნოსანით სადარაჯოდ დავდიოდით. 5 და 6 აპრილს ჩვენს ჯავშნოსანს ახალი მეომრები ამშვენებდნენ. კაკი წერეთელი ცხარობდა, რომ ბრძოლა არ შეგხვდა. ამბობდა: ვმირობა ვერ გამოვაჩინეო!
6 აპრილს თბილისიდან მივიღეთ ჯავშნიანი ვაგონი და ტენდერი; მესამე ჯავშნიანი აღვადგინეთ.

ჩემი ახალი მეომრები მეხვეწებოდნენ: დიდ ბრძოლაში წაგვიყვანეო.

7 აპრილს ღამის პირველ საათზე ჩვენთან მოვიდა გენერალი

მაზნიაშვილის ადიუტანტი და მთხოვა გენერალთან გამოვცხადებულიყავი. გენერალმა გადმომცა: ოსმალოს გალიპოლის დივიზიის ერთი ბრიგადა, შვიდი ათასი კაცით, მდინარე ჩოლოქის ხიდს გალმა დაბანაკდაო. რადგან საკმარისი ძალები არა გვყავს, ამიტომ მდინარე სუფსის გალმა უნდა დაიხიოო. მიბრძანა: დახევის დროს ჯავშნიანით არიერგარდში ვყოფილიყავი და მტრის თავდასხმისაგან იგი დამეცვა, ბოლოს ამეფეთქებინა რკინის გზის ხიდები და სუფსაში მივსულიყავი. მე მას ჩემი გეგმა მოვახსენე: მტრის პოზიციებში შევიჭრები და ბრძოლას გავუმართავ-მეთქი. გენერალმა ეს განზრახვა არ გაიზიარა და ამიკრძალა კიდეც: ტყუილა-უბრალოდ დაიღუპებითო. მე თუ არიერგარდში უმოქმედოდ ვიქნებოდი, მაშინ მტრის არტილერია დამაზიანებდა. გენერალმა ბოლოს მითხრა და დამლოცა: ნახე! როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცი.

ჯავშნოსანის მხედრებს არ ეძინათ. უკვე ორი საათი იყო. მებრძოლები შევკრიბე და მათ მდგომარეობა განვუმარტე, ჩემი გადაწყვეტილებაც გავაცანი. ისიც არ დამიმალავს მტერი ჩვენზე მრავალრიცხოვანია, ერთზე ოთხმოცი იქნება და თუ ვინმეს არ შეგიძლიათ, ძირს ჩადით და სიტყვას გაძლევთ: საყვედურსაც არ გეტყვით-მეთქი. პასუხად ყველამ ერთხმად შემძახა — სამშობლოსათვის ვიბრძვით და მისთვის დავიხოცებით. წაგვიყვანე მტერთან პირისპირ შესახვედრად!

ჯავშნოსანის მეომართა შორის არც ერთი სუსტი, ან ლაჩარი არ აღმოჩნდა! შევჯდექით სამზადისს: ტყვიათმფრქვეველის „ლენტები", ყუმბარები, ვაზნები გაანაწილეს, თავ თავის ადგილას მოათავსეს, ყველა იარაღი შეამოწმეს, ჯავშნოსანის ბორბლები დაზეთეს და სხვა. მემანქანე გავაფრთხილე, რათა მას ორთქლმავალის იმდენი ძალა დაეგროვებინა, რომ სამ კილომეტრზე დიდი ცეცხლი არ დასჭირვებოდა. გიორგის ჯვარის კავალერი გობრონიძე თავისი ჯგუფით გაემგზავრა დასაზვერავად და მალეც დაბრუნდა. მტრის რაოდენობა, მისი განლაგების სურათი ზუსტად გამაცნო.

გათენების ხანს მებრძოლებს შემდეგი სიტყვით მივმართე —

სამშობლოს დროშა ავმართოთ, საქვეყნოდ ავაფრიალოთ,
გავიდეთ ბრძოლის ველზედა, ბომბები დავაგრიალოთ.
სამშობლოს დროშა ავმართოთ, წინ-წინ გავსწიოთ მტრებზედა.
მას უყვარს დედა-სამშობლო, ვინც მიდის ბრძოლის ველზედა!

დილის ხუთ საათზე ჩოლოქის ხიდს მივადექით. ოსმალო გუშაგები დავიჭირეთ. მტრის ბანაკში შევედით და შუა ადგილი დავიპყრეთ. ოსმალების ჯარს იქაურობა აევსო. რკინის გზის აღმოსავლეთით ნაყანევი ადგილები მტრის ჯარებით იყო გავსებული. მე სროლა არ ავტეხე. მტერს ვაკვირდებინე. რომ მე შეცდომით მოვხვედი მტრის ბანაკში და ვნებდები. უკვე გათენდა და ოსმალნი ჩვენი ჯავშნოსანისაკენ გამოიქცნენ. ახლოს მოვიდნენ. მატარებლის საფეხურებზეც ამოცოცდნენ. ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების ლულებს ჩამოეკიდნენ. ჯავშნიანი მატარებელი ჩაკეტილი იყო. შიგ შემოსვლა არავის შეეძლო. ოსმალთა იქ მყოფი ჯარი შეგროვდა რკინის გზასთან. როცა აქ ყველამ მოიყარა თავი, მაშინ გავეცი ბრძანება ცეცხლი გაეხსნათ. შეიქნა სასტიკი ბრძოლა. მოწინააღმდეგე მამაცად იბრძოდა. ერთი საათის ბრძოლის დროს ბევრი ოსმალო დაიღუპა. შემდეგ ოსმალებმა მიაშურეს საფარს და იქიდან დაგვიწყეს სროლა. მე დავიწყე მანევრების კეთება და სადაც ოსმალოებს უფრო მეტი ჯარი ჰყავდათ, სწორეთ იქითკენ გავხსენი მომაკვდინებელი ცეცხლი. ერთ ადგილას სიმონი სიგნალის მიცემის დროს შეხტა და დაიძახა: მომკლესო. ეს იყო ობერკონდუქტორი სიმონ სკამკოჩაიშვილი. რომელიც გზას შინჯავდა ხოლმე და მის ნიშანზე ვმოძრაობდით ხოლმე. მეომრებმა იგი მძიმედ დაჭრილი ამოიყვანეს ვაგონში.

მტრის უმთავრესი ძალა უკვე განადგურებული იყო. 11 საათზე ჯავშნოსანის წინა ვაგონი გადავარდა რელსებიდან. გადავარდნილი

ვ. კოტუაძე და მისი მეუღლე ნამეტია პერძენ-შვილის ასულისა
პარიზი, იანვარი 1937 წ.

ვაგონისაკენ მტრის ჯარისკაცები გაიქცნენ. ბოლო ვაგონიდან აღარავინ ისროდა. ამბის გასაგებად გავგზავნე ერთი ჩემი მებრძოლი, მაგრამ იგი მაშინვე დასჭრეს და ვაგონში ამოიყვანეს. შემდეგ მე მანქანე ელიზბარ გაგანიძე თოფით ხელში ძირს ჩახტა, მაგრამ ისიც დასჭრეს. მერმე მე თვითონ გადავხტი ვაგონიდან და, როგორც იქნა, ხოხვით მივაღწიე გადავარდნილ ვაგონამდე. კარზე დავაკაკუნე და ვუთხარი, ვინც ვიყავი. კარი დაჭრილმა გამიღო. ვაგონში სისხლის მორევი იდგა. სამი მკვდარი და ოცდახუთი დაჭრილი მეომარი იატაკზე ეყარნენ. დაჭრილები მაშინვე ტყვიამფრქვეველებზე დავაყენე და ვუბრძანე: მოახლოვებული ოსმალო ჯარისათვის ცეცხლი გაეხსნათ. მაგრამ დაჭრილები ისე მძიმედ იყვნენ, რომ მათ ძალა აღარ ეყოთ. მარტო ჩემი ძმა ნოე იყო უვნებლად და ის ისროდა. ნოეს ვუბრძანე წასულიყო უკანა ვაგონთან და გადაეცა ჩემი ბრძანება, რომ ცეცხლი წინ ვადმოეტანათ. ჩემი ძმა ვაგონიდან ჩახტა და იქვე დაჭრეს; მაშინვე მომაძახა: არ შეშინდე, დაჭრილი ვარ! თურმე მკლავი მოსტეხეს. მაინც მიაღწია დანიშნულ ადგილამდე და ჩემი ბრძანება გადასცა. უკანა ვაგონმა ცეცხლით დაგვიფარა. მე ავედი სათვალთვალო კოშკზე. მტერი ისევ დაიძრა ჩვენსკენ. უკანა ვაგონიდან მაცნობეს, რომ ნაწილი ტყვიამფრქვევთა სროლისაგან გაფუჭდაო.

მტერმა დასავლეთის მხრიდან მაშველი ჯარით მოიტანა იერიში, მაგრამ ახლოს ვერ მობედეს. რაკი ტყვია-წამალი, იარაღი და მეომრები აღარ მყოფნიდა, ამიტომ გადავწყვიტე მტრისათვის ჯავშნოსანი არ ჩამებარებინა. განვიზრახე იგი ამეფეთქებინა.

დილის 11 სრულდებოდა. კოშკიდან ვაგონ ცეიჰგაუზში მავთული მქონდა ვაყვანილი. შიგ ათ ფუთამდე პეროქსილინის ასაფეთქებელი მასალა იყო მოწყობილი. ერთხელ ლამაზ ბუნებას გადავავლე თვალი, მსურდა დამენახა კიდევ ამ ქვეყნის სილამაზე, მაგრამ დამენანა მისგან მოცილება... მაინც... ელექტრონის ფოლაქს

დავაჭირე თითი და... აფეთქება არ მოხდა. თურმე მტრის ტყვიას ელექტრონის მავთული გაეწყვიტა და ამგვარად აფეთქებას ავცდით.

ჩემ მიერ გაგზავნილი აკაკი ურუშაძე გენერალ მაზნიაშვილთან, როგორც იქნა, მივიდა და ჩემი თხოვნა გადასცა. გენერალმა დასახმარებლად ჯარი გამომიგზავნა, გორის გვარდია, ოთხასი კაცისაგან შემდგარი. მტერი წინ ველარ წამოვიდა.

შემდეგ მოაღწიეს ხელოსნებმა და ჯავშნიანის წინა ვაგონი რელსებზე შეაყენეს. მოვიდნენ თვითონ გენერალი მაზნიაშვილი და კალიკო ჯუღელი თავისი ამალით. დაათვალიერეს ბრძოლის ველი. ყველა გამარჯვებას გვილოცავდა. დაჭრილ ჯარისკაცებს, როგორც ჩვენსას, ისე მტრისას, დახმარება აღმოვუჩინეთ და შემდეგ ნატანებში მივედით. მოკლულთა შორის აღმოჩნდა ჩემი ბიძაშვილი ბარნაბ გოგუაძე, ანდრო ცეცხლაძე და კირილე ბოლქვაძე. დაჭრილი 25 კაცი ქუთაისს გავაგზავნე. მე თვითონ ოთხი ჭრილობა მქონდა. ერთი ტყვია ბარძაყის ძვალამდე იყო მისული. მიშა ნაკაშიძემ თავის ბინაზე წამიყვანა, კარგად მომიარა და გამიმასპინძლდა.

ფოთიდან გამოვეძახე ჯავშნოსანს, რომელსაც დაზიანებულის ადგილი უნდა დაეკავებინა. თვითონ დავაპირე ოზურგეთს წასვლა, რათა იქაური ჩვენი ჯარისათვის ჩვენი გამარჯვება და სალამი გადამეცა. ვიცოდი, რომ გალიპოლის დივიზიის ბრიგადა ოზურგეთის დასაპყრობად იყო წამოსული. ოზურგეთში მყოფ ჯარს შემდეგ უნდა დავცემოდით. ჩემი განზრახვა ოზურგეთს წასვლისა გენერალს გავაცანი და მან მომიწონა კიდეც. გენერალმა ავტომობილი მათხოვა. წავიყვანე ჩემი ულმცროსი ძმა მელენტი და მჟავანაძე. თან წავიღე ორი ტყვიამფრქვევი და ერთი ყუთი ხელის ყუმბარებისა. გენერალს ვკითხე: გზა ნატანებიდან ოზურგეთზე თავისუფალი თუ იყო. გენერალმა დამიდასტურა, თავისუფალი არისო. სამის ნახევარზე გზას გავუდექი.

როცა ოზურგეთს მივუახლოვდი და ავიარეთ ვაშლნარის დუქ-

ნებთან, თოფის სროლა აგვიტეხეს... ტყვია მანქანის მექანიზმში მოხვდა და გავჩერდით. შოფერს შემდეგ ტყვია ფეხში მოხვდა და დაიჭრა. ბიჭები ძირს ჩამოხტნენ. ჩვენც დავიწყეთ სროლა ტყვიამფრქვევით. თავდამსხმელების უფროსი მიზანში ამოვიღე და მოვკალი. მე ეჭვი შემეპარა: გურულები არ ისროდნენ-მეთქი! გამოსარკვევად ხმა მაღლა ვიყვირე, ვინც ვიყავი. მათ სროლა შეაჩერეს და თურქული ყვირილით ჩემსკენ გამოიქცნენ: გაიძახოდნენ: თაალიმ თაალიმ გოგუაძეო! დაგვნებდი! დაგვნებდი! მათ იცოდნენ, რასაკვირველია, რომ ჩვენ ცოტანი ვიყავით და ცოცხლად დაჭერა მოგვინდომეს. მჟავანაძე ნატანებში გავგზავნე, რომ ჩვენებისათვის ეცნობებინათ ჩვენი მწარე ხვედრი. ჩვენ კი მტერი ახლოს მოვუშვით. შემდეგ დავაყარეთ ავტომატებიდან ტყვია და ცამეტი კაცი იქვე დაეცა. მტერმა სამხრეთით დაიწია და გორაკზე თავისიანებს შეუერთდა; ჩვენ კი ჩრდილოეთით დავიხიეთ. მე აქაც დავიჭერი. ტყვიით გახეთქილი ქვა მომხვდა! ღონემ მიღალატა. ჩემს ძმას ვთხოვე მე დავეტოვებინე და თვითონ წასულიყო. მან პასუხად ზურგზე ამიკიდა და წამიყვანა. მტერი მაღლობიდან გვესროდა; ჩვენ მაინც სამშვიდობოს გავედით. გზაში ჩვენი ჯარი შეგვხვდა; მოგვცეს ორი ცხენი და ნატანებისაკენ წავედით.

შელამებისას ორ ვერსზე ნატანებიდან ჩვენი ჯარი შეგვხვდა ჩვენდა საშველად წამოსული. მის მზვერავებს ძლივს გადავურჩით. მტერი ვეგონეთ და კინაღამ დაგვხოცეს.

ნატანებში ხალხი ბევრი შეკრებილიყო. ჩვენი გამარჯვება გაეგოთ. ნიშნად პატივისცემისა ხელში ამიყვანეს და მაღლა ამწიეს. მე ჭრილობები მტკივოდა და ვყვიროდი.

ავტომობილი ვაშლნარიდან ჩამოიტანეს დაზიანებული. 8 აპრილს ბრძოლაში ტყვიამ ჩემი ოქროს ჯვარი მომგლიჯა; ის გვარდიელებს ეპოვნათ და მომიტანეს. მტრის ტყვიას ჩემი წმიდა გიორგის სურათი გაეგლიჯა. როგორც დაჭრილსა და ბევრ სისხლ დაკარგულს

მოსვენება მერგებოდა. 10 აპრილს ჯართან ერთად ჯავშნიანი მატარებელი დავტოვე და დაზიანებული ჯავშნოსანით თბილისს გავემგზავრე. მოკლულები გზა და გზა თავიანთ ჭირისუფლებს დავუტოვე სამძიმრის წერილითურთ. დიდ სადგურებზე აუარებელი ხალხი გვხვდებოდა და სიტყვებით მოგვმართავდნენ ხოლმე. თბილისი დიდი სიხარულითა და ზეიმით შეგვეგება. მთავრობა, ჟურნალისტები და ხალხი. დაიწერა გაზეთებში მრავალი წერილი. მთავრობამ მიბრძანა ჯავშნოსანი არ შემეკეთებინა, რადგან ის საჭირო იყო მუზეუმისათვის. მე დასტური დავრთე, მაგრამ ჯავშნიანი მატარებელი შესაკეთებლად სახელოსნოში მივეცი, რათა იგი მომავალ ბროლებში გამომეყენებინა.

ათასცხრაას თვრამეტ წელში ოსმალეთი თავს დაგვეცა
ვაჟკაცები შევიკრიბეთ მტრისთვის პასუხი გაგვეცა;
ერვა აპრილს დილით ჩოლოქთან შევიჭერ მტრისა ბანაკში,
შვიდი ათასი ოსმალო სულ ყველა დაგვხვდა საფარში.

სამშობლოს მცირედმა ჯგუფმა მტერს გაუმართა ომია,
ჩვენები მტრებსა უტევდნენ ვითა მამაცი ლომია!
ხუთი საათის ბრძოლითა გავწყვიტეთ მტრისა ჯარია,
მომხვდურ მტერზედა ვიყარეთ უსასტიკესი ჯავრია.

გავწყვიტეთ სამშობლოს მტერი, გავუნადგურეთ ჯარია;
ჩვენც ბევრი გვყავდა ბრძოლაში დაჭრილები და მკვდარია.
გადავარჩინეთ სამშობლო, მოხუცი, ბავშვი, ქალია
თავდადებული ბრძოლითა ჩვენ მოვიხადეთ ვალია.

1918 წ. 12 აპრილს ჩემთან მოვიდა კვესტორი სერგო ჟორჟოლიანი და მითხრა: ხვალ საღამოს შვიდი საათისათვის ნოე ჟორდანია გიბარებსო. მე დანიშნულ დროს მივედი. ს. ჟორჟოლიანი შემხვდა და მითხრა თეთრ ზალაში მობრძანდითო. თეთრ ზალაში მოწვეული

იყო ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომა. ზალაში ათას ხუთასამდე კაცი იქნებოდა. ნოე ჟორდანიამ ხელი მომკიდა და მასთან კათედრაზე ამიყვანა. შემდეგ მან დელეგატებს მიმართა — დროებით კამათსა ვწყვეტ და გთხოვთ მიესალმოთ ამხანაგ გოგუაძეს, რომელმაც მტერი დაამარცხა და ხიფათისაგან გვიხსნაო. გამიმართეს დიდი ოვაციები. ილაპარაკა ირაკლი წერეთელმა. სიტყვა წარმოსთქვა ევგენი გეგეჭკორმა; მან აღნიშნა ჩემი როლი თვით-მპყრობელობის რეჟიმის ხანგრძლივი ბრძოლისა და შეაქო ჩემი მეთაურობით ჯავშნოსანის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. მან სხდომას მიმართა წინადადებით: დავეჯილდოვებინე რევოლუციის პირველი გმირის სახელწოდებით. სხდომამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო. მე ამდენი ცერემონიისა და პატივისცემის გამო სირცხვილით ვიწვოდი. საზოგადოებას მადლობა გადავუხადე და შინ წავედი. ოპერაცია მალე გამიკეთეს და ფეხიდან ტყვია გამომიღეს.

15 დღის შემდეგ ჯავშნოსანი მატარებელი სახელოსნოდან გამოვიყვანე; შევაიარაღე; მეომრები შევკრიბე და მომავალი ბრძოლისათვის მოვამზადე.

ყაზახის მაზრაში მოხდა აჯანყება. ხელისუფლებამ აჯანყების წინააღმდეგ ჩემი ჯავშნოსანი გაგზავნა. ოთხი ზარბაზანითა და ჯარით დავიძარით ყაზახისაკენ. ყაზახი და მისი მიდამო აჯანყებულთა ხელში იყო.

ეს აჯანყება მოეწყოთ ბეგებს ოსმალო ოფიცერთა ხელმძღვანელობით. ორ საათზე ქ. ყაზახს მივუახლოვდით. დაიწყო ბრძოლა. მალე მტერი ძლეულ იქმნა და გაიქცა. ჩემთან მოვიდნენ ქალების დელეგატები და მთხოვეს მტრისათვის ზარბაზნებიდან მესროლა. მე მათი თხოვნა შევასრულე. შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი. აქ ილაპარაკეს ქართველებმა და თათრებმა. ქართველთაგან ილაპარაკა გრ. ცინცაბაძემ. მიტინგმა გამოიტანა დადგენილება: გავიგეთ რა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ჩვენ მივესალმებით მას; ჩვენ ყაზახის მაზრა ძველთაგან ვიყავით საქართველოსთან ერთად და ეხ-

ლაც გვსურს მასთან დავრჩეთო. გვთხოვდნენ ჩვენ ეს მათი სურვილი ჩვენი ხელისუფლებისათვის გადაგვეცა. ამით საქმე გავათავეთ და თბილისს მოვბრუნდით.

1918 წელს. ივნისში ოსმალოები ბორჩალოს მაზრიდან თავს დაგვესხნენ და მაზრის უდიდესი ნაწილი ხელთ იგდეს. ადგილობრივი მოსახლეობა, უმთავრესად სომხები, ააწიოკეს.

9 ივნისს გვარდია და ჯარი თბილისიდან მათ წინააღმდეგ დაიძრა. ოსმალეთის ჯარი მდინარე ხრამთან დაბანაკდა. მათი მზვერავები სადგურ სანდაარში მოვიდნენ. ბრძოლა დაიწყო 9 ივნისს. მე წავიყვანე სამი ჯავშნოსანი. დიდი შეტაკება მოგვიხდა ხრამის ხიდთან. მომიკლეს არტილერისტი დანელია და დამიჭრეს რამდენიმე კაცი. ჩვენ მტერს მკაცრად შევუტიეთ და იგი აშაგსერალთან დავამარცხეთ.

13 ივნისს, ღამის 12 საათზე, პოლკოვნიკი ჩხეიძის ბრძანება მივიღე, რომ სადახლოში, 14 ივნისს მტერს თავს დავსხმოდი და აქედან მევლო წინ საქართველოს საზღვრამდე. მე ბრძანების თანახმად შულავერიდან სადახლოში წავედი სამი ჯავშნოსანით. 8 საათზე უკვე სადახლოში ვიყავი. 58 ფურგონი სამხედრო მასალით დატვირთული და ჯარისკაცებით ხელთ ვიგდეთ და აქედან სანაინისაკენ გავეშურე, რათა ოსმალებს მოულოდნელად თავს დავსხმოდი. გადავჭერით ტელეფონის ხაზი; სადგურ აირუმში ხელთ ვიგდეთ 50 ოსმალო მხედარი; სადგურ ახპატში — 20 ჯარისკაცი; ახტალაში — 60 და აქედან გავსწიეთ ალავერდისაკენ. ალავერდის ალმართს რომ შევუდექით, დავინახე, რომ თავდალმართში ოსმალოს ჯარით დატვირთული მატარებელი ჩვენსკენ მოჰქროდა. ეშელონს გაფრთხილება მივეცი, რომ გაჩერებულიყო. მე კი ვესტინგჰაუზის მეხრეკით ჯავშნოსანი გავაჩერე. ერთმანეთთან საჟენ-ნახევარზე გავჩერდით და ამგვარად საშინელ კატასტროფას გადავრჩით. ჩემი შეომრების ნაწილი ძირს გადავიდა და მაღლობები დაიკავა. მე სრო-

ლა არ დამიწყია, რადგან მეშინოდა რკინის გზა არ გამეფუჭებინა. წინ კიდევ უფრო ბევრი ბრძოლა მომელოდა. ამით ისარგებლა ეშელონმა და უკან გაბრუნდა. მე ვუბრძანე ჩემს მეომრებს უკანვე ჯავშნოსანზე ამოსულიყვნენ.

მე ჯავშნოსანზე მყავდა ახალი მეომარი — ჩემი მეუღლე. მე ჩემ ძმას და ნათესავებს დავავალე: ბრძოლის დროს ჩემს ცოლთან ახლოს ყოფილიყვნენ და თუ საქმე ცუდად წავიდოდა, მოეკლათ კიდეც, რათა ოსმალოებს ტყვედ არ ჩავარდნოდა.

შევიჭერით ალავერდში და მტრის საკმაო ჯარი და არტილერია დავიპყარით. მას წავართვით დიდი რაოდენობის სამხედრო მასალა და სურსათი.

თათრებს გაეძარცვათ ალავერდის ქარხანა და რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი მზად ჰქონდათ წასაღებად. ყველა ნადავლი ჭკანა ჯავშნიანს ჩავაბარე და მე სანაინზე გავილაშქრე. სანაინზე 200 კაცი ტყვეთ ავიყვანეთ და ეშელონს გავეკიდეთ. მათ ორთქლმავალი გაფუჭებოდათ და ამის შედეგად მათ სადგურ კობერთან დავეწიეთ. მე ბრძანება არ მქონდა კობეს იქით წავსულიყავი. ეშელონს ზარბაზანი ვესროლეთ და დავამტვრიეთ. ოსმალოს ჯარისკაცების ნაწილი ტყვეთ წამოვიყვანეთ. სანაინში ხელთ ვიგდეთ სურსათი და ცხენის ჯოგი. აქვე ვიშოვნეთ სარაკამიშიდან ჩამოტანილი ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები. ყოველივე ეს თბილისს გავაგზავნე ტყვეებთან ერთად.

ხალამოს ექვს საათზე სანაინში მოვიდა ჩვენი ჯარი. ჯავშნოსანმა სხვების დაუხმარებლად დაიცვა ოცდაათი ვერსის მანძილი. რკინის გზა ამ რაიონში გაყვანილია მდინარე დებედაჩაის პირზე და შეჭრილია კლდეებში. ამიტომ აქ ჯავშნოსანის მოქმედება ძალიან შეფერხებულია და ძნელი.

ბორჩალოს მცხოვრებნი, ბერძნები და სომხები, გამარჯვებას

გვ"ლოცავდნენ და იარაღითაც გვეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში.

1919 წელს, ქრისტესშობისთვეში, სომხებმა ომის გამოუცხადებლად შემოგვიტიეს და რუს თეთრგვარდიელთა დახმარებით ჩვენს მცირერიცხოვან ძალებს ებრძოლეს და ბორჩალოს მაზრა დაიკავეს; ადგილობრივი სომხების დახმარებით წინ წამოიწიეს და თბილისს დაემუქრნენ. საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. და ჩვენი ძალები ბორჩალოსაკენ გაემართა. მე მებრძანა ორი ჯავშნოსანით ფრონტზე წავსულიყავი. რკინის გზა სანდაარიდან სომხეთამდე მტერს ეჭირა.

9 ქრისტესშობისთვეს მტერს პირდაპირ მივადექი და ორი დღის განმავლობაში რკინის გზა ბამბაკამდე გავწმინდე და სანაინში დავდექი.

10 დეკემბერს ბამბაკის იქით, ხიდთან მოგვიხდა დიდი შეტაკება. სომხები აქაც ვძლიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. 35 ვერსის მანძილზე ჩვენს უკან რკინის გზას არავინ იცავდა, რაც ჩვენთვის სახიფათო იყო. ჩვენებმა სომხებს შეუტიეს შეღლავერის მიმართულებით და უკუაქციეს. ჩვენს რიგებში ჩადგნენ ადგილობრივი მკვიდრი ბორჩალოელები და დახმარებას ვეიწევდნენ. სომხებმა მათი ოჯახები შემოსვლისათანავე აიკლეს და ააწიოკეს.

თბილისს ვაცნობე: თუ რკინის გზის დამცველ ჯარს არ გამოაგზავნიდენ, ჩემი მდგომარეობა კრიტიკული იქნებოდა. მართლაც, სომხები ჩვენს უკან რკინის გზის გაფეჭებას შეუდგნენ. თბილისიდან მებრძანა, რომ სანაინის რაიონში დავრჩენილიყავი; თან დახმარებაც აღმითქვეს. რკინის გზა სომხებმა ჩვენი შეუჩერებელი მუშაობის მიუხედავად მაინც გააფუჭეს. 14 დეკემბერს ჩვენ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი გვქონდა. დახმარება ჯარით და სასროლი იარაღით არ მოგვივიდა. თავის დროზე უკან დახევის საშუალება არ მოგვეცა. 14 დეკემბერს შევკრიბე ჩემი მცირედი მეომრები და მდგომა-

ვოვოძე. 1935 წ.

რეობა ავუხსენი. დავადგინეთ სანაინის მიტოვება და იმავე ღამეს უკან წასვლა. ამ საქმის ასრულება მომანდვეს მე. აქ მე მყავდა შეპყრობილი ხუთი სომხის შპიონი, რომელთაც სიკვდილი მოელოდათ. მოვაყვანინე ისინი ჩემთან და მოვაგონე მათ, თუ რა მოელოდათ დანაშაულისათვის. მე მათ აღუთქვი პატიება, თუ ისინი ჩემს დავალებას შემისრულებდენ. ავუხსენი მათ, რომ ამალამ სანაინს ეტოვებდით და ალავერდის გზით თბილისისაკენ მივდიოდით და ისინი ჩვენ უნდა დაგვხმარებოდნენ მეგზურობაში. ჯაშუშები სიხარულით დამეთანხმნენ. მე მათ ფული ვაჩუქე და დიდი ჯილდო აღვუთქვი. დარწმუნებული ვიყავი, როცა მე მათ გავუშვებდი, მიღალატებდნენ და სომხებს აცნობებდნენ ჩემს განზრახვას.

მეც ეს მინდოდა. ჩვენ სამზადისს შევუდექით. დახოცილები მიწას მივაბარეთ, დაჭრილები საიმედო სახლებში მოვათავსეთ. ერთი ჯავშნოსანი ავაფათქეთ, მეორე დავაზიანეთ.

ჯაშუშები მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც ვფიქრობდი. მათ სომხის ოფიცრებს აცნობეს, რომ ჩვენ ალავერდის მიმართულებით უკან ვიხევდით. სომხებმა რკინის გზაზე ჯარი მოხსნეს და ალავერდისაკენ წაიყვანეს. ალავერდთან შეყრილ სომეხთა ჯარს შრაპნელი დავუშინე და მას დიდი ზიანი მივაყენე. ღამით ჩავდექი ავანგარდში და უკან დავიხიეთ. სახიფათო ადგილი ტვინელი და ახტალა მშვიდობით გავიარეთ. სომხებს სულ მოეხსნათ თავისი ჯარი რკინის გზაზე და ალავერდის მონასტრის გზაზე გველოდებოდნენ. მივუახლოვდით სოფელ შენიხს. იქ სროლა აგვიტეხეს, მაგრამ ისინი ჩავაჩუმეთ; სადგურ აირმურთან მივედით. აქ მაღლობები სომხის ჯარებს ეკავათ. ჩვენმა მეომრებმა მტერს შეუტიეს და გაფანტეს. მათ მოიყვანეს ტყვედ 60 კაცი. გავეშურეთ სადახლოსაკენ; გზაზე ჩვენი ჯარი დანგრეულ ხიდს აკეთებდა. იქ ორი ჯავშნოსანი ალფესი გოგუაძის მეთაურობით იცდიდა. მივედით სადახლოში და დავისვენეთ.

15 დეკემბერს ჯავშნოსნებს ჩავუდექი სათავეში და მტერს შევუტიეთ. სომხის ჯარი დამარცხდა და უთავბოლოდ უკან დახევა და-

იწყო. ჩვენ მათ დავეხვენეთ და ორ დღეში ჩვენი ამშობლო ბატონ-საგან გავწმინდეთ.

ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა ინგლისის მხედრობა. მათი გენერლები საქმეში ჩაერივნენ და სომეხ-ქართველთა ბრძოლა შეწყდა. დაკავებულ ხაზს იქითა ნაწილი გამოაცხადეს ნეიტრალურ ზონად. ასე დასრულდა ეს სამწუხარო ამბავი... სომხები ჩვენ საქართველოში დავასახლეთ, ჩვენ მათ ვეძმეთ, მათ მუდამ კარგად ვეპყრობოდით, გასაჭირში ვშველოდით და სომხის პოლიტიკოსებმა ჩვენი ამაგი ასე დააფასეს.

ვ. გოგუაძე

შენიშვნა: გადარჩენილ ფურცელთა შორის მხოლოდ ეს მოვიპოვეთ და ამით ვასრულებთ კიდეც ვლადიმერ-ვალოდია გოგუაძის მოგონებათა შემცირებულ რვეულს.



ვოვუაძის დასაფლავება ლეილში 1954 წ.

დამატება

გრიგოლ რობაქიძის სამგლოვიარო ბარათი

დიდათ პატივცემულო

ქალბატონო ნამეტი!

გავიგე: გარდაცვლილა დაუვიწყარი ვალოდია. მეტად დამამწუხრებელი ამბავი თანამემამულეთათვის მისსა — თქვენთვის პირადად კი დამმეხავი.

ვალოდია ამოზრდილი იყო ქართული ეპოსითგან. ფესვმაგარი, მტკიცე, ურყევი, უდრეკი, უტეხი, უშიშარი: როგორც თავგამოდებული მებრძოლი თავისუფლებისათვის სამშობლოისა. თვითონ ჯავშანი — საარაკო ბელადი შემმართებელი „ჯავშნოსანისა". არავითარი სიძნელის წინაშე უკან-არ-დამხევი — ძალაყრით მოშვიდული, ყოველი დაბრკოლების გადამლახავი.

ამასთანავე: ხალისიანი, მონადიმე, მოლხინე, მომღერალი, მოშაირე — ქართულ სუფრასთან. არაოდეს დამავიწყდება პირველი შეხვედრა მასთან 1943 წელს ივნისში, როცა მან პატივსაცემი სუფრა გაგვიშალა უხვად, თქვენი მეშვევობით, ჩემს უფროსს მეგობარს გრიგოლ დიასამიძეს და მე, ბერლინითგან სტუმრად მოსულთ პარიზში. არც ის სუფრა დამავიწყდება, რომელიც მე ვიგემე 1950 წლის დამდეგს ჟენევითგან პარიზში მოსულმა. განსვენებული, ახლა უკვე დაავადებული, ლოგინს იყო მიკრული. მოიგონებთ: ლხინი თანისთან ხალისდებოდა: ველარ მოითმინა ავადმყოფმა: წამოდგა იგი: მოვიდა სუფრასთან: შესვა ამხიარებულმა სხარტი სმური: სმურს სიმღერა მიაყოლა და სიმღერას ეპიური შაირი. ლოვილი მაშინაც და ახლაც საქართველოს ერთ-ერთ დამატყვევებელ კუთხედ გადამეშალა.

ვგრძნობ თქვენს მწუხარებას. სამშობლოში მაინც იყვეთ! იქ, ნათესავთა და მეგობართა არეში, უფრო ადვილად გადაიტანდით ტკივილს, რა ვქნათ? ბედის-წერას მედგრად უნდა შევხვდეთ! მჯერა, თქვენც ასე შეხვდებით.

ქართველი ქალი ქართველ ვაჟთან შედარებით უფრო მაგარია: უფრო „ამტანი". ესაა ჩემი დაკვირვება. თქვენ ამ „სიმაგრით" მრავალ ქართველ ქალთაგანაც გამოირჩევით. ჩემი ორხელ შეხვედრა თქვენთან საკმაო იყო, ასეთი შთაბეჭდილება მიმელო. იმედია, ვერ გაგტეხთ თავს-დატეხილი უბედურება.

თანაგრძნობით

თქვენი

გრიგოლ რობაქიძე